საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

ყაზბეგი

№117 (12 187) 21 მაისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ოლიმპზე!

XXVI ტური	
დინამო-ბათუმი	4:2
ტორპედო-ოლიმპი	2:4
ბორჯომი-ზესტაფონი	1:2
კახეთი-ლოკომოტივი	1:5
სიონი-მერანი	0:3
ამერი-ვიტ ჯორჯია	3:0
დილა-ჩიხურა	5:0

საბოლოო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	26	19	6	1	57-9	63
2. დინამო	26	20	2	4	57-19	62
3. ამერი	26	17	6	3	53-14	57
4. ზესტაფონი	26	16	9	1	55-11	57
5. ვიტ ჯორჯია	26	12	9	5	40-28	45
6. სიონი	26	11	4	11	28-26	37
7. ტორპედო	26	9	4	13	24-35	31
8. ლოკომოტივი	26	8	6	12	25-34	30
9. ბათუმი	26	8	6	12	27-30	30
10. ბორჯომი	26	8	6	12	29-35	30
11. მერანი	26	6	8	12	20-41	26
12. ჩიხურა	26	5	6	15	13-46	21
13. დილა	26	3	6	17	21-56	15
14. კახეთი	26	0	2	24	21-86	2

ბომბარდირები	
ს. იაშვილი (დინამო)	21
ფიფია (ზესტაფონი)	13
იონანიძე (ზესტაფონი)	11
ტატანაშვილი (ამერი)	11
ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	10
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	10
წინამძღვრიშვილი (ამერი)	10

ქუთაისი ქალაქია ჩემპიონთა მშენებელი: შარშან, სიონიც იმერეთის მთავარ ქალაქში გაჩემპიონდა



ალქმაარი ისევ შოთათია

გამარჯვების გოლი პირველ ფლეი ოფში

შალკე: კობის სინი ვერ მიართვეს

კარლ ცაისი: ლომაია და აშვეთია დარჩნენ

ფრაიბურგი: იაშვილი და ხიზანიშვილი ბუნდესლიგას ვერ შესწვდნენ

ლეგიონის უქმეები 5

ბომბარდირი

დუშან უჰრინი: იაშვილი სანაკრებოდ მზადაა

მომავალი? ჯერ მხოლოდ ავსტრია. შეიძლება, გერმანია და დანიაც...

3

მამუკა კაკაურიძის ფოტოები

ოლიმპიური ფონდი 5 წლისაა

ბიზნესმენმა და ფილანტროპმა, ბადრი პატარკაციშვილმა, ამ ხუთიოდ წლის წინათ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქართულ სპორტს სულზე მიუსწრო და, თუ შეიძლება ითქვას მშველელის როლში მოევლინა. მის მიერ დაარსებულმა ოლიმპიურმა ფონდმა ქართულ სპორტულ სივრცეში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

პატარკაციშვილი სეოკ-ის ხელმძღვანელობაში ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით 2002 წლიდანაა, მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში კი ქართული ოლიმპიური მოძრაობის თავკაცია. *"ყოველთვის მსურდა, ვყოფილიყავი სამშობლოსა და ერის მოჯამაგირე, ვინაიდან ჩემი ცხოვრების მთავარ სინმინდედ ეს ვალდებულება მიმაჩნდა"*, - ეს მისი ცხოვრების დევიზია.

გთავაზობთ ინტერვიუს ოლიმპიური ფონდის ვიცე-პრეზიდენტთან ემზარ ზენაიშვილთან, რომელიც ოლიმპიური ფონდის საქმიანობასა და მომავლის გეგმებზე გვესაუბრება.

- ბატონო ემზარ, როგორც ვიცით, ბადრი პატარკაციშვილის ქართულ სპორტთან ურთიერთობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ოლიმპიური ფონდი დაარსდებოდა...

- დიახ. ბატონი ბადრი ქართულ სპორტში უცხო კაცი არც ამ სფეროში მისი აქტიური მოღვაწეობის დაწყებამდე ყოფილა. მას ხელეწიფება ღირსეული ადამიანის ღირსეულად დაფასება, რისი ნათელი დადასტურებაც 2001 წელს ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის 60 წლისადმი მიძღვნილი გრანდიოზული იუბილე გახლდათ, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა ქალბატონ ნონას გარდა, მთელს საჭადრაკო თუ სპორტულ სამყაროს აჩუქა. "მრავალი ქვეყნის ხალხის სიყვარული არასოდეს მაკლდა, მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება. არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი პატივისცემა და მადლობა ბატონი ბადრი პატარაკაციშვილის მიმართ. მან დღევანდელი სალამოთი კიდევ რამდენიმე წლის სიცოცხლე მაჩუქა". - ამბობდა მაშინ XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი.

ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და მისი პრეზიდენტის ინიციატივით გამორჩეულად აღინიშნა 2002 წელს ქართველ სპორტსმენთა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და უკვე სეოკ-ის მისი პრეზიდენტობის დროს - 2005 წელს - ოლიმპიური კვირეულის ფარგლებში ლეგენდარული ვიქტორ სანეევის დაბადებიდან 60 წლისადმი მიძღვნილი უდიდესი ღონისძიება.

ბადრი პატარკაციშვილი სპორტის დიდი გულშემატკივარია. იგი თბილისის "დინამოს", როგორც საფეხბურთო, ისე საკალათბურთო კლუბების პრეზიდენტიცაა. მან დაიწყო "დინამოს" ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდების სახელოვანი ტრადიციების აღორძინება. ყოველივე ამას წინ უძღოდა კრიზისული პერიოდი. დინამოელები სამი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებას, ხოლო თასი უკანასკნელად 1997 წელს ჰქონდათ მოპოვებული. ქართული სპორტის მეცენატმა წლინახევრის მანძილზე შეძლო, ერთ დროს მქუხარე სახელის გუნდის ფეხზე დაყენება. უპირველეს ყოვლისა, მოწვეულ იქნა კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელი ხორვატი ივო შუშაკი, შემუშავდა პროგრამა, რომელიც კლუბის აღმავლობის გარანტად იქცა. ბადრი პატარკაციშვილის დახმარებით ფეხბურთელებს და კლუბის პერსონალს შეექმნათ კარგი სამუშაო პირობები, კეთილმოეწყო დილმის საწვრთნელი ბაზა, რომელიც უკვე თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. შედეგად "დინამოდან" მეტ-ნაკლებად შეჩერდა ახალგაზრდა ტალანტების მიგრაციის პროცესი.

იხ. გვერდი 11

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ძართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXVI ტური. წინათქმა

ჩემპიონობა გინდათ? ქუთაისში იშოვნეთ...

ᲒᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘ

2:4

20.05. ქუთაისი. ცენტრალური
4 000 მაყურებელი

0:1 გოცირიძე (18. გეწაძის პასით), 0:2 გოცირიძე (40. ნავალოვსკის პასით), 1:2 ნადირაძე (62), 1:3 კახელიშვილი (73), 2:3 ზივზივაძე (77), 2:4 გოცირიძე (84)

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ: ქვილითაია, ბარაბაძე, გურული (46. ხურცილავა), კვერნაძე, ლაღაძე, ზ. ჩხეტიანი, ზივზივაძე, ნადირაძე, კორკიტაძე, ქუთათელაძე (76. მდივნიშვილი), იმედაძე (46. ღონღაძე)

ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: ოდიშარია, ტაბიძე, კვეტენაძე, გორგოძე

ᲝᲚᲘᲛᲞᲘ: ალავიძე, გ.ონიანი, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, ნავალოვსკი (55. ბერუაშვილი), სეთურიძე (78. დვალიშვილი), ქებაძე, ძამსაშვილი, გენაძე, აფციაური (46. კახელიშვილი), გოცირიძე

ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: მერლანი, ხუბუა, მაჭავარიანი, ჩხარტიშვილი

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ძამსაშვილი(86)

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ: მ. ბეუჭლიშვილი

შეხვედრის საბოლოო შედეგი გოცირიძემ (10) დააფიქსირა

მამუკა კაკაურიძის ფოტო

ქუთაისი საჩემპიონო ქალაქად იქცა. ზედიზედ მეორე წელია საქართველოს ჩემპიონის ვინაობა სწორედ რიონისპირა ქალაქში ირკვევა. შარშან აქ ჩემპიონობა „სიონმა“ იზეიმა, წლეულს კი იგივე რუსთავის „ოლიმპმა“ გაიმეორა. მოკლედ, საჩემპიონოდ მომართული გუნდებისთვის ქუთაისში თამაში ნამდვილი სამოთხეა. აკი, ხუმრობდნენ კიდეც ენაწყლიანი ქუთათურები - მომავალ წელს ბოლო ტურში ვისაც „ტორპედოსთან“ მოუწევს შეხვედრა, პირდაპირ ჩემპიონობა გაუფორმონო.

ძნელია მოიძებნოს ისეთი ადამიანი, რომელიც ქუთაისურ მატჩში სენსაციურ შედეგს ელოდებოდა. აქ ყველაფერი გარკვეული იყო. „ოლიმპი“ დემორალიზებულ მეტოქესთან ჩემპიონობის შანსი ხელიდან არ გაუშვებდა და მთელი წლის ნაჯაფს წყალში არ ჩაყრიდა. სტადიონზე მიმავალი ქუთაისელი გულშემატკივრებიც დარწმუნებული იყვნენ - დღეს რუსთაველებს ჩემპიონობას მივულოცავთო.

და, რატომ უნდა ებრძოლა ქუთაისურ გუნდს იმ მატჩში რომელსაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა? ერთადერთი, ღირსების გამო. გუშინ მთელი ქართული საფეხბურთო საზოგადოების ყურადღება ქუთაისისკენ იყო მიმართული და ტორპედოელებს შანსი ეძლეოდათ ერთი გასროლით დაემსხვრიათ მითი მათ უსუსურობაზე. მატჩამდე **რევაზ ძოძუაშვილი** სხვა რამესაც შიშობდა - ჩვენი კონკურენტები „ტორპედოს“ განსაკუთრებულ მზადებაზე გადაიყვანენ და ესენიც თავს შეგვაკლავენო... თუმცა ვარაუდი ვარაუდად დარჩა. ქუთათურებმა, შეძლებისდაგვარად, მართლაც გაიბრძოლეს, მაგრამ სენსაციის ავტორებად ვერ მოგვევლინენ, „ოლიმპმა“ ბოლო ნაბიჯიც წარმატებულად გადადგა და ოლიმპზე დამსახურებულად ავიდა.

საჩემპიონოდ გამზადებულ „ოლიმპს“ ქუთაისში 100-მდე ერთგული ქომაგი ჩამოჰყვა, რომლებიც ე.წ. „ჯუნგლებში“ იყვნენ მოკალათებულნი და საყვარელ გუნდს გულმხურვალედ ქომაგობდნენ. მატჩს საკმაოდ ძლიერი ქარი დაერთო, რამაც თამაშში მცირეოდენი კორექტივები შეიტანა, თუმცა საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. მეტოქეებმა შეხვედრა ფრთხილად დაიწყეს. სანყის წუთებში ბურთი, ძირითადად, ცენტრში ტრიალებდა. სტუმართაგან ყველაზე მეტს **გიორგი სეთურიძე** აქტიურობდა, მან მარჯვენა ფლანგიდან ზედიზედ ორჯერ სახიფათოდ შეუტია, თუმცა ბოლო გადაცემები არ გამოუვიდა. ამის მერე ცოტა ხნით უპირატესობა ტორპედოელთა ხელში გადავიდა. ერთ-ერთ ეპიზოდში კუთხურის გათამაშების შემდეგ **ქუთათელაძე** კართან სამიოდე მეტრში აღმოჩნდა, მაგრამ მცველებმა დარტყმის საშუალება არ მისცეს. ამან დაახლოებით 10 წუთს გასტანა. შემდეგ კი უპირატესობა მთლიანად „ოლიმპის“ ხელში გადავიდა. რამდენიმე სახიფათო შეტევის შემდეგ გოლიც გავიდა: მე-18 წუთზე **გეწაძემ** კუთხური მოაწოდა და არეულობაში **გოცირიძემ** დალაშქრა **ქვილითაიას** კარი. გოცირიძეს ამის მერეც ორი ერთმანეთზე კარგი მომენტი შეექმნა გასატანად, ასისტენტობას ორივეჯერ სეთურიძე უწევდა, მაგრამ ჯერ ფეხით, შემდეგ კი თავით სასწაულებრივ აცილა კარს. რეზომ შეცდომის გამოსწორება პირველივე ტაიმში მოახერხა. მე-40 წუთზე რუსთაველთა ლამაზ სამსვლიან კომბინაციას „ტორპედოს“ კარში მეორე გოლი მოჰყვა - **აფციაურმა** მარცხნივ **ნავალოვსკი** მოძებნა, ამან კი უყურადღებოდ მიტოვებულ გოცირიძეს ბურთი თავზე დაასვა და გაატანინა.

ყველაფერი აქ გაირკვა, „ოლიმპს“ ჩემპიონობას ვეღარავინ შეეცილებოდა. ეტყობა რუსთაველებიც ამას ფიქრობდნენ და მეორე ტაიმში ცოტა არ იყოს მოდუნებულები გამოვიდნენ მოედანზე, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. 62-ე წუთზე ტორპედოელთაგან ყველაზე აქტიური **ნიკა ნადირაძე** რამდენიმე მცველს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან მეკარის მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი - 1:2. მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, ოღონდ მცირე ხნით. 73-წუთზე შეცვლაზე შემოსულმა **კახელიშვილმა** მეტოქე მცველები მიფანტ-მოფანტა და მეკარესთან პირისპირ გასულმა აუღელვებლად გაიტანა. 77-ე წუთზე კუთხურის გათამაშების შემდეგ **ზივზივაძემ** მეკარისთვის უხერხული დატყმა შეასრულა და ისევ დაუბრუნა მატჩს ინტრიგა 2:3. გოლმა „ოლიმპი“ უმალ შეტევაზე გადაიყვანა, მაინდამაინც არც „ტორპედოს“ მოუკლავს თავი დაცვაზე ზრუნვით და 84-წუთზე ორბურთიანი სხვაობა ისევ აღდგა - კახელიშვილის დარტყმა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე პირველი გოცირიძე გაჩნდა და ჰეთ-თრიკი გაიფორმა - 2:4. მსაჯის სასტვენის შემდეგ რუსთაველთა ბანაკი ჩემპიონობის აღნიშვნას შეუდგა. გულშემატკივრები მოედანზე გადაცვივდნენ და ფეხბურთელებში აირივნენ. ძნელად გაარჩევდით ვინ იყო ფეხბურთელი და ვინ გუნდის ფანი, რადგანაც ორიოდე წუთში ოლიმპელების კუთვნილი მაისურები გულშემატკივრებს ემოსათ. გასახდელშიც ერთი ყიჟინა იყო. რევაზ ძოძუაშვილი და სეთურიძე გარეთ ხელში აყვანილი გამოიყვანეს. „ჩემპიონები ვართ, ჩემპიონები, გაუმარჯოს „ოლიმპს, გაუმარჯოს „ტორპედოს“, გმადლობთ, ქუთაისელებო“ - გაჰყვიროდნენ სტუმრები და ერთ ადგილს ვერ პოულობდნენ...

ასე გახდა "ოლიმპი" მეხუთე გუნდი „დინამოს“,„ტორპედოს“,„ვიტ-ჯორჯიასა“ და „სიონის“ შემდეგ, რომელმაც ქვეყნის უძლიერესი კლუბების ტიტული მოიპოვა.

რუსთაველების ზეიმი ქუთაისში

მამუკა კაკაურიძის ფოტო

მატჩის შემდეგ

რევაზ ძოძუაშვილი:- ბედნიერი ხალხი ვართ ჩვენს საყვარელ საქმეში წარმატებას რომ მივაღწიეთ. საქართველოში ფეხბურთი უზომოდ უყვართ და აქ ჩემპიონების ფასიც იციან. „ოლიმპმა“ საქართველოს ჩემპიონატს თავისი ინტრიგა შესძინა. მჯეროდა, რომ ჩემპიონები გავხდებოდით, რადგანაც „ოლიმპში“ იყო ის პოტენციალი, რაც ტიტულის მოპოვებას შეგვაძლებინებდა. მთავარი იყო ეს პოტენციალი მიზანმიმართულად გამოგვეყენებინა, რაც ნარმატებით შევძელით. პირველი წრე ქუთაისში გავატარე, მაგრამ იქ არ გვქონდა იმის საშუალება რომ ასეთ მწვერვალს მიგვეღწია, "ოლიმპში" კი გასაქანი გვქონდა და მივაღწიეთ კიდეც წარმატებას. ჩვენს გულშემატკივრებს მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი.

რევაზ გოცირიძე:- ვისაც კი გაუხარდა ჩვენი ჩემპიონობა, ყველას ვუღლოცავ და მადლობას ვუხდი. ჰეთ-თრიკი კი შევასრულე, თუმცა, საერთოდ რომ არ გამეტანა და გუნდს მოეგო მაინც უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი. ჩემთვის პირველ რიგში შედეგია მთავარი - გუნდმა მოიგო და ჩემპიონი გახდა.

გიორგი ნავალოვსკი: - ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ აქვს. რაც მეორე წრე დაიწყო, სულ ბრძოლაში ვართ. კონკურენტები ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ, რომ ფეხი დაგვცდენოდა და წაგვეფორხილა, მაგრამ მაინც არაფერი არ გამოუვიდათ. „ტორპედოსთანაც“ ვიბრძოლეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ღირსეული ჩემპიონები ვართ. ახლა წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი გველის. ვიბრძოლებთ და ხალხს დავანახებთ რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია.

თორნიკე აფციაური: - რა უნდა ვთქვა, ძალიან ბედნიერები ვართ. გარჯა დაგვიფასდა და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. დაძაბული თამაში იყო, ცოტა ვინერვიულეთ კიდეც, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა. გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ყველას ვუღლოცავ ამ ბედნიერებას ვინც „ოლიმპის“ გაჩემპიონებაში წვლილი შეიტანა.

გიორგი სეთურიძე: - ძალიან გახარებულები ვართ შრომა რომ დაგვიფასდა. დიდი მადლობა რუსთაველ მაყურებელს. სეზონი კარგად ჩავატარეთ და ჩემპიონობა ნამდვილად დავიმსახურეთ.

მიხეილ მახვილაძე: - ჩემპიონობას პირველ რიგში ჩვენს გულშემატკივრებს მივულოცავ. ფეხბურთი იმიტომ არსებობს, რომ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლო და როცა ამ მიზანს აღწევ, უბედნიერესი ადამიანი ხდები. დიდი მადლობა ასევე ქუთაისელ გულშემატკივრებს და მთლიანად ქართული ფეხბურთის ქომაგებს. ვეცდებით, რომ ევროტურნირზე საქართველო ღირსეულად წარმოვაჩინოთ.

დავით ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ
ქუთაისიდან

ჩემპიონი გეგმავს...

რა ცვლილებებია მოსალოდნელი გუნდში მომავალი სეზონისთვის და ჩემპიონთა ლიგისთვის? ამ საკითხზე გუშინვე "ოლიმპის" ერთ-ერთ ხელმძღვანელ **მამუკა გუგეშაშვილს** გავესაუბრეთ:

"პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი კლუბის თითოეულ ფეხბურთელს, გულშემატკივარს, კლუბის მესვეურებს. რაღა თქმა უნდა მადლობა მწვრთნელებს, როგორც რევაზ ძოძუაშვილს, ასევე გიორგი კიკნაძესა და ზაზა ზამთარაძეს. ჩვენი ჩემპიონობა მათი დიდი დამსახურებაცაა.

ჩემპიონთა ლიგაზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩავერთვებით. გუნდს რამდენიმე ფეხბურთელით გავაძლიერებთ. 26 მაისს, საღამოს, ჩვენი კლუბის პირველკაცი ბატონი ჯოზეფი, უცხოელ პარტნიორთან ერთად ჩამოვა თბილისში. მეორე დღეს კლუბის კრება გვექნება და ყველაფერი იქ გადაწყდება. რამდენიმე მოთამაშეს კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდა, ისევე როგორც მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს. კლუბის ხელმძღვანელები შეკრიბებით და ერთად გადავწყვეტთ მათ საკითხს".

დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ

დასკვნა შევერცხლილი უჰრინისგან: იაშვილი ნაკრებისთვის მზად არის



ანგარიში იაშვილის ამ საჯარიმო დარტყმით გაიხსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამო-ბათუმი

4:2

20.05. თბილისი. მ. მესხი
150 მაყურებელი

1:0 იაშვილი (45), 1:1 კვარაცხელია (48. დარჩიძის პასით), 1:2 დარჩიძე (53. დემურაძის პასით), 2:2 იაშვილი (75. პენალტი), 3:2 ფეიქრიშვილი (83. იაშვილის პასით), 4:2 იაშვილი (85. შ. კაშიას პასით)

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, შაშიაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე (85. ლ. ნოზაძე), დიღმელაშვილი (66. სპასოვიჩი), ფეიქრიშვილი, მერებაშვილი (56. ხუციშვილი), იაშვილი

სათადარიგოები: ლორია, აკოშია, ჩირიკაშვილი, ჯანაშია

ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, შალამბერიძე, ა. ბაჯელაძე, ბეჟანიძე (86. ბაციკაძე), ფარტენაძე (46. დემურაძე), დარჩიძე, კვარაცხელია

სათადარიგოები: *ბექთაშვილი, ტუღუში, ბ. მახარაძე*

გაფრთხილება: გალოგრე (32), იაშვილი (65), გრიშიკაშვილი (66), კვარაცხელია (66), ა. ბაჯელაძე (68), გ. კაშია (80)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ჰეთთრიკი და საგოლე პასი - **სანდრო იაშვილის** გუშინდელი მონაგარის შემდეგ **დუშან უჰრინს** ვკითხეთ, არის თუ არა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი მზად ეროვნულ ნაკრებში თამაშისთვისო და პასუხი ისეთი მივიღეთ, რასაც ველოდით - იაშვილი ნაკრებისთვის მზად არის, ასეთი შედეგიანი ფორვარდი ეროვნულ გუნდში უნდა იყოს. რაც შეეხება მის სამომავლო საკლუბო კარიერას, იაშვილს რამდენიმე უცხოური ვარიანტი აქვს. სადღეისო ვითარებით მისი ავსტრიაში, გერმაინიასა ან დანიაში ტრანსფერია სავარაუდო.

უჰრინმა ისიც გვითხრა," დინამომ" მეორე წრეში პირველზე გაცილებით უკეთესად ითამაშა, ჩვენს კონკურენტებზე მეტი ქულა მოვაგროვეთ, სწორ გზაზე ვდგავართ და ძლიერი გუნდის შექმნას დრო უნდაო. "დინამოს" ჩეხმა დამრიგებელმა მეორე წრეში "ოლიმპთან" ფრედ დამთავრებული მატჩიც გაიხსენა, მაშინ რომ მოგვეგო, ჩემპიონები გავხდებოდითო.

ბათუმელთა თავკაცმა **ამირან გოგიტიძემ** კი განაცხადა, "დინამოსგან" ნათხოვარი ფეხბურთელები ვერ ვათამაშეთ, შესუსტებული შემადგენლობით რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ და მიუხედავად შედეგისა, ფეხბურთელების მადლობელი ვარო.

"დინამოს" ბოლო ტურამდე ჰქონდა ჩემპიონობის შანსი, თუმცა "ოლიმპის" ქუთაისში ჩაფლავებისა, ალბათ, დინამოელებსაც ნაკლებად სჯეროდათ. იქნებ ამიტომაც იყო, უჰრინის გუნდს დიდი ხალისი რომ არ ეტყობოდა, მაგრამ როცა "ბათუმი" დაწინაურდა, დინამოელებმა აგრესიულობას მოუმატეს და გაიმარჯვეს.

პირველ ტაიმში იაშვილს ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდა - სამჯერ სიზუსტემ უმტყუნა, ერთხელ კი **გიორგი სომხიშვილმა** იმარჯვა. თავის გამოჩენა **დავით ოდიკაძესაც** შეეძლო, მაგრამ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა.

შეტევაში არც "ბათუმი" იყო უქმად. **ვიტალი დარჩიძის** პასით **ვახტანგ კვარაცხელია** მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა სისწრაფეს უკლო, მერე კი გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო - ბურთი უკან წამოიღო და დაკარგა.

არჩილ ბაჯელიძემ კი დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან მოინდომა გატანა - **სოსო გრიშიკაშვილმა** მუშტებით მოიგერია მისი დარტყმული. ტაიმის მიწურულს იაშვილმა "ბათუმის" საჯარიმოსთან მოიგდო ბურთი და ჯარიმა მოიპოვა - ოციოდე მეტრიდან უზადოდ შეასრულა დარტყმა და ბურთი სტუმართა კარის "ცხრიანში" ჩასვა.

ბათუმელებს ის ჯანი და შემართება არ ემჩნეოდათ, თამაშის შემოტრიალებას რომ სჭირდება, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში პატარა აფეთქებები მაინც მოაწყვეს. ჯერ იყო და დარჩიძის პასით კვარაცხელიამ დასწრებაზე ჩაწებულად თამაშა და ანგარიში გაათანაბრა; მერე კი **ბესიკ დემურაძემ** მარცხენა ფლანგზე სოლო რეიდი წამოიწყო, რაც დარჩიძემ დააგვირგვინა გოლით - "ბათუმი" დაწინაურდა და საპასუხო სვლა "დინამოსი" იყო.

უჰრინის გუნდი პატარა წინააღმდეგობას როდი წააწყდა, მაგრამ "დინამოს" უპირატესობა ფიზიკურ მომზადებაში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ "ბათუმი" მაინც გატყდა. ზღვისპირელებს უბრალოდ ჯანი არ ეყოთ უპირატესობის შესანარჩუნებლად და არც ისეთი გავლენიანი მოთამაშე აღმოაჩნდათ, როგორიც იაშვილია "დინამოსთვის".

იაშვილმა **მიხეილ ხუციშვილის** წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანით გაიტანა გამთანაბრებელი, მერე **გიორგი ფეიქრიშვილი** გაიყვანა სომხიშვილთან პირისპირ და 3:2. იაშვილის ჩაუქმება ამით არ დასრულებულა - **შოთა კაშიამ** გრძელი გადაცემით მეკარეს შეატოვა ის და იაშვილმაც თავურით გადაავლო ბურთი კარიდან გამოსულ სომხიშვილს - 4:2.

ნამატჩევს უჰრინმა ისიც აღნიშნა, ჩემმა გუნდმა ამ შეხვედრაში ხასიათი გამოავლინა, თამაში შემოაბრუნაო. ჩემზე ვერავინ იტყვის, "დინამოს" ხელი არ დაატყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს უტიტულოვანესი გუნდი ზედიზედ მეორე სეზონში ტიტულის გარეშე დარჩაო.

დავით თავართქილაძე

19-წლამდელები

ტესტმაჩი პორტუგალიამდე

შოტლანდიაში მყოფი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდის პირველ მატჩამდე ტესტმატჩი გამართა. როგორც შევიტყვეთ, შაბათს შოტლანდიაში ჩვენს დელეგაციას მწვრთნელები **კლაუს ტოპმოლერი, ბესიკ ფრიდონაშვილი, პეტარ სეგრტი** და ავსტრიულ "ლუშტენაუში" მოასპარეზე **მირზა ბჟალავა** შეუერთდნენ. შოტლანდიელებს ჩვენი ნაკრებისთვის ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდთან ამხანაგური მატჩის ორგანიზება უნდა უზრუნველეყოთ, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამის გამო **ჰაინც ტოპმოლერმა** შემადგენლობა ორად გაყო. პირობითად ძირითადი შემადგებლობა, "რეზერვისტებს" დაუპირისპირდა, რომელთაც "დანდის" 6 ფეხბურთელი დაემატა. ეს ტესტმატჩი სასტარტოს ფეხბურთელებმა 4:0 მოიგეს. გოლებით **თარგამაძე, ბარაბაძე, ხიდეშელი** და **ბჟალავა** გამოირჩნენ.

ნაკრების ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და საბრძოლოდაა განწყობილი. ელიტრაუნდის პირველ მატჩს ჩვენი ჭაბუკები, ზეგ 23 მაისს, პორტუგალიელ თანატოლებთან გამართავენ.

დავით ცაბაძე

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

XXXIII ტური

დინამო 2-ბაგრა	**0:1**
გალარეული-მერანული	**4:0**
მეშახტე-რაჭა	**3:1**
მგლები-სპარტაკი	**2:0**
მეშახტე-შუხუთი	**2:1**
სამგორელი-ნ. დინამო	**0:1**
ოლიმპი-ზესტაფონი 2	**2:0**
გურია-აბერი 2	**0:3**
ვიპ ჯორჯია 2-ჩიხურა 2	**5:0**

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მგლები	**33**	**24**	**4**	**5**	**57-22**	**76**
2. მეშახტე	**33**	**21**	**6**	**6**	**66-19**	**69**
3. ბაგრა	33	17	6	10	51-35	57
4. გალარეული	33	16	9	8	49-31	57
5. ვიპ ჯორ. 2	33	16	7	10	57-28	55
6. მეშახტე	33	15	10	8	43-32	55
7. აბერი 2	33	14	12	7	54-34	54
8. ოლიმპი	33	14	8	11	51-40	50
9. ნ. დინამო	33	15	4	14	47-48	49
10. მეშახტე	33	14	6	13	49-39	49
11. სამგორელი	33	13	8	12	35-40	47
12. ზესტაფ. 2	33	10	10	13	33-38	40
13. დინამო 2	33	9	10	14	49-38	37
14. რაჭა	33	8	12	13	33-46	36
15. ჩიხურა 2	33	8	5	20	26-64	29
16. გურია	33	7	7	19	33-74	28
17. სპარტაკი	33	7	6	20	19-49	27
18. მგლებანი	33	2	5	26	20-96	11

მოგებით, მაგრამ ჯილდოს გარეშე

ბორჯომი-ზესტაფონი

1:2

20.05. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
მაყურებელი

0:1 გ. ჩხეტიანი (58), 1:1 კაიდარაშვილი (90), 1:2 გ. ჩხეტიანი (90)

ბორჯომი: შეყრილაძე, ნადირაშვილი, მერებაშვილი, ქარქოზაშვილი, ლონღაძე, თედიაშვილი (74. კვერნაძე), გოგიჩაიშვილი, ჯიქია (72. კაიდარაშვილი), კაკალაძე (90. ლომიძე), გრიგალაშვილი, კოშკაძე

სათადარიგოები: ასაბაშვილი, ლაზარაშვილი, ტალახაძე

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, თოდუა, კ. ჩხეტიანი, სანტოსი, ნოზაძე, რ. ონიანი (78. შ. ლონღაძე), კესანი, ფიფია (69. გ. ჭელიძე), ლეანდრო (46. ვიეირა), გ. ჩხეტიანი

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ძარია, ჟონატასი, იონანიძე

გაფრთხილება: ნადირაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

ძალიან ცხელოდა გუშინ ბორჯომში. მასპინძლები საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ, "ზესტაფონმა" კი ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი **იონანიძე, ვიერა, ლონღაძე** და **ჭელიძე** დაასვენა. მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და პირველი წუთებიდანვე ხისტი თამაში გაჩაღდა. თუმცა ამ ბრძოლაში მცველები უფრო ყოჩაღად იყვნენ, რის გამოც პირველ ტაიმში ცოტა სახიფათო მომენტი დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე რეალური მასპინძლებისა იყო - მე-3 წუთზე ზუსტი გადაცემა გაუკეთეს **ჯიქიას**, რომელმაც მცველი ოსტატურად ჩამოიშორა და კარგ პოზიციაში მდგომმა მეკარის ბაქნის კუთხიდან დაარტყა, მაგრამ, ბორჯომელთათვის სამწუხაროდ, კარს მცირედით აცილა. "ზესტაფონის" პირველი სახიფათო მომენტი 23-ე წუთზე შეიქმნა.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე **ჭანტურიას კოშკაძის** რთული დარტყმულის მოგერიება მოუხდა, წუთის შემდეგ გამოწვევა მიღებულმა "ზესტაფონმა", კერძოდ კი **ფიფიამ** ძელს გაარტყა ბურთი, 58-ე წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. კუთხურისას მცველები ოდნავ შეყოვნდნენ, რითაც კარგად ისარგებლა უმეთვალყურეოდ მდგომმა **გაგა ჩხეტიანმა** თავურით ანგარიში გახსნა - 1:0. ამის შემდეგ, ბორჯომი გააქტიურდა და ჯერ **კაკალაძეს** აუღო მეკარემ, შემდეგ კი მასპინძლებს ყველაზე რეალური მომენტი ჰქონდათ, **ლონღაძის** კარგ პასს მარცხენა ფლანგიდან **გრიგალაშვილმა** თავი დაუხვედრა, მაგრამ დარტყმული ძელს გაარტყა. საბოლოოდ მასპინძლებმა მაინც გაიტანეს - 89-ე წუთზე ჯარიმა ჩააწოდეს, მცველების შეცდომით **კაიდარაშვილმა** ისარგებლა და ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. დამატებულ წუთებზე ისევ გაგა ჩხეტიანმა ივარგა და დუბლი გაიფორმა.

მერაბ გრძელიძე
ბორჯომიდან

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მესამე ადგილისთვის მატჩს გაწევ-გამოწევის გარეშე არ ჩაუვლია

ერთი, ორი, სამი და ბრინჯაო

ამერი-ვიპ ჯორჯია

3:0

20.05. თბილისი. ამერი
300 მაყურებელი

1:0 დეკანოსიძე (8), 2:0 ტატანაშვილი (47), 3:0 ჩიმაკაძე (90)

ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე (57. ჯელაძე), დოლიძე, ტატანაშვილი (70. ჩიმაკაძე), დავითაშვილი, (78. მესხი)

სათადარიგოები: ნადირაშვილი, ელბაქიძე, გაბისკირია, კაკაშვილი

ვიპ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ადამიძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია (46. კლიმიაშვილი), მელქაძე (60. ლიპარტია), ბერიაშვილი (64. ლუჭაშვილი), სახოკია

სათადარიგოები: ლურბელეიშვილი, კაიშაური, კვაღინიძე, ინჯგია

გაფრთხილება: ქვაჩახია (26), ჯაფარიძე (28), გ. დათუნაიშვილი (37), ბოლქვაძე (56), ჯელაძე (62), ადამაძე (67)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

მოიგო გუშინ "ამერმა" და საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლა. პროგრესი აშკარაა, შარშან დაკავებული მეშვიდე ადგილიდან საპრიზომდე მისვლა იოლი ნამდვილად არ იყო, მით უმეტეს დღევანდელ ვითარებაში, როცა ცხრილის ზედა ნაწილში დაახლოებით ერთნაირი სიძლიერის გუნდთა რაოდენობამ იმატა.

მატჩის დასაწყისში, ვიტელებს მიეცათ სწრაფი გოლის გატანის საშუალება, მაგრამ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს **ლომაია** ვერ შესწვდა. ჯორჯიელთაგან განსხვავებით ასეთი შესაძლებლობა ამერელებს ხელიდან არ გაუშვიათ და მე-8 წუთზე **დეკანოსიძემ** ანგარიში გახსნა. კუთხურიდან მისივე ჩაწოდებული ბურთი მცველებმა მოიგერიეს, დასწრებაზე კვლავ დეკანოსიძემ ივარგა და ბურთი კარში გადაგზავნა - ახლო კუთხეში დარტყმული ბედიაშვილმა კარის ხაზს შიგნით დაიჭირა. პირველ ნახევარში ამერელები ფლობდნენ უპირატესობას და მომენტიც მეტი შექმნეს. ერთ-ერთ ეპიზოდში **ბოლქვაძემ ტატანაშვილი** მეკარესთან ერთი ერთზე გაიყვანა, ამ უკანასკნელმა მეკარეც მოატყუა, მაგრამ საბოლოო დარტყმა დაუგვიანდა და მცველებმა მოიგერიეს. მალევე **დოლიძე-დავითაშვილი-ბოლქვაძის** კომბინაცია **დობროვოლსკის** არაზუსტი დარტყმით დასრულდა. სახიფათო მომენტი ვიტელებმაც შექმნეს, როდესაც **პავლე დათუნაიშვილს** მცველებმა ბურთი ვერ აართვეს და მეკარესთან პირისპირ დატოვეს. **ქვაჩახიას** ისღა დარჩენოდა, ბურთი საჯარიმოს გარეთ აეღო, რისთვისაც ყვითელი ბარათი დაიმსახურა. წამყვანი ფეხბურთელების წასვლის შემდეგ, "ვიტ ჯორჯია" მნიშვნელოვნად დასუსტებულია და ეს გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა, მაგრამ ამის მიუხედავად ეპიზოდებში საკმაოდ საინტერესო თამაში და მცირე გაწევ-გამოწევაც ვიხილეთ. შეღაპარაკება **ჯაფარიძესა** და **დიდავას** შორის მოხდა, რაშიც ლამის მთელი გუნდი ჩაერია, თუმცა ფეხბურთელები მალევე დაწყნარდნენ. პირველ ტაიმში აღსანიშნია დიდავას კარგი პასი, რომლითაც მან ტატანაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა.

მეორე ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ამერელებმა მეორე გოლი გაიტანეს - ბოლქვაძის ჩაწოდებულ ბურთს ტატანაშვილმა თავი კარგად დაუხვედრა. მეორე ტაიმში ვიტელები შედარებით გააქტიურდნენ და ორჯერ საქმეში ჩართვა ქვაჩახიასაც მოუწია. მერე იყო ტატანაშილის მიერ გაფუჭებული კიდევ ერთი მომენტი, როცა მან ცარიელ კარში ვერ გაიტანა ბურთი - მცველებმა იყოჩაღეს და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს. ამერელებს გატანა მატჩის მიწურულამდეც შეეძლოთ, მაგრამ **კლიმიაშვილის** დაკარგული ბურთი **ჯელაძემ** ვერ შეირგო. მატჩის ძირითადი დრო უკვე ამოწურული იყო, როდესაც **ჩიმაკაძემ** მესამე ადგილის მომტანი მესამე გოლი გაიტანა. საჯარიმოს წინ მოტრიალე დავითაშვილმა ფლანგზე ჯელაძე მოძებნა. ამ უკანასკნელის დარტყმული ბედიაშვილმა ცუდად მოიგერია და ბურთი კარის წინ ეულად მდგომ ჩიმაკაძეს მიუვიდა.

- პირველად ვნახე ჩემი გუნდის ასეთი ცუდი თამაში, ძალიან უკმაყოფილო ვარ. "ამერს" ვუყოცავ მესამე ადგილზე გასვლას, გუნდმა კარგად ითამაშა და მომავალში უფრი დიდ წარმატებებს ვუსურვებ - განაცხადა მატჩის შემდეგ ვიტელთა მწვრთნელმა **ნესტორ მუმლაძემ**.

- სეზონი უკვე დასრულდა რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

- თუ რომელიმე გუნდი არ მიიღებს ინტერტოტოზე მონაწილეობას, მაშინ ჩვენ გავალთ.

- აშკარაა რომ თავდასხმაში პრობლემები გაქვთ, როგორ აპირებთ ვითარების გამოსწორებას?

- გეთანხმებით თავდასხმაში პრობლემები გვაქვს. მომავალი სეზონის დაწყებამდე ამ პრობლემას გადავწყვეტთ.

- ბიჭებმა თამაში ნერვიულად დაიწყეს, თამაშამდე მათ ვუთხარი, რომ თასის ფინალი დაევიწყებინათ, რადგან მესამე ადგილი გვჭირდებოდა. ნერვიულობა ფეხბურთელებს სწრაფმა გოლმა მოუხსნა, - ეს უკვე "ამერის" მწვრთნელის **გიორგი ჩიხრაძის** სიტყვებია.

ავთო ცეცხლაძე

სიონი-მერანი

0:3

20.05. ბოლნისი. თ. სტეფანია
200 მაყურებელი

0:1 გაგუა (15), 0:2 ბესარაშვილი (20. პენ.), 0:3 ნეფარიძე (77. ბესარაშვილის პასით)

სიონი: გავაშელი, სვანიძე, ნაყოფია, გაბიძაშვილი, ებრალიძე, ოქროპირიძე, ბუბუტეიშვილი (46. ლ. უგულავა), ქურასბედიანი (41. გუგუნაშვილი), ლ. ჩხეტიანი, ცხადაძე (46. ჩაგელიშვილი), გიგინეიშვილი.

სათადარიგოები: ბოძღიაშვილი, ალავიძე, კობური, უგრეხელიძე.

მერანი: სეფიაშვილი, ჯანგიძე, ლ. გრიგალაშვილი, აფშილავა, კობერიძე, ნეფარიძე, ბესარაშვილი, ზედელაშვილი (75. ჩაჩიბაია), ცისკარაული (57. დათუნაშვილი), გაგუა (46. ჩივაძე), ქორიძე.

სათადარიგოები: ლომიძე, კეტაშვილი, კედელაშვილი, დეისაძე.

გაფრთხილება: ლ. ჩხეტიანი (49)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

მერანი გადარჩა

გუშინ ბოლნისში გამართული მატჩში ერთმანეთს ორი მკვეთრად განსხვავებული გუნდი დაუპირისპირდა. საქმე ისაა, რომ მოტივაციის გარეშე დარჩენილმა მასპინძლებმა გათვლა მომავალზე გააკეთეს და სათადარიგო და დუბლშემადგენლობაში მოასპარეზე ფეხბურთელთა კრებულით დაუპირისპირდნენ "მერანს". მასპინძელთაგან განსხვავებით, უმაღლესი ლიგის დებიუტანტს მხოლოდ მოგება უნდოდა, ლიგაში დასარჩენად ფლეი-ოფში ბრძოლა რომ არ დასჭირვებოდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, თამაშმა თბილისელთა კარნახით ჩაიარა და ეს მატჩის საბოლოო ანგარიშშიც აისახა. დედაქალაქელები, რომლებიც საბრძოლო შემადგენლობით ეწვივნენ ქვემო ქართლს, ანგარიში მალევე გახსნეს - მე-15 წუთზე **ვალერი გაგუამ** საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა. სტუმრები ერთ გოლს არ დასჯერდნენ, ფორის შექმნაზე იწყეს ზრუნვა და ამ ამოცანასაც ჩინებულად გაართვეს თავი. მე-20 წუთზე **გიორგი ქორიძე** საჯარიმოში ნააქციეს. პენალტის შესრულება **მიხეილ ბესარაშვილმა** ითავა და 0:2.

შესვენებამდე დარჩენილ დროში სურათი არ შეცვლილა – სტუმრები უტევდნენ, მაგრამ მეტი ველარ გაიტანეს. ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა მასპინძელთა გუნდმა, უნიათო თამაშით, ქომაგთა მოლოდინი აშკარად ვერ გაამართლა. არა და, როგორც შევიტყვეთ, ამჟამინდელი ვითარების მიხედვით, "სიონი" ახალ სეზონში ამ ახალბედა ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. ამ კონტინგენტს კი მეორე წრის დასაწყისში ბოლნისში მოასპარეზე ფეხბურთელებიდან, რამდენიმე მათგანი დამატება.

მეორე ნახევარიც სტუმართა კარნახით წარიმართა. თბილისელებს ანგარიშის გაზრდის არაერთი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. 77-ე წუთზე ბესარაშვილის პასი **ნეფარიძემ**, მკერდზე მიიღო, მიწაზე დაუშვებლად, ძლიერად დაარტყა და ეფექტური გოლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ნიკა გვათუა
ბოლნისიდან

კახეთი-ლოკომოტივი

1:5

20.05. თელავი. გ. ჩოხელი
400 მაყურებელი

0:1 გორაშვილი(7), 0:2 სოსელია (30), 0:3 ჩომახიძე (50), 0:4 ალავერდაშვილი (68), 1:4 იაშვილი (70. პენალტით), 1:5 ბახტაძე (81)

კახეთი: იაშვილი, გ. ხიდაშელი, მურველაშვილი, იოსეფაშვილი, გერგიშვილი, კვლიშვილი, აბდულავი (33. ხიდაშელი), მელიქიშვილი (46. ბურნაძე), მედოევი, ტატიაშვილი, ძამუკაშვილი (36. ბიძინაშვილი)

სათადარიგოები: ქუფარაშვილი, ბაბილაშვილი, ჩოფოლაშვილი, კუპრაშვილი

ლოკომოტივი: ზუხბაია, ებრალიძე, გუშარაშვილი, კვახაძე, გულორდავა, ფოფხაძე, მალიჩავა, ჩომახიძე (70. ტიკურიშვილი), სოსელია, გორაშვილი (57. ბახტაძე), ალავერდაშვილი (72. ბარბაქაძე)

სათადარიგოები: გვარამაძე, კუპრაშვილი, კირკიტაძე, თუთბერიძე

გაფრთხილება: კვახაძე (70), ბარბაქაძე (73)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

"ნახვამდის" - დროის განზომილებაში ოპტიმისტურად გამოიყურება. "მშვიდობით" კი შორეულად და სევდიანად.

დღეს კახელების სურვილია, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ მესამედ უმაღლესი ლიგას. სურვილი ოცნებაა და ამდენად რომანტიკული, შესაძლებლობა კი ფული, ანუ რეალობის მახასიათებელი. როდის გადაკვეთს ეს ორი, თითქოს განყენებული ცნება ერთმანეთს თელავში, ძნელი სთქმელია. ფეხბურთი რომ უნდა იყოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საამისოდ, ფეხბურთზე შეყვარებული საზოგადოების გარდა, ახალგაზრდობის ინტერესებია. ინტერესები ჯანსაღი - სახელმწიფოსათვის ულტიმატუმად წასაყენებელი. რატომ მაინცდამაინც ფეხბურთი? იმიტომ, რომ აქ იგი მასობრივია, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის კონტურები კი შესანიშნავი. რატომ მაინცდამაინც რეგიონის ამ წერტილში? იმიტომ, რომ თელავი კახეთის ცენტრია ყველა მიმართულებით და მათ შორის სპორტულშიც.

მეორე წუთზე **სოსელიამ** საგოლე მომენტი შეუქმნა **ალავერდაშვილს**, მაგრამ მასპინძელთა კარის დარაჯმა იმარჯვა. მეშვიდეზე ისევ სოსელიას დარტყმული ჯარიმა **იაშვილმა** ვერ შეიმაგრა. დასწრებაზე ყველაზე ახლოს **გორაჩაშვილი** აღმოჩნდა - 0:1. ამ წუთიდან კახელებმა მოწინააღმდეგის ტერიტორიის ათვისება დაიწყეს და პირველი ხერხიანი შეტევა მეთერთმეტე წუთზე მოახერხეს - **მედოევის** წამოწყებული კომბინაცია **ძამუკაშვილმა** ჩააგდო. 30-ე წუთზე "კახეთის" ყოფილმა ფეხბურთელმა სოსელიამ მეორე სართულზე დაჯაბნა მასპინძლები - 0:2. ტაიმის ფინიშზე ალავერდაშვილმა **ჩომახიძის** პასი ვერ შეირგო - იაშვილმა ბურთი ფეხით მოიგერია და მასპინძლებს ორბურთიანი პასივი შეუნარჩუნა. აქვე ვიტყვი, რომ **არუდაშვილმა** დიდი ანგარიშით წაგებას საშიშროება პირველ ტაიმშივე იგრძნო და მინდვრიდან გამოუცდელი ფეხბურთელების გამოყვანა იწყო - თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს თავიდან მაინც ვერ აიცილა.

მეორე ტაიმში "ლოკომოტივმა" ბურთზე კონტროლი შეინარჩუნა, საკუთარი კარნახით წარმართა თამაში და მეთოდური ზეწოლა ანგარიშშიც ასახა. სტარტ ზევე კუთხურიდან მოგერიებული ბურთი ჩომახიძემ ოცი მეტრიდან ეფექტური დარტყმით ცხრიანში გაგზავნა - 0:3. კახელებმა ბრჭყალები ტაიმის შუაწელს გამოაჩინეს. **ტეტიაშვილმა** ორი მცველი ჩამოიშორა, მაგრამ მეკარესთან ირიბი კუთხიდან პირისპირ გასულს სივრცე აღარ ეყო. იმავე წუთს **კვლიშვილის** სვლა სტუმრებმა საჯარიმო ხაზთან შეაჩერეს - პენალტამდე სანტიმეტრებიღა რჩებოდა. 68-ე წუთზე ალავერდაშვილმა წადილი მაინც აისრულა და ანგარიში გააოთხა. ორ წუთში **გ. ხიდაშელის** უძლიერეს დარტყმას **კვახაძე** ხელით იგერიებს - პენალტის რეალიზება მასპინძლებმა მეკარეს მიანდეს - 1:4. სტუმართა გუნდში განხორციელებულმა ცვლილებებმა სიხალისე შეიტანა თამაშში და უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, მაგრამ მრავალი მომენტიდან მხოლოდ ერთიღა გამოიყენეს - **ბახტაძე** გახდა მეხუთე გოლის ავტორი.

ნიკო ვაყელიშვილი
თელავიდან

დილა-ჩიხურა

5:0

20.05. გორი. თ. გურჯანაძე
500 მაყურებელი

1:0 გონჭაროვი (11. ლომაშვილის პასით), 2:0 სულთანიშვილი (44. ვარდოსანიძის პასით), 3:0 ბ. ჩიტაია (55. ლომაშვილის პასით), 4:0 ბ. ჩიტაია (75. სადაღაშვილის პასით), 5:0 წინამძღვრიშვილი (80)

დილა: *კერხუაშვილი, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ლომაშვილი (63. ნოზაძე), სადაღაშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (46. ბ. ჩიტაია), გონჭაროვი (72. წინამძღვრიშვილი)*

სათადარიგოები: თათანაშვილი, კობახიძე, ლომიძე

ჩიხურა: სტურუა, გვეტაძე, ქემოკლიძე, გიგაური, ქუხილავა, ბუცხრიკიძე (54. ჩარგეიშვილი), ზაბახიძე, ბარამიძე, ვაშაკიძე, გ. მიქაძე (46. მ. მიქაძე)

სათადარიგოები: მწყერაშვილი, როგავა

გაფრთხილება: სადაღაშვილი (27), ბარამიძე (63)

არბიტრი: ლ. სილაგავა

„დილამ" ამჯერადაც შეასრულა დანაქადნი, რომლის მიხედვითაც გორელები ბოლო ტურებში, უშანსოდ დარჩენის მიუხედავად, იოლ გასეირნებას არსად და მით უმეტეს, გორში არავის ჰპირდებოდნენ, მაგრამ „ჩიხურასათან" მასპინძლებმა მოსალოდნელზე ადვილად მოახერხეს გამარჯვება.

დაგეგმილი ამოცანის შესრულებას გუნდები აუჩქარებლად და მეთოდურად შეუდგნენ. ანგარიში უკეთ მეტყველებს თუ ვინ უკეთ შეასრულა მწვრთნელის დავალება. მთელი მატჩი გორელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-11 წუთზე **ვაჟა ლომაშვილმა** აართვა ბურთი მოწინააღმდეგეს, გამოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა **ბორის გონჭაროვი**, რომელმაც ანგარიში გახსნა 1:0.

ამის შემდეგ გორელებმა კიდევ რამდენჯერმე შეუქმნეს ხიფათი იმერლებს და დამაგვირგვინებელი დარტყმისას მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ ანგარიშსაც გაზრდიდნენ. პარალელურად მასპინძლებისათვის თითქმის არანაირი პრობლემა არ შეუქმნია „ჩიხურას". **ვახტანგ თურმანიძის** შეგირდები, როგორც დაცვის, ისე ნახევარდაცვის ხაზში გვარიანად ჩამოუვარდებოდნენ გორელებს. მთელი თამაში ჩრდილში იდგა საჩხერელების მთავარი შემტევი **ჯაბა დვალი**. მოწინააღმდეგის დაცვის შენყობილი თამაშის მეოხებით არა მხოლოდ მას, არცერთ სტუმარს ნერვიულობის საბაბიც არ მიუცია დილელებისთვის.

„ჩიხურას" ნახევარმცველთა შეცდომას მოჰყვა მეორე გოლი. ფლანგზე **გიორგი ვარდოსანიძის** ნაყოფიერმა გარჯამ მცველებიც უსაქმოდ დატოვა და წინგამოსული **ზვიად სტურუაც**, მერე კი ბურთი გადააწოდა **საბა სულთანიშვილს** და 0:2.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ სამი გაიტანეს. 55-ე წუთზე ლომაშვილის სოლო რეიდის შემდგომ ჩაწოდებული ბურთი **ბექა ჩიტაიამ** თავით გადაგზავნა მეტოქის კარში - 3:0. მანვე 75-ე წუთზე დუბლი შეასრულა - 4:0.

დარჩენილ დროში საჩხერელებმა პრესტიჟის ბურთის გასატანად ამაოდ იზრუნეს - „დილა" ამ დღეს ერთი თავით სჯობდა მეტოქეს და ბოლო წუთებში არათუ მათი მოზღვავებული მონდომების განეიტრალება შეძლო, თავად გაიტანა კიდევ ერთი - მე-80 წუთზე გოლი **გიორგი წინამძღვრიშვილის** ინდივიდუალური გარჯის შედეგად გავიდა 5:0.

გორელებმა იმ ანგარიშით მოიგეს, რაც დიდი ხანია აღარ დაფიქსირებულა მათ სასარგებლოდ და შეიძლება ითქვას უმაღლესი ლიგიდან გასასვლელი კარი გაიჯახუნეს, მაგრამ ამით რა?

ვასილ გალახაძე
გორიდან

უფრო ნახვამდის, ვიდრე მშვიდობით

დილამ კარი გაიჯახუნა

www.kazbegi.com

გაზეთი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

შოთა არველაძეს გააქვს გამარჯვების გოლი აიაქსის კარში

ქართული ლეგიონის უქმეები

შოთას უმთავრესი და ულამაზესი

დემეთ სასამართლოდან მოედანზე გადაინაცვლა

კვირის გმირი შოთა არველაძეა, რომლის გოლმაც "ალკმაარს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის პირველი რაუნდი მოაგებინა. არველაძემ თავის ყოფილ კლუბ "აიაქსს" ბოლო წუთზე გაუტანა - 2:1. გერმანიის ჩემპიონატი დასრულდა და ჩვენთვის საინტერესო ამბებიც მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი ვერ გახდა ლევან კობიაშვილი, ბუნდესლიგის საგზური ვერ მოიპოვა ქართველთა "ფრაიბურგმა", სამაგიეროდ, კვლავ მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას "კარლ ცაისი", რაც დიდწილად საქართველოს ეროვნული ნაკრების გოლკიპერის დამსახურებაა...

დღეს კალაძე ათენში მიფრინავს

სერია A-ს ბოლოსწინა ტურში **კარლო ანჩელოტიმ** "უდინეზეს" წინააღმდეგ მეორე შემადგენლობა გამოიყვანა და 2:3 დამარცხდა. **კახა კალაძე** განაცხადშიც არ ყოფილა, ის მთავარ გუნდთან ერთად სეზონის უმთავრესი მატჩისთვის (ჩემპიონთა ლიგის ფინალი) ემზადება. დღეს, ჩვენი დროით საღამოს ხუთ საათზე, მილანის აეროპორტიდან თვითმფრინავი ათენისკენ აიღებს გეზს...

დაცვაში-დაასრულა

ლევან კობიაშვილი ვერ გახდა გერმანიის ჩემპიონი. პრინციპში, ეს წინა ტურის შემდეგაც ცხადი იყო, თუმცა იმედი ბოლოს კვდებაო და... შტუტგარტში მოკვდა: აქ, ლიდერმა 2:1 დაამარცხა "კოტბუსი" და ჩემპიონი გახდა. კობიაშვილის გუნდი მეორე ადგილითა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირდაპირი საგზურით დაკმაყოფილდა. ბოლო ტურში "შალკემ" 2:1 მოუგო "არმინიას" და ტურნირი 68 ქულით დაასრულა. ლევანი სასტარტო შემადგენლობაში იყო, რაც ბოლო დროს უჩვეულოა. კობიმ 90 წუთი მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა. "შპორტალმა" მისი გარჯა 4.0-ით შეაფასა.

ლომაია და აშვეთია დარჩნენ

სამწუხაროც და სასიხარულოც: **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" მომავალ წელსაც მეორე ბუნდესლიგაში გაატარებს, ისევე, როგორც **მიხეილ აშვეთიას** და **გიორგი ლომაიას** "კარლ ცაისი", რომელიც ბოლო ტურში გადარჩა. გუშინ, "ფრაიბურგმა" 2:0 დაამარცხა უმოტივაციო "კობლენცი", დააგროვა 60 ქულა (როგორც მესამე ადგილზე გასულმა "დუისბურგმა"), თუმცა **ფოლკერ ფინკეს** შეგირდებს ბურთების სხვაობა +16 აღმოაჩნდათ, ხოლო მათ კონკურენტებს +26. "კობლენცთან" მატჩში, 68-ე წუთზე, **ალექსანდრე იაშვილს** შეეძლო, სეზონი 11 გოლით დაესრულებინა, თუმცა პენალტის ნიშნულიდან მან სტუმართა გოლკიპერს ვერ აჯობა. ხიზანეიშვილმა სეზონის უკანასკნელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. იაშვილმა "გოლი პლუს პასი" სისტემით სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა: 25 (10+15), საუკეთესო მეპასეებში კი პირველზე დარჩა. ეს მატჩი ბოლო იყო იაშვილის ფრაიბურგულ კარიერაში.

გავარდნის საფრთხის წინაშე მყოფმა "კარლ ცაისმა" სტუმრად 2:1 მოუგო "აუგსბურგს", 38 ქულა დააგროვა და მეცამეტე ადგილი დაიკავა. კარგად ითამაშა გიორგი ლომაიამ, რომელმაც ორი სახიფათო დარტყმა გააუნებელყო, აშვეთიას კი დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. ბოლო ტურში **დავით სირაძის** ან უკვე ყოფილმა "აუემ" 2:2 ითამაშა **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენთან". ქართველი მცველი 84-ე წუთამდე გახლდათ მოედანზე. "შპორტალის" შეფასებები ამ ტურში ასეთი იყო: იაშვილი 2.5, ლომაია 2.5 (მატჩში საუკეთესო) და ღვინიანიძე 4.0.

ქართული ლელო ჰოლანდიაში

...მატჩი მთავრდებოდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გამართული ფლეი ოფის პირველ შეხვედრაში ანგარიში 1:1 იყო, რაც უდავოდ სტუმარ "აიაქსს" აძლევდა ხელს... და ამ დროს, "ალკმაარმა" შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშა: **დე ზეუვის** პასის შემდეგ გუნდის ქართველი კაპიტანი **შოთა არველაძე** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა და ცარიელ კარში ბურთი ლელოსავით შეიტანა - 2:1. ახლა, ყველაფერი მომავალ კვირას, საპასუხო მატჩში გადაწყდება. **ლუის ვან გაალმა** არველაძის გოლს "უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი" უწოდა.

- პასი ფლანგიდან მივიღე, მეკარესთან პირისპირ გავედი, გავცდი მას, მაგრამ კარში არ დამირტყამს, დაახლოებით ლელოსავით გარდავსახე ბურთი. მუხლი ისევ მაწუხებს, ბოლო სამი დღე წამლებით გავიჭყიპე და ისე ვითამაშე. რაც შეეხება 2 და 6 ივნისს ლიტვასთან და საფრანგეთთან სანაკრებო მატჩებს, ჯერ გაურკვეველია, შეეძლებ თუ არა თამაშს - გვითხრა მატჩის შემდეგ არველაძემ.

დემეტრაძის დაბრუნება

უკრაინაში მართლაც ალოგიკური რამ ხდება ქართველ ლეგიონერთა თავს. მაგალითად, "კრივბასი" ვერ უგებდა "ტავრიას" (0:0), ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ვასილ გიგიაძე** კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. **ოლეგ ტარანმა** ის და ლადო ბურდული ბოლომდე რეზერვში აყურყუტა. რა თქმა უნდა, ნამატჩევს ტარანს ამაზეც ჰკითხეს, მან კი მშვიდად უპასუხა - "ტავრიასთან" ორი თავდამსხმელით თამაში სარისკო იყოო.

ზაპოროჟიეში "მეტალურგი" "დნიპროს" დაუზავდა (1:1). მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **დავით კვირკველიამ**, ხოლო სტუმართა რიგებში შესვენებაზე შეცვალეს **ჯაბა კანკავა**. დონეცკში "მეტალურგმა" 2:1 აჯობა "არსენალს". ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა **გიორგი დემეტრაძე**, რომელიც 61-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში. გამარჯვების გოლი სწორედ მის მიერ ჩანოდებული კუთხურიდან გაიტანა **მენდოსამ**. სტუმართა ფორვარდმა **ლაშა ჯაკობიამ** 90 წუთი ითამაშა. მან განსაკუთრებით პირველ ტაიმში იაქტიურა.

ასათიანი? ორ კვირაშიო...

მოედანს **მალხაზ ასათიანიც** დაუბრუნდა, თუმცა ჯერ მხოლოდ მოსკოვის "ლოკომოტივის" ორმხრივ საწვრთნელ მატჩში, რომელიც "სპარტაკთან" დაპირისპირების წინ გაიმართა. თამაში ორი 20-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. რკინიგზელთა ექიმი ამტკიცებს, რომ ასათიანს "ნამდვილ" მატჩებში ორ კვირაში ვიხილავთ. და რა გამოდის? საქართველოსა და საფრანგეთის მატჩი 6 ივნისსაა, იქამდე კი ორ კვირაზე ცოტა მეტია...

პოდმოსკოვიეში ცხრილის ქვედა საფეხურებზე მყოფმა კლუბებმა ქულები გაიყვეს და ერთიც ქარს გაატანეს: "სატურნი" ნალჩიკის "სპარტაკს" დაუზავდა - 1:1. **გოგიტა გოგუამ** 90 წუთი ითამაშა, 33-ე წუთზე კი ყვითელი ბარათი მიიღო. მანამდე, მან საკუთარი კარი გოლისგან იხსნა, როცა სტუმართა ფორვარდის დარტყმული თავის თავზე მიიღო (ბურთი სახეში მოხვდა). შეუცვლელად ითამაშა სტუმართა ცენტრალურმა მცველმა **ალეკო ამისულაშვილმა, ლევან გვაზავა** კი მოედანზე 74-ე წუთიდან გამოჩნდა.

"რუბინი" სტუმრად 1:2 დამარცხდა "ზენიტთან". ამ მატჩში სტუმართა გოლკიპერმა **კოლინკომ** ისეთი უხეში შეცდომები დაუშვა, ალბათ, შემდეგ ტურში კარს **ნუკრი რევიშვილს** მიანდობენ. არ უთამაშია **ლაშა სალუქვაძესაც**. "კრილია სოვეტოვმა" სტუმრად 2:1 მოუგო "ტომს". **დავით მუჯირი** მოედანზე 77-ე წუთამდე იყო. იმ დროისთვის "კრილია" 0:1-ს აგებდა. ანგარიში მუჯირის გასვლიდან ორ წუთში მის ნაცვლად შესულმა **ტოპირმა** გაათანაბრა. "კრილია სოვეტოვი" 16 ქულით მეოთხე ადგილზე გადავიდა. სამართული კლუბი, ჯერჯერობით, ყველაზე წარმატებული "ქართული" კლუბია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სეზ. სტატ.
ინგლისი				
პრემიერლიგა, პრემიერლიგა				
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეხბერნი	-	ჩემპიონატი დასრულდა	17 თ, 0 გ.
იტალია				
სერია A, XXXVII ტური				
კახა კალაძე	მილანი-უდინეზე	2:3	არ უთამაშია	17 თ, 1 გ.
გერმანია				
ბუნდესლიგა, XXXIV ტური				
ლევან კობიაშვილი	შალკე-არმინია	2:1	90 წუთი	29 თ, 3 გ.
II ბუნდესლიგა, XXXIV ტური				
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი-კობლენცი	2:0	90 წთ, პენალტი ვერ გაიტანა	32 თ, 10 გ.
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი-კობლენცი	2:0	არ უთამაშია, სათადარიგო	13 თ, 1 გ.
დავით სირაძე	აუე-მიუნხენი	2:2	არ უთამაშია	24 თ, 2 გ.
გიორგი ლომაია	აუგსბურგი-კარლ ცაისი	1:2	90 წუთი	15 თ, -17 გ.
მიხეილ აშვეთია	აუგსბურგი-კარლ ცაისი	1:2	არ უთამაშია, დისკვალიფიკაცია	10 თ, 5 გ.
მათე ღვინიანიძე	აუე-მიუნხენი	2:2	84 წუთი (შეცვალეს)	21 თ, 1 გ.
პოლანდია				
ერედივიზიე, თასი, პლეი-ოფი				
შოთა არველაძე	ალკმაარი-აიაქსი	2:1	90 წუთი, 1 გოლი	29 თ, 15 გ.
საბერძნეთი				
სუპერლიგა				
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	3:1	ჩემპიონატი დასრულდა	19 თ, 2 გ.
ლევან მაღრაძე	ქსანთი	1:2	-	23 თ, 0
უკრაინა				
ვიშა ლიგა, XXXVII ტური				
კახა ალადაშვილი	დინამო-ხარკოვი	2:0	არ უთამაშია, დუბლები	6 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	დინამო-ხარკოვი	2:0	არ უთამაშია, დუბლები	3 თ, 0 გ.
დავით იმედაშვილი	დინამო-ხარკოვი	2:0	არ უთამაშია, დუბლები	16 თ, 4 გ.
ჯაბა კანკავა	მეტალურგი ზ.-დნიპრო	1:1	45 წთ (შეცვალეს)	21 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	მეტალურგი ზ.-დნიპრო	1:1	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი-სტალი	3:0	არ უთამაშია	17 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	მეტალურგი დ.-არსენალი	2:1	29 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. პასი	15 თ, 2 გ.
ლაფო გურჯული	კრივბასი-ტავრია	0:0	არ უთამაშია, სათადარიგო	20 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	კრივბასი-ტავრია	0:0	არ უთამაშია, სათადარიგო	26 თ, 11 გ.
გიორგი ციმაკურიძე	მეტალისტი-ილიჩივეცი	2:0	არ უთამაშია	13 თ, 0 გ.
დავით კვირკველია	მეტალურგი ზ.-დნიპრო	1:1	90 წუთი, გააფრთხილეს	22 თ, 4 გ.
ირაკლი მოდებაძე	მეტალურგი ზ.-დნიპრო	1:1	არ უთამაშია	20 თ, 3 გ.
გიორგი ჭელიძე	ზარია-ვორსკლა	0:0	33 წთ (შეცვალეს)	9 თ, 1 გ.
ლაშა ჯაკობია	მეტალურგი დ.-არსენალი	2:1	90 წუთი	12 თ, 2 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, X ტური				
გოგიტა გოგუა	სატურნი-სპარტაკი ნ.	1:1	90 წუთი, გააფრთხილეს	8 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	ზენიტი-რუბინი	2:1	არ უთამაშია	2 თ, -2 გ.
ლაშა სალუქვაძე	ზენიტი-რუბინი	2:1	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	ტომსკი-კრილია სოვეტოვი	1:2	77 წთ (შეცვალეს)	9 თ, 2 გ.
მალხაზ ასათიანი	სპარტაკი მ.-ლოკომოტივი	1:2	არ უთამაშია, ტრავმა	0 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	სატურნი-სპარტაკი ნ.	1:1	90 წუთი	10 თ, 0 გ.
ლევან გვაზავა	სატურნი-სპარტაკი ნ.	1:1	26 წთ (შეცვალეს)	8 თ, 0 გ.
დანია				
სუპერლიგა, XXVIII ტური				
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი-კოპენჰაგენი	0:1	90 წუთი	9 თ, 0 გ.



იტალია. სერია A. XXXVII ტური

რვიდან ხუთი, ხუთიდან ერთი

ტორინო, ლივორნო და კალიარი გადარჩნენ. ფიორენტინა, ემპოლი და პალერმო უეფას თასზე

"მილანს" რეპეტიცია არ გამოუვიდა. მაგრამ იყო კი ეს **კარლო ანჩელოტის** მიზანი? როგორც ჩანს, არ ყოფილა. მაშ, რატომ გადაიტანეს "უდინეზესთან" მატჩი შაბათს? ერთადერთი მიზეზით: იმიტომ, რომ "მილანს" უკვე კვირიდან დაეწყო მზადება იმ შემადგენლობით, ვინც ანჩელოტიმ ათენში უნდა იახლოს. რა თქმა უნდა, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ შემადგენლობაში იქნება **კახა კალაძეც**. საქმე ისაა, სასტარტოში თუ მოხვდება. ყველაფერი **მალდინიზეა** დამოკიდებული. თუ "მილანის" კაპიტანი ვერ გამოკეთდა, კარლეტო ძირითადში სწორედ კალაძეს დააყენებს...

მაგრამ სჯობს, დავანებოთ თავი მარჩიელობას და ორიოდ სიტყვით "მილანი"-"უდინეზეს" მატჩზეც ვთქვათ. ეს არ იყო თამაში, რომელსაც რაიმეს გადაწყვეტა შეეძლო. "როსონერიმ" ოთხეულში ადგილი უკვე გაინაღდა. უდინელებს კი აღარც გავარდნის საფრთხე ემუქრებათ და ვერც უეფას ზონაში ხვდებიან. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ წნეხისგან თავდაღწეული გუნდები ლაღ და შედეგიან ფეხბურთს ითამაშებდნენ. ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ "მილანის" შემადგენლობას მეორეხარისხოვანიც არ ეთქმოდა, "უდინეზესთვის", და განსაკუთრებით **ალბერტო მალეზანისთვის**, სამი ქულა მაინც მნიშვნელოვანი და საამაყოა. მწვრთნელს "ფრიულიზე" დარჩენა სურს. ალბათ, "სან სიროზე" გამარჯვება კარგ ხასიათზე დააყენებდა კლუბის პრეზიდენტ **ჯამპაოლო პოცოსაც**. ეს კი მალეზანისთან ახალი კონტრაქტის გაფორმების საბაბი შეიძლება გახდეს.

მატჩის ყველაზე ემოციური მომენტი კი **ალესანდრო კოსტაკურტას** გაცილება გახლდათ. 41 წლის "პროფესორი", რომელმაც გუშინწინ უკანასკნელად მოირგო "მილანის" მაისურა, მომავალი სეზონიდან ანჩელოტის შტაბში იმუშავებს. ვეჭვობთ, უმოტივაციო მატჩზე ამხელა დასწრება სწორედ კოსტაკურტას ფაქტორმა განაპირობა. სიმბოლური იყო ისიც, რომ "უდინეზეს" კარში დანიშნული პენალტი საღამოს მთავარმა გმირმა შეასრულა, და შეასრულა უნაკლოდ. შეიძლება, ნაგებამ ცოტათი გააფერმკრთალა "ბილის" საღამო. და კიდევ: ოთხთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, "მილანის" შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ფორვარდი **მარკო ბორიელო**.

იქიდან გამომდინარე, რომ სერია A-დან გავარდნის საფრთხე ერთბაშად 8 გუნდს ემუქრებოდა, რამდენიმე მატჩი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. მაგრამ მარტო გასავარდნი ზონა არა, კიდევ 4 გუნდი უეფას თასზე მოსახვედრად იბრძოდა. ამ მხრივ, საინტერესო თამაში იყო მოსალოდნელი ემპოლიში, სადაც ადგილობრივი გუნდი "რეჯინას" მასპინძლობდა. ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა და... ორივემ მოიგო, ოღონდ თითო ტაიმი: პირველ 45 წუთში "ემპოლიმ" 3 უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს, მეორეში კი ამდენივე საკუთარ კარში მიიღო - 3:3. მასპინძლებისთვის ფრე უეფას თასის საგზურის ტოლფასი აღმოჩნდა. ისე, ასეთი მატჩები ყოველთვის ეჭვს იწვევს, მაგრამ რა გითხრათ, თუ ამის საფუძველი მართლაც იყო, იტალიური პრესა აუცილებლად აყვირდება. ახლა, "რეჯინას" იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც გასავარდნ სამეულში პირველ ადგილზე მყოფ "სიენას". არადა, რეჯოკალაბრიული კრებული სერია B-სთვის გასამეტებელი ნამდვილად არ არის. **ვალტერის მაძარის** გუნდმა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, საუკეთესო სეზონი ჩაატარა და რომ არა დაკლებული ქულები, წყნარად იქნებოდა მე-10 ადგილზე. ბოლო ტურში "რეჯინა" ფინალგამოვლილ "მილანს" ეთამაშება და უსიკვდილოდ მოგება სჭირდება. ღმერთმა იცის, რა ხასიათზე იქნება "როსონერი"...

"ემპოლისთან" ერთად, საევროპო ბილეთები "ფიორენტინამ" და "პალერმომაც" დაიბევეს. **ჩეზარე პრანდელის** შეგირდები მესინაში 2:0-ს იგებდენ და თითქოს, საქმე წარმატებით უნდა მოემთავრებინათ, მაგრამ... არბიტრმა 3 პენალტი დანიშნა და აქედან, ორი სტუმართა კარში. ვეტერანმა ფორვარდმა **რიგანომ**, რომელიც ერთი წლის სწორედ "ფიორენტინის" ღირსებას იცავდა, ორიდან ერთი 11-მეტრიანი გამოიყენა, ერთიც თამაშიდან შეაგდო. ერთი პენალტი გაიტანა ფლორენციელმა **პაცინიმაც**.

"პალერმომ" იოლად (ანგარიშმა არ შეგაცდინოთ) მოუგო "სიენას". "რენცო ბარბერა" გუნდში დაბრუნებულ **ფრანჩესკო გვიდოლინს** განსაკუთრებული ემოციების გარეშე შეხვდა. სენსაციური დაბრუნება იღბლიანი გამოდგა. ახლა დიდია შანსი, რომ გვიდოლინმა მომავალ სეზონშიც "პალერმოში" იმუშაოს. რას გაუგებ კაცი სიცილიელთა ოდიოზურ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის?**

"ტორინო"-"ლივორნო" გაჭირვებულთა უშუალო დაპირისპირება იყო. ორივე გუნდს სჭირდებოდა გამარჯვება, მაგრამ გოლები არ გასულა. საგულისხმოა, რომ არბიტრს მოთამაშეთათვის ერთი ყვითელი ბარათიც არ უჩვენებია. ვფიქრობთ, მწვრთნელებმა არ გარისკეს და ფრეზე "შეთანხმდნენ". ეს ფრე კი სერია A-ში დარჩენის გარანტია აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან "კატანია" და "კიევო". აქედან, ერთ-ერთი ნამდვილად ვერ მიაღწევს 40-ქულიან ზღვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ლივორნოსა" და "ტორინოს" უკვე აქვთ ზეიმის მიზეზი...

...ისევე, როგორც "კალიარის", რომელმაც უმოტივაციო "რომასთან" უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და სერია A-ში ადგილი შეინარჩუნა. ამდენად, რვიდან ხუთი გუნდი დარჩა უბედურების ზღვარზე, ხოლო ამ ხუთიდან ერთი უნდა გავარდეს. რაც შეეხება სარდინიულ მატჩს, აქ **ტოტიმ** დუბლი გაახერხა. "ჯალოროსის" კაპიტანს 24 გოლი დაუგროვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბომბარდირის ტიტულს ველარავინ წაართმევს (ზღაპრებზე ნუ ვისაუბრებთ). ამას გარდა, "პუპონემ" კარიერაში 200 გოლიც მიითვალა.

"ასკოლიმ" "კიევოს" დაუტოვა 3 ქულა. ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. მთელი მეორე ნახევარი **ლუიჯი დელ ნერის** სამწყსო მიღწეულის შენარჩუნებას ცდილობდა. ტაქტიკამ გაამართლა, თუმცა გადამწყვეტი დაპირისპირება ჯერ კიდევ წინაა. აკი გითხარით, რომ ბოლო ტურში ვერონელები სიცილიაზე "კატანიასთან" ჩადიან...

ეს უკანასკნელი გენუაში ბოლო წამებამდე ცდილობდა თუნდაც ქულის ალებას, მაგრამ არ გამოვიდა. მაყურებელი გულთბილად დაემშვიდობა **ვალტერ ნოველინოს**, რომელმაც "სამპდორიას" "მარასიზე" ბოლოჯერ უხელმძღვანელა. ბევრი არაფერი გამოუვიდა "პარმასაც". მიუხედავად აზარტული თამაშისა, **კლაუდიო რანიერის** გუნდი "ლაციოსთან" გასვლაზე უგოლო ფრეს დასჯერდა, არადა, მეტი იყო საჭირო...

დაბოლოს, ერთი მატჩი, რომელიც არაფერს წყვეტდა. "ატალანტამ" და "ინტერმა" ბერგამოში 1:1 ითამაშეს. შეხვედრის ერთადერთი ინტრიგა ის იყო, შეძლებდა თუ არა **კრისტიან ვიერი** გოლის გატანას თავისი ყოფილი გუნდის კარში. "ბობო" 54-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაგრამ მოედანი უგოლოდ დატოვა. და "ნერაძურის" ერთი რეკორდიც: ამ მომენტისთვის მას 94 ქულა აქვს, რაც იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში არნახული შედეგია.

ბოლო ტური

27 მაისი. **ლივორნო-ატალანტა, ასკოლი-კალიარი, კატანია-კიევო, პარმა-ემპოლი, სიენა-ლაციო, რომა-მესინა, რეჯინა-მილანი, უდინეზე-პალერმო, ფიორენტინა-სამპდორია, ინტერი-ტორინო.**

მილანი-უდინეზე 2:3

მილანი: სტორარი-5, ბონერა-5.5, შიმიჩი-5, ფავალი-6 (67. დარმიანი-6), გრიმი-5.5 (76. გუერჩი-შ.გ), ბროკი-6.5, კოსტაკურტა-8 (59. დი ჯენარო-6), გურკუფი-6.5, სერჯინიო-5.5, ოლივეირა-5.5, ბორიელო-5.5.

უდინეზე: დე სანქტისი-7, კოდა-6, ნატალი-6, საპატა-6, დოსენა-6, მოტა-6 (51. სიკეირა-6), გ. დ'აგოსტინო-6.5, მუნტარი-7, ბარეტო-7 (68. ზივოკი-6), დი ნატალე-7 (81. პოჯა-შ.გ), გიანი-6.5.

გოლები: 0:1 გიანი (10), 1:1 გურკუფი (36), 1:2 დი ნატალე (53), 2:2 კოსტაკურტა (57-პენ), 2:3 ბარეტო (61)

გაფრთხილება: 2-1; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 22-18 (12-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 51 124

ატალანტა-ინტერი 1:1

ატალანტა: კალდერონი-6.5, ლორია-6, პერეირა ადრიანო-6.5, რივალტა-6, კაროციერი-5.5, პინტუ-7, არიატი-6.5, ტისონე-6, აბეიხონი-6.5 (53. დონატი-6), ბერნარდინი-6.5 (75. ბომბარდინი-შ.გ), ძამპანია-6 (54. ვიერი-6).

ინტერი: ჟულიო სეზარი-6, ანდრეოლი-6.5 (65. ხ. ძანეტი-6), გროსო-6, ბურდისო-6, კორდობა-6, გონსალესი-6, კამბიასო-6, სოლარი-6 (59. მაიკონი-6), სტანკოვიჩი-6.5, დაკური-6 (39. ფიგუ-6.5), კრესპო-6.5.

გოლები: 1:0 პინტუ (10), 1:1 ფიგუ (47-პენ)

გაფრთხილება: 4-0; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 23-15 (17-9); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 16 000

კალიარი-რომა 3:2

კალიარი: კიმენტი-6, ლოპესი-6.5, ბიანკო-6, დელ გროსო-6 (90. კაპონე-შ.გ), ფერი-6, ლ. კოლუჩი-6, მარკინი-7 (71. ბუდელი-შ.გ), ბიონდინი-6.5, კონტი-6.5, სუასო-8 (84. აგოსტინი-შ.გ), პეპე-6.5.

რომა: კურჩი-5.5, მექსე-6, მ. ფერარი-5.5 (63. როზი-6), პანუჩი-6.5, ტონეტო-6, აკვილანი-6.5, ტადეი-6, ვილჰელმსონი-6 (74. ტავანო-შ.გ), პეროტა-6.5, დე როსი-5.5 (34. ფატი-6), ტოტი-7.

გოლები: 1:0 სუასო (13), 1:1 ტოტი (29-პენ), 2:1 მარკინი (40), 3:1 მარკინი (68), 3:2 ტოტი (85)

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 14-19 (8-10); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

მაყურებელი: 20 000

ლაციო-პარმა 0:0

ლაციო: ბერნი-6 (84. პერუცი-შ.გ), კრიბარი-6.5, ბონეტო-5.5, სტენდარდო-6, მანფრედინი-6, ხიმენესი-5, ფირმანი-6, დე სილვესტრი-6.5, ლედესმა-6 (70. ბარონიო-6), როკი-6.5, პანდევი-5 (65. ს. ინძაგი-6).

პარმა: ბუჩი-6.5, პაჩი-6, კასტელინი-6, ფერნანდო კოუტუ-6, კოლი-6.5, გრელა-6, პარავიჩინი-6 (74. ჩიგარინი-6), დესენა-6, ბუდანი-5 (46. გასბარონი-6), ჯ. როსი-6 (88. ბოკეტი-შ.გ), მუსლიმოვიჩი-6.5.

გაფრთხილება: 2-0; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9-13 (6-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

მაყურებელი: 40 000

მესინა-ფიორენტინა 2:2

მესინა: პოლეტი-5.5, კანდელა-6, პარიზი-5.5 (59. კორდოვა-6), მორელო-5.5 (46. კალა-6), ჯალომბარდო-5.5, მაზიელო-5.5 (77. მონტელა-შ.გ), ლავეკია-6, ალვარესი-6, პესტრინი-5, დ'ავერსა-5.5, რიგანო-6.5.

ფიორენტინა: ფრეი-6.5, კროლდრუპი-6, გამბერინი-6.5, უიფალუში-6, გობი-6, იორგენსენი-6 (60. კუჟმანოვიჩი-6), მონტოლივო-6.5, ბლაზი-6, ლივერანი-6.5, პაცინი-7, რეჟინალდო-5.5.

გოლები: 0:1 პაცინი (25-პენ), 0:2 გამბერინი (58), 1:2 რიგანო (81), 2:2 რიგანო (88-პენ)

31-ე წუთზე რიგანომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: 3-1; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 7-21 (4-11); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

მაყურებელი: 2 500

ემპოლი-რეჯინა 3:3

ემპოლი: ბასი-6, მარძორატი-6, ასკოლი-5.5 (66. იაკოპინი-5.5), ტოსტო-6.5 (71. ფიჩინი-5), რაჯი-6, დ. მორო-6.5, მარიანინი-6, ვანუკი-7.5, ბუშე-7, ალმირონი-6.5, საუდატი-6.5 (88. კორალი-შ.გ).

რეჯინა: კამპანიოლო-5, ლანძარო-5 (78. ნარდინი-შ.გ), მოდესტო-5.5, არონიკა-6, ა. ლუკარელი-5.5, ჯაკ. ტედესკო-6, ამერინი-4.5 (32. გაცი-5), მესტო-5 (51. ვიჯანი-7), ამორუზო-7, ფოჯა-6, ბიანკი-5.

გოლები: 1:0 ვანუკი (9), 2:0 დ. მორო (22), 3:0 საუდატი (23), 3:1 ვიჯანი (52), 3:2 ამორუზო (56), 3:3 ამორუზო (84-პენ)

გაფრთხილება: 4-4; **კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 37-28; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 13-9 (6-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 10 000

პალერმო-სიენა 2:1

პალერმო: ა. ფონტანა-6.5, დელაფიორე-6.5, მ. პიზანო-6.5, ბარძალი-6.5, ძაკარდო-6.5, ბრეშანო-6 (66. კაპუანო-6), კორინი-8, ბრიენცა-6 (87. ჯაკომაცი-შ.გ), ჯოვ. ტედესკო-6.5, გუანა-6 (57. ჩარამიტარო-შ.გ), კარაჩოლო-7.

სიენა: მანინგერი-6.5, რინაუდო-6 (77. ერიომენკო-შ.გ), მოლინარო-5.5, პორტანოვა-6, ნეგრო-6, კოდრეა-5.5 (55. ალბერტო-6), ანტონინი-5.5, ვერგასოლა-5.5, გალოპა-6.5, მაკარონე-6, ლოკატელი-6 (42. ფრიკი-5.5).

გოლები: 1:0 კორინი (26), 2:0 კარაჩოლო (45), 2:1 მაკარონე (90)

გაფრთხილება: 1-1; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-12 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 20 043

სამპდორია-კატანია 1:0

სამპდორია: კასტელაცი-7, ფალკონე-6, აკარდი-6, კ. ძენონი-6.5, მაჯო-6, პიერი-6, დ. ფრანჩესკინი-6 (74. სალა-6), ჯ. დელვეკიო-6 (56. ციგლერი-6), პალომბო-6, ვოლპი-6.5 (90. არნულფო-შ.გ), კვალიარელა-6.5.

კატანია: პანტანელი-5.5, სტოვინი-6, ვარგასი-5.5, სეზარ ვინისიუ-5.5, სარდო-6 (61. სილვესტრი-5), იცკო-5.5 (68. კორონა-5.5), კაზერტა-6, ბაიოკო-6, ედუსეი-6, სპინეზი-5.5 (83. როსინი-შ.გ), მასკარა-6.

გოლი: 1:0 კ. ძენონი (65)

გაძევება: სილვესტრი (90. კატანია)

გაფრთხილება: 2-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 26-25; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 19-10 (7-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

მაყურებელი: 11 000

ტორინო-ლივორნო 0:0

ტორინო: აბიატი-6.5, ი. ფრანჩესკინი-6, ბალესტრი-6, ო. ბრევი-6, კომოტო-6, ლაზეტიჩი-6, ბარონე-6, როზინა-5, დე აშენტისი-6, არდიტო-5.5 (46. დი ლორეტო-6), მუცი-6 (63. აბრუსკატო-6).

ლივორნო: მანიტა-6, გრანდონი-6, პასკუალე-6 (68. კნეჟევიჩი-შ.გ), პავანი-6, გალანტე-6, პფერტცელი-6 (54. ბალერი-6), ა. ფილიპინი-6 (83. კოპოლა-შ.გ), პასონი-6, ფიორე-7, მორონე-6, პაულინიო-6.

გაფრთხილება: 0-0; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 13-7 (7-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 23 000

კიევო-ასკოლი 1:0

კიევო: სკუიცი-6, მანტოვანი-6.5, ლანა-6.5, მანდელი-6, მალაგო-6, სემიოლი-6.5, მარკოლინი-6.5 (89. იტალიანო-შ.გ), სამარკო-6, ბრიგი-6, ბოგდანი-5.5 (51. ობინა-6.5), პელისიე-6 (86. კოსატო-შ.გ).

ასკოლი: ბოკოლინი-6.5, ლომბარდი-6, პეშე-6, მელარა-6, მინიერი-5.5 (78. ბელუში-შ.გ), ბონანი-5, ბუდიანსკი-6.5, გუბერტი-5.5 (55. პერული-6), პ. ძანეტი-6.5, სონჩინი-5, პაოლუჩი-6 (46. ყობი-5).

გოლი: 1:0 მარკოლინი (44)

გაფრთხილება: 1-1; **კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16-7 (9-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 12 706

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	37	29	7	1	77-34	94
2. რომა	37	21	9	7	70-31	72
3. ლაციო	37	18	11	8	58-31	62
4. მილანი	37	18	12	7	57-34	61
5. ფიორენტინა	37	20	10	7	57-30	55
6. პალერმო	37	15	10	12	56-50	55
7. ემპოლი	37	14	12	11	41-40	54
8. ატალანტა	37	12	14	11	54-50	50
9. სამპდორია	37	13	10	14	43-43	49
10. უდინეზე	37	12	10	15	48-53	46
11. კალიარი	37	9	13	15	34-46	40
12. ლივორნო	37	9	13	15	37-52	40
13. ტორინო	37	10	10	17	27-44	40
14. კიევო	37	9	12	16	38-46	39
15. პარმა	37	9	12	16	38-55	39
16. კატანია	37	9	11	17	44-68	38
17. რეჯინა	37	11	15	11	50-50	37
18. სიენა	37	8	14	15	33-44	37
19. მესინა	37	5	11	21	34-65	26
20. ასკოლი	37	4	12	21	34-66	24

ბომბარდირები: 24 - ტოტი (რომა); 18 - ბიანკი (რეჯინა), კ. ლუკარელი (ლივორნო); 17 - რიგანო (მესინა), სპინეზი (კატანია); 16 - ამორუზო (რეჯინა), ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა), როკი (ლაციო); 14 - კრესპო (ინტერი), იაკუინტა (უდინეზე), სუასო (კალიარი); 13 - კ. დონი (ატალანტა), საუდატი (ემპოლი);

სერია B

XXXIX ტური

არეცო-იუვენტუსი 1:5

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (72. ბირინდელი), ბუმსონგი (77. კოვაჩი), კიელინი, ბალცარეტი, მარკიონი (82. პალადინო), კ. ძანეტი, მარკიზიო, ნედვედი, ტრეზეგე, დელ პიერო.

გოლები: 0:1 დელ პიერო (19), 0:2 კიელინი (34), 1:2 ფლორესი (45), 1:3 კიელინი (49), 1:4 დელ პიერო (76), 1:5 ტრეზეგე (87)

ფროზინონე-ტრევიზო 1:1

გოლები: 1:0 მარჯოტა (74), 1:1 რუსოტო (87)

ჩეზენა-პიაჩენცა 1:1

გოლები: 0:1 სტამილა (25), 1:1 პელე (59)

ტრიესტინა-კროტონე 2:0

გოლები: 1:0 ბრიანო (16), 2:0 ელიაკვუ (90)

ნაპოლი-მოდენა 1:1

გოლები: 1:0 სოსა (32), 1:1 ტამბურინი (45)

გაძევება: ჯილიოლი (86. მოდენა)

ვიჩენცა-ლეჩე 1:3

გოლები: 0:1 ტირიბოკი (15), 1:1 პადოინი (28), 1:2 ტირიბოკი (56), 1:3 ტირიბოკი (90)

პესკარა-ალბინოლეფე 2:3

გოლები: 0:1 რუოპოლო (46), 0:2 კრისტიანო (52), 1:2 მარტინი (56-პენ), 1:2 პოლონი (78), 2:3 ოლივიერი (88)

მანტოვა-ვერონა 0:2

გოლები: 0:1 ტურატი (53), 0:2 ბაბუ (88)

გაძევება: ბერნაჩი (90. მანტოვა)

სპეცია-რიმინი 3:4

გოლები: 0:1 ყედა (2-პენ), 1:1 კოლომბო (3), 1:2 ადონა (9-საკ. კარში), 1:3 რიკიუტი (42), 2:3 სკარლატო (89), 2:4 ბრავო (90), 3:4 გუიდეტი (90-პენ)

ბოლონია-ბრეშა 0:1

გოლი: 0:1 სერაფინი (27)

გაძევება: ბელუჩი (87. ბოლონია)

ბარი-ჯენოა 2:2

გოლები: 1:0 განჩი (51), 2:0 სკალია (57), 2:1 კრიშიტო (65), 2:2 დი ვაიო (80)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	39	27	10	2	79-26	82
2. ჯენოა	39	22	8	9	65-43	74
3. ნაპოლი	39	19	15	5	48-28	72
4. რიმინი	39	16	15	8	52-34	63
5. მანტოვა	39	14	19	6	45-32	61
6. პიაჩენცა	39	18	7	14	52-47	61
7. ბოლონია	39	16	10	13	44-39	58
8. ბრეშა	39	16	10	13	41-40	58
9. ალბინოლეფე	39	11	20	8	42-38	53
10. ლეჩე	39	15	7	18	50-51	52
11. ჩეზენა	39	12	13	14	49-59	49
12. ვიჩენცა	39	11	14	14	40-38	47
13. ტრევიზო	39	10	16	13	40-42	46
14. ტრიესტინა	39	11	14	14	35-45	46
15. ბარი	39	10	14	15	34-40	44
16. ფროზინონე	39	10	14	15	38-50	44
17. სპეცია	39	10	13	16	45-55	43
18. მოდენა	39	10	12	17	35-44	42
19. ვერონა	39	10	12	17	28-41	42
20. არეცო	39	10	14	15	37-45	38
21. კროტონე	39	7	11	21	32-61	32
22. პესკარა	39	5	10	24	34-67	24

ბომბარდირები: 20 - დელ პიერო (იუვენტუსი); 17 - ბელუჩი (ბოლონია); 15 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 14 - კაჩა (პიაჩენცა); 13 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 12 - კალაიო (ნაპოლი); 11 - კარიდი (მანტოვა), ყედა (რიმინი), შეოხი (ვიჩენცა); 10 - ფლორესი (არეცო), გუიდეტი (სპეცია), ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), მარჯოტა (ფროზინონე), ნედვედი (იუვენტუსი), პელე (ჩეზენა), პოსანცინი (ბრეშა), ტირიბოკი (ლეჩე).

სერია B. XXXIX ტური

Ba...stA!!!

იუვე ისევ ელიტაშია

Ba...stA!!! - ასე ეწერათ "იუვენტუსის" მოთამაშეებს შიდა მაისურებზე. B და A ერთი სერიიდან მეორისკენ განვლილი გზაა, Ba...stA კი, მთლიანობაში, ნიშნავს - საკმარისია! მორჩა და გათავდა! ან რაღაც ამდაგვარს. და მართლაც, საკმარისია! მორჩა და გათავდა: "იუვემ" არეცოში ადგილობრივი გუნდი 5:1 გაანადგურა და სერია B-ს დასრულებამდე სამი ტურით ადრე მთავარ დივიზიონში დასაბრუნებელი ბილეთი გაინაღდა. ანუ, დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილია. შინაური თაღლითების გამო სასტიკად დასჯილმა ტურინელებმა საკუთარ თავში ძალები თავადვე მონახეს. ფეხბურთელთა დიდმა ნაწილმა კლუბს უმაგალითო ერთგულება დაუმტკიცა... ვინ იფიქრებდა, რომ **ბუფონი, ნედვედი, კამორანეზი, ტრეზეგე** და **დელ პიერო** თავაწეულები გაუდგებოდნენ სერია B-ს გზას. სწორედ ამ ხალხისა და **დიდიე დეშამის** მეცადინეობით, გუნდმა ერთ სეზონში გაიკაფა გზა იქითკენ, სადაც მას ელოდნენ. აბსოლუტურად გულწრფელი იყო "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი**, როცა ამ სეზონის დასაწყისშივე ამბობდა: "იუვენტუსის" გარეშე სერია A-ს ეშხი არ აქვსო...



დიდიე დეშამი არეცოში ზეიმის დროს

...არეცოს პატარა სტადიონი ზეიმმა მოიცვა, თუმცა ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა **ჟან კლოდ ბლანმა** პატარა კომენტარისთვის მაინც მოიცალა. მისი სიტყვები მნიშვნელოვანი იყო ტიფოზებისთვის, რომლებიც დეშამის დარჩენას ითხოვენ: *"ეს უდიდესი სიხარულის დღეა. და ასევე, ეს არის დღე, საიდანაც ახალი გზა იწყება, ახალი გზა დეშამთან ერთად. ამას ყოველთვის ვამბობდი: დიდიე ჩვენთან რჩება"*.

Buon tornato, Juve!

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXV ტური

რიიკაარდს ღიმილი დაუბრუნდა

ბარსელონამ ატლეტიკოს ბოლმა დაანთხია, რეალი კვლავ ბოლო წუთზე გადარჩა

ბარსა გაცოცხლდა

პრიმერა დივიზიონის სათავეში სიტუაცია არ შეცვლილა. გათამაშებას კვლავ "რეალი" ლიდერობს, თუმცა ეს ლიდერობა ჯერჯერობით პირობითია. როგორც ჩანს, ჩემპიონის ბედი ბოლო ტურამდე არ გადაწყდება. "ბარსელონამ" "ვისენტე კალდერონზე" ისეთი შეხვედრა ჩაატარა, კატალონიელთა ნაადრევად ჩამოწერა არაფრით არ შეიძლება. **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდთა გმირობაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი **ფაბიო კაპელოს** გუნდზე ვისაუბროთ.

"რეალს" ზედიზედ მეორედ გაუმართლა, მაგრამ გამართლებაცაა და გამართლებაც. ამ ორ თამაშს შორის განსხვავება კი ისაა, რომ თუ "ესპანიოლთან" წინა შეხვედრაში მდევრის როლში მუდმივად სამეფო კლუბი იყო, ამჯერად, "რეკრეატივოს" უწევდა გადარჩენაზე ზრუნვა. ამ ამოცანას მან ერთხელ წარმატებით გაართვა თავი, თუმცა ძალა აღარ ეყო და "რეალიდან" მიმავალ **რობერტო კარლოსს** უაღრესად საჭირო გოლის გატანის საშუალება მისცა.

ყველაფერი **რობინიოს** გოლით დაიწყო. ბრაზილიელმა მე-8 წუთზე **ბექჰემის** დიდებული პასი მიიღო და სტუმრები ეფექტური თავურით დაანინაურა. მეორე გოლამდე დიდი დრო გავიდა. **ვან ნისტელროიმ** 53-ე წუთზე იყოჩაღა. ჰოლანდიელმა რობინიოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. როგორც ხედავთ, რობინიომ მადრიდელთა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. "რეკრეატივომ", რომელმაც სამეფო კლუბი პირველ წრეში "ბერნაბეუზე" 3:0 დაამარცხა, უკან არ დაიხია. ანდალუსიელებმა შეტევა მნიშვნელოვნად გააძლიერეს. 73-ე წუთზე **გახომ უჩე** წესების დარღვევით შეაჩერა და 11-მეტრიანი უკვე **კასილიასის** კარში დაინიშნა. **ხესუს ვასკესმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე თავად უჩემაც შეაგდო და სტუმრები შოკში ჩააგდო. კაპელოს ბიჭებმა იმედი არ დაკარგეს. მათ ზედიზედ რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს მეტოქის კარზე და როგორც ზემოთ გითხარით, გაუმართლათ კიდეც. მრავალსვლიანი კომბინაციის ბოლო უმეთვალყურეოდ დარჩენილი კარლოსი და გამარჯვების გოლი იყო...

სიხარული სუფევდა "ვისენტე კალდერონის" იმ ტრიბუნაზეც, სადაც "ბარსელონის" გულშემატკივრები ისხდნენ. ესპანელი ჟურნალისტები "ატლეტიკოს" წინასწარ გამარჯვებულად აცხადებდნენ და სამეფო კლუბს ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ... ამ ცინიზმის ფონზე "ბარსამ" ხასიათის გასაოცარი სიმტკიცე და ჩვეული კლასი გამოამჟღავნა. კატალონიურმა გიგანტმა ჭეშმარიტად საჩემპიონო შეხვედრა ჩაატარა. ამ თამაშის შემხედვარეს, აუცილებლად გაუჩნდებოდა კითხვა, თუ როგორ "მოახერხეს" რიიკაარდის ბიჭებმა "ბეტისთან" ორი ქულის გაფლანგვა. ერთი სიტყვით, "ბარსამ" "როხიბლანკო" მიწასთან გაასწორა. თუ **ხავიერ აგირეს** თავმოყვარეობა აქვს, დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. მასპინძლებმა გააფთრებულ მომხვდურს მხოლოდ ნახევარი საათით გაუწიეს წინააღმდეგობა. ამის შემდეგ, "ატლეტიკოს" ალიყური ალიყურზე ხვდებოდა. პირველად, **მესიმ** გაიბრწყინა. არგენტინელმა ბურთი დრიბლინგით წაიღო, **ეტოოსთან** კედელი გაათამაშა და ანგარიში გახსნა. რამდენიმე წუთში **ძამბროტამ** წინ გამოსული მეკარე შენიშნა და ბურთი თავზე გადაუგდო. შესვენებამდე წუთი რჩებოდა, როცა **რონალდინიომ** სწრაფი შეტევა წამოიწყო და კომბინაციაში ჩართო **დეკუ,** რომელმაც კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ კი ეტოომ ბურთი ნახტომში გაიტანა.

მეორე ტაიმში "ბარსა" კიდევ უფრო აგრესიული და უფრო ეფექტურიც გახდა. 57-ე წუთზე სტუმრებს ფანტასტიკური შეტევა გამოუვიდათ. ბოლო ფაზაში ეტოომ "კედელი" გაითამაშა რონალდინიოსთან, რომელსაც ბურთის ბადეში შეგორება არ გასჭირვებია. მერე მესის დუბლი შეასრულა, ხოლო წერტილი შეცვლაზე შესულმა **ინიესტამ** დასვა. სხვათა შორის, ამ ეპიზოდში ეტოომ სამაგალითო გულისხმიერება გამოიჩინა. მას თავადაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ უკეთეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს დროულად მიაწოდა - 6:0. შეუძლებელია, ამ საოცარმა გამარჯვებამ ფეხბურთელების განწყობაზე არ იმოქმედოს. ბოლოს და ბოლოს, რიიკაარდს სახეზე ღიმილი დაუბრუნდა...

მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, **ხოაკინის** მიერ გატანილი გოლის წყალობით, "ვალენსიამ" ტიტულის შანსი შეინარჩუნა. მართალია, მიმმხილველთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ "ღამურები" ლიდერთა სამეულს სერიოზულ კონკურენციას ვერ გაუწევენ, მაგრამ უდავოა - **კიკე სანჩეს ფლორესის** შეგირდების ამ საგარეო გამარჯვებას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ერთი-ორად გაიუმჯობესეს.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ სტუმრებმა შეხვედრის მნიშვნელობა და ფასი საკმაოდ გვიან გააცნობიერეს. პირველი ტაიმის განმავლობაში ისინი უდიდეს ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ თავს იმდენად არ ინუხებდნენ, რომ საქმე საგოლე მომენტებამდე მიეყვანათ. რატომღაც, ვალენსიელები შეტევაში მეტისმეტად ინერტულად მოქმედებდნენ. თავის მხრივ, თავდასხმაში აქტიურობით არც ბალეარელები გამოირჩეოდნენ. შესვენების შემდეგ კი სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. პირველ ხუთ წუთში რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. ჯერ **ხონასმა** სცადა ბედი, მაგრამ მისი დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა მიზანს, ხოლო შემდეგ, მოვლენათა ეპიცენტრში **დავიდ სილვა** მოექცა. "ვალენსიის" ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ღსტატური პასით **ანგულო** შესანიშნავ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ვიტერანმა ვერ ივარგა და ბურთი **მოიას** ნადავლი გახდა. რამდენიმე წამში, **იბაგასა კანისარესთან** პირისპირ გავიდა, თუმცა არგენტინელმა "ღამურების" კიპერს დუელი ვერ მოუგო. თითქოს, გუნდები შეშინდნენო და ტემპი მომენტალურად დავარდა. თამაში მხოლოდ საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე გამოცოცხლდა. "ვალენსიამ" ანგარიშის გახსნის არაერთი შესაძლებლობა გაანიავა და თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სტუმრებმა მაინც იძალეს და კუნძულელებს გამარჯვება გამოსტაცეს. ხოაკინმა მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და მოიას აულებელი დაურტყა.

უბრალოდ, გამაოგნებელია "სევილიის" შემართება, ბრძოლისუნარიანობა და საკუთარი თავის რწმენა. რამდენიმე დღის წინ, **ხუანდე რამოსის** შეგირდებმა უეფას თასი მოიგეს, მოიგეს 120-წუთიანი უმძიმესი დაპირისპირების შედეგად. ცხადია, ეს ყველაფერი კოლოსალურ ფიზიკურ და მორალურ ძალას მოითხოვდა. და ყოველივე ამის შემდეგ, ისინი პრიმერა დივიზიონშიც ბოლომდე იბრძვიან გამარჯვებისთვის. მიუხედავად ამისა, მიმომხილველებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ "სევილია" "დეპორტივოს" მისსავე მოედანზე დაამარცხებდა. ეჭვი არ გამართლდა. რამოსის ვაჟკაცებმა ლაკორუნიელები, მცირეხნიან მონაკვეთში, ზედიზედ მესამედ დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ მანამდე, ანდალუსიელებმა "დეპორს" ესპანეთის სამეფო თასის ორი ნახევარფინალური შეხვედრაც მოუგეს.

სტუმართა დამსახურება ორმაგად დასაფასებელია. საქმე ისაა, რომ მატჩის 71-ე წუთზე **ბოდიპომ** შორეული დარტყმით ანგარიში გახსნა და სტუმრები, ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მათ ადგილზე ბევრი გატყდებოდა, მაგრამ "სევილია" ასეთ კლუბთა კატეგორიას არ განეკუთვნება. მათ ტემპი გაზარდეს და საწადელს მალევე მიაღწიეს. ჯერ იყო და, **რენატომ ღუდას** მიერ გათამაშებული საჯარიმოს შემდეგ თავურით გაათანაბრა, ხოლო კიდევ შვიდ წუთში **კანუტემ,** ნავასის პასით, გამარჯვების გოლიც შეაგდო.

მომდევნო ტური

26 მაისი. **რეალი-დეპორტივო, ბარსელონა-ხეტაფე.** 27 მაისი. **ბილბაო-მალიორკა, სელტა-ბეტისი, რასინგი-ლევანტე, ოსასუნა-სოსიედადი, ხიმნასტიკი-ატლეტიკო, რეკრეატივო-ესპანიოლი, ვალენსია-ვილიარეალი, სევილია-სარაგოსა.**

რობერტო კარლოსი გამარჯვების გოლის შემდეგ

ბეტისი-ხიმნასტიკი 1:1

ბეტისი: კონტრერასი, ილიჩი, ნანო, ხუანიტო, ისიდორო, ასუნსაო, ფოგელი, კაპი (21. რობერტი), ოდონკორი (24. ფერნანდო), სობისი, ედუ (33. ჩისკო).

ხიმნასტიკი: რუბენ პერესი, კალვო, ნავასი, მატელაიანი, მარკო, მერინო (21. ისმაელი), მაბოდი, კამპანო (24. კუელარი), პორტილიო, რუბენ კასტო (35. მაკუკულა), ხენერელო.

გოლები: 0:1 პორტილიო (88-პენ), 1:1 ჩისკო (90+2-პენ)

გაძევება: ფოგელი (ბეტისი)

გაფრთხილება: 4-1; **დარტყმა:** 24(10)-10(4); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 22-22; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

მაყურებელი: 35 000

მალიორკა-ვალენსია 0:1

მალიორკა: მოია, ექტორი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ნავარო, ვარელა (71. იანკოვიჩი), პერეირა, ბასინასი, ხონასი, იბაგასა, არანგო (77. ვიქტორ კასადესუსი).

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, მარჩენა, ალბელდა (66. ბარახა), ხოაკინი, სილვა (82. ხორხე ლოპესი), ანგულო (59. გავილანი), ვილია.

გოლი: 0:1 ხოაკინი (89)

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა:** 9(4)-11(4); **კუთხური:** 6-9; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 8-17; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 18 000

სარაგოსა-ბილბაო 4:3

სარაგოსა: სესარი, დიოგო, სერხიო ფერნანდესი, გაბი მილიტო, ხუანფრანი, დ'ალესანდრო (72. ლაფიტა), საპატერი, მოვილია, აიმარი (90+3. სელადესი), სერხიო გარსია (81. ლონგესი), დიეგო მილიტო.

ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, სარიეგი, ამორებიეტა (46. ხავი გონსალესი), მურილიო, ირაოლა, იესტე, გაბილონდო (83. ლორენტე), ხავი მარტინესი (56. ეჩებერია), ადურისი.

გოლები: 1:0 დიეგო მილიტო (16), 2:0 დიეგო (19), 2:1 ადურისი (36), 3:1 სერხიო გარსია (37), 4:1 მურილიო (45-საკ. კარში), 4:2 ადურისი (71-პენ), 4:3 ადურისი (78)

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა:** 16(11)-10(7); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 17-12; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

მაყურებელი: 25 000

დეპორტივო-სევილია 1:2

დეპორტივო: ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, სერხიო, დე გუსმანი, ესტოიანოფი (58. ბოდიპო), ლუის როდრიგესი, რიკი (15. ფილიპე), არისმენდი (85. ტაბორდა).

სევილია: პაბლოპი, ალვესი, ნავარო, ესკუდე, დავიდი, ნავასი, მარესკა (46. მარტი), რენატო, ადრიანო (58. დუდა), ჩევანტონი (58. ლუიშ ფაბიანო), კანუტე.

გოლები: 1:0 ბოდიპო (72), 1:1 რენატო (75), 1:2 კანუტე (83)

გაფრთხილება: 4-3; **დარტყმა:** 14(7)-14(7); **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 22-11; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

მაყურებელი: 12 000

ესპანიოლი-ხეტაფე 1:5

ესპანიოლი: კამენი, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, ველასკო (63. ლუის გარსია), მოისესი, ჟონათასი (57. დე ლა პენია), კორო, მოა, პანდიანი (77. ანხელი), ტამუდო.

ხეტაფე: აბონდანსიერი, კონტრა, პულიდო, ბელენგერი, პარედესი, ალბერტო, კასკერო (79. ალბანი), მარიო კოტელო, მანუ დელ მორალი (83. მარისი), ნაჩო, გუისა (70. სოუზა).

გოლები: 1:0 კორო (4), 1:1 კასკერო (7), 1:2 მანუ დელ მორალი (42), 1:3 პულიდო (54), 1:4 გუისა (64), 1:5 მანუ დელ მორალი (70)

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა:** 12(4)-11(6); **კუთხური:** 2-6; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 11-19; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

მაყურებელი: 20 200

სოსიედადი-სელტა 3:1

სოსიედადი: ბრავო, ესტრადა, ანსოტეგი, ვიქტორ ლოპესი, გარიდო, გარიტანო, ხუანიტო (81. მიკელ ალონსო), ჩაბი პრიეტო, სავიო (74. ლოპეს რეკარტე), კოვაჩევიჩი, ერერა (66. დიას დე სერიო).

სელტა: ესტებანი, ანხელი, კონტრერასი, პლასენტე (79. ბამოგო), ტამაში, უბინია, პაბლო გარსია, კანობიო (66. ნუნიესი), ნენე, გუსტავო ლოპესი, ბაიანო.

გოლები: 0:1 გუსტავო ლოპესი (19), 1:1 კოვაჩევიჩი (46), 2:1 სავიო (50), 3:1 ლოპეს რეკარტე (77)

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა:** 9(3)-19(8); **კუთხური:** 1-14; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

მაყურებელი: 27 015

ლევანტე-ოსასუნა 1:4

ლევანტე: მოლინა, დესკარგა, ალვარო, ალექსისი, რუბიალესი (46. სალვა), ზე მარია (5. კავალიერო), კამაჩო (73. ნ'დაიე), ტომაზი, კურტუა, რიგა, რეჯი.

ოსასუნა: რიკარდო, ფლანიო, კუელარი, კრუჩაგა, კორალესი, ვალდო, პუნიალი, ნეკუნამი, დავიდ ლოპესი (69. ხუანფრანი), რაულ გარსია (87. მუნიოსი), სოლდადო (83. ვებო).

გოლები: 0:1 სოლდადო (18), 0:2 სოლდადო (32), 1:2 დესკარგა (44), 1:3 რაულ გარსია (45), 1:4 სოლდადო (64)

გაძევება: მოლინა (5. ლევანტე)

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა:** 22(9)-16(8); **კუთხური:** 0-4; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 13-17; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 21 294

ვილიარეალი-რასინგი 2:1

ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, ტაკინარდი, მარკოს სენა, კანი (88. სომოსა), პირესი (70. მატიას ფერნანდესი), ფრანკო, ფორლანი (83. მარკოსი).

რასინგი: ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, ორიოლი, სკალონი, კოლსა (53. ბალბოა), ვიტოლო, ოსკარ სერანო (76. კრისტიან ალვარესი), ფელიპე მელო, ჟიგიჩი (62. ხუანხო).

გოლები: 1:0 ტაკინარდი (18), 2:0 კანი (57), 2:1 ფელიპე მელო (64)

გაფრთხილება: 2-5; **დარტყმა:** 9(4)-16(3); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 17-17; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

მაყურებელი: 15 000

რეკრეატივო-რეალი 2:3

რეკრეატივო: ლაკე, მერინო, პაბლო'ამო, ბეტო, პოლი, კასორლა, ხესუს ვასკესი, ბარბერი, ხუანმა (59. აიტორი), როსუ (46. უჩე), სინამა პონგოლე (56. ხავი გერერო).

რეალი: კასილიასი, ტორესი, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბეკჰემი, დიარა, გახო, რობინიო (78. გუტი), რაული (89. იგუაინი), ვან ნისტელროი.

გოლები: 0:1 რობინიო (8), 0:2 ვან ნისტელროი (53), 1:2 ხესუს ვასკესი (74-პენ), 2:2 უჩე (85), 2:3 რობერტო კარლოსი (90)

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა:** 7(4)-14(5); **კუთხური:** 1-5; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 12-13; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 20 000

ატლეტიკო-ბარსელონა 0:6

ატლეტიკო: პიჩუ, სეტატარიდისი, ელერი, ანტონიო ლოპესი, ზე კასტრო, ლუქსენი, გალეტი (53. აგუერო), ხურადო, მანიშე (42. მაქსი როდრიგესი), პეტროვი (71. მისტა), ფერნანდო ტორესი.

ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი, ტოურამი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი (78. მოტა), ძამბროტა, ჩავი (81. გუდიონსენი), დეკუ (68. ინიესტა), მესი, ეტო'ო, რონალდინიო.

გოლები: 0:1 მესი (38), 0:2 ძამბროტა (42), 0:3 ეტო'ო (45), 0:4 რონალდინიო (57), 0:5 მესი (79), 0:6 ინიესტა (90)

გაძევება: ელერი (72. ატლეტიკო)

გაფრთხილება: 4-0; **დარტყმა:** 17(7)-18(10); **კუთხური:** 10-6; **თამაშგარე:** 0-4; **ჯარიმა:** 15-11; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

მაყურებელი: 45 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	35	21	6	8	58-36	69
2. ბარსელონა	35	20	9	6	70-30	69
3. სევილია	35	20	7	8	61-33	67
4. ვალენსია	35	20	5	10	50-32	65
5. სარაგოსა	35	16	10	9	51-37	58
6. ატლეტიკო	35	15	9	11	40-35	54
7. ვილიარეალი	35	15	8	12	41-41	53
8. ხეტაფე	35	14	10	11	38-29	52
9. რეკრეატივო	35	14	8	13	48-48	50
10. რასინგი	35	12	13	10	40-43	49
11. მალიორკა	35	14	6	15	40-43	48
12. ესპანიოლი	35	11	12	12	42-48	45
13. დეპორტივო	35	11	11	13	26-36	44
14. ოსასუნა	35	11	7	17	43-47	40
15. ბეტისი	35	7	16	12	33-42	37
16. ლევანტე	35	8	12	15	30-47	36
17. ბილბაო	35	8	10	17	40-59	34
18. სოსიედადი	35	8	9	18	29-42	33
19. სელტა	35	7	9	19	33-55	30
20. ხიმნასტიკი	35	6	7	22	32-62	25

ბომბარდირები: 22 - ვან ნისტელროი (რეალი); 20 -კანუტე (სევილია), დიეგო მილიტო (სარაგოსა); 19 - რონალდინიო (ბარსელონა); 12 - ფორლანი (ვილიარეალი); 13 - ვილია (ვალენსია), მორიენტესი (ვალენსია); 11 - ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 10 - ლუის გარსია (ესპანიოლი), მესი (ბარსელონა).

II ლიგა

XXXVIII ტური

ალავესი-ეიბარი 2:1

გოლები: 0:1 ტოეტდტლი (37-პენ), 1:1 რამოსი (62-საკ. კარში), 2:1 პაულისტა (84)

ალგეირა-პონფერადინა 3:1

გოლები: 0:1 ვეგა (7), 1:1 ორტისი (19), 2:1 უჩე (20), 3:1 კორონა (90)

სპორტინგი-ალბასეტე 2:1

გოლები: 1:0 ხერარდო (33), 1:1 სუსაეტა (55), 2:1 ფუენტე (74)

ერკულესი-ხერესი 2:0

გოლები: 1:0 მოისესი (31-პენ), 2:0 კარმელო (56)

ნუმანსია-ლას პალმასი 3:0

გოლები: 1:0 ბოლო (9), 2:0 კენხი (90), 3:0 კენხი (91)

ვესინდარიო-რეალი B 2:1

გოლები: 1:0 ჩისკო (4), 1:1 ნეგრედო (17-პენ), 2:1 მიროსავლიევიჩი (57)

მურსია-ელჩე 0:2

გოლები: 0:1 პერაგონი (7), 0:2 მიგელი (89)

გეტაფე-მალაგა 1:2

გოლები: 1:0 რაული (10), 1:1 იდალგო (58), 1:2 გასკონი (75)

ალბასეტე-სპორტინგი 2:2

გოლები: 0:1 ხიბანელი (32), 0:2 გოიტომი (45), 1:2 პ. გარსია (54), 2:2 პ. გარსია (72)

ჯაენი-ლორკა 0:0

ასკენტინი-ვალიადოლიდი 2:1

გოლები: 0:1 მანჩეკი (7), 1:1 ნატალიო (19), 2:1 ტაბარესი (35)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ვალიადოლიდი	38	23	10	5	62-30	79
2. ალმერია	38	22	7	9	65-43	73
3. მურსია	38	20	11	7	56-37	71
4. სიუდადი	38	16	9	13	44-37	57
5. ხერესი	38	16	8	14	44-37	56
6. ალბასეტე	38	15	11	12	46-43	56
7. ნუმანსია	38	14	12	12	43-39	54
8. სალამანკა	38	14	11	13	48-43	53
9. კადისი	38	13	14	11	43-39	53
10. ელჩე	38	14	10	14	42-41	52
11. ტენერიფე	38	15	6	17	40-46	51
12. სპორტინგი	38	14	8	16	45-42	50
13. ერკულესი	38	13	11	14	45-45	50
14. მალაგა	38	13	11	14	44-45	50
15. ეიბარი	38	13	10	15	44-46	49
16. კასტელონი	38	13	11	14	40-39	48
17. ლას პალმასი	38	12	11	15	44-50	47
18. ალავესი	38	11	13	14	45-55	46
19. რეალი B	38	12	8	18	45-58	44
20. პონფერადინა	38	9	13	16	38-52	40
21. ლორკა	38	9	9	20	35-52	36
22. ვესინდარიო	38	7	6	25	36-75	27

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური

სინი და ვარსკვლავი შტუტგარტს

ვერცხლის თეფში უკუღმა აღიმართა

ფეხბურთი გუნდური თამაშია! აი, დასტურიც: გერმანიის 2006/07 წლების სეზონის ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდა! თავად განსაჯეთ, "ბაიერნის" ხელმძღვანელები, ფანები, ექსპერტები და აბსოლუტურად ყველა მიმომხილველი მთელი სეზონის განმავლობაში ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: რეკორდმაისტერს ლიდერი არ ჰყავს და ამიტომაც უჭირს, არადა, **დიეგო** ან **ვან დერ ვაარტი** რომ ჰყავდეს, ამ გუნდის შემჩერებელი არავინ იქნებოდაო. "შტუტგარტს" არც ერთი ჰყავს და არც მეორე და საერთოდ, შვაბების განაცხადში ერთი ვარსკვლავი ან ნახევრად ვარსკვლავიც კი არაა. ბოლოს და ბოლოს, "ვოლფსბურგს" ჰყავს **მარსელინიო**, "ლევერკუზენს" **შნაიდერი**, აღარაფერს ვამბობთ "ვერდერსა" ან "შალკეზე"... მაგრამ გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდა! ამ გუნდს კი საერთოდ არ ჰყავს ლიდერი. აი, შვაბთა წამყვანი ფეხბურთელების ჩამონათვალი: **ჰილდებრანდი, პარდო, გომესი, ხედირა, მეირა, და სილვა, კაკაუ, ჰიტცლშპერგერი**, ანუ, მთელი გუნდი, **არმინ ფეეს** ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, რომელმაც ბოლო 8 თამაში მოიგო და "ვერცხლის სინი" დაიმსახურა. სხვა საქმეა, რას იზამენ შვაბები ჩემპიონთა ლიგაში და როგორ ზიდავენ ტვირთს, რასაც გერმანიის ჩემპიონობა ჰქვია, მაგრამ ფაქტი ერთია: "შტუტგარტმა", რომელიც მიმდინარე სეზონში სატურნირო ცხრილს სათავეში მხოლოდ 3-ჯერ ედგა, "ბაიერნს", "შალკეს", "ვერდერს" და საერთოდ ყველას დასცინა!

სეზონის კულმინაციური მომენტი: მსოფლიოს ჩემპიონი და 1992 წლის VFB-ს კაპიტანი **გვიდო ბუხვალდი** შვაბთა ამჟამინდელ კაპიტან **ფერნანდო მეირას** "ვერცხლის სინს" გადასცემს. რაზე ფიქრობს ამ დროს მეირა? ყველაფერზე, გარდა სინისა - მხარზე პორტუგალიის დროშა კიდია, მაისურა სპეციალურად უკუღმა ჩაიცვა, რათა სინის აწევის დროს მისი გვარი მთელმა მსოფლიომ წაიკითხოს და... პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მეირამ ვერცხლის თეფში უკუღმა ასწია! 300-მდე ფოტოგრაფის ობიექტივი მისკენაა მიშვერილი და სინის უძვირფასესი ქვები კი არ ჩანს. ტელეკომენტატორი ირონიულად ამბობს: *"ესეც მთავარი ნიშანი იმისა, რომ მთელი ჩემპიონატი უკუღმართი იყო, ჩემპიონი გუნდის კაპიტანმა ისიც კი არ იცის, როგორ დაიკავოს სინი!"* თვითონ მეირას ამგვარი განცხადებები ფეხებზე კიდია: *"ამისთვის ყურადღება ოდნავადაც არ მიმიქცევია, წალმა მეჭირა თუ უკუღმა, ეს ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია!"*

"გოტლიბ დაიმლერ შტადიონი" თეთრმა და წითელმა ფერებმა შთანთქა. ვილას ახსოვს აწ უკვე ექსჩემპიონი "ბაიერნი"? ჩემპიონების მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** უჩვეულოდ მშვიდია, თითქოს არაფერი მომხდარაო, მხოლოდ აქეთ-იქით დააბოტებს და სახეზე წყნარი ღიმილი დასთამაშებს. ფეხბურთელები კი შეშლილებივით დარბიან - ჯერაც არ სჯერათ, რომ ჩემპიონები არიან, ისევე, როგორც არ სჯერა მთელ გერმანიას. ფეემ საკუთარ თავზე კონტროლი მხოლოდ მაშინ დაკარგა, როცა ანტონიო და სილვამ 3 ლიტრი ლუდი თავზე გადაავლო და კოსტუმი, რომელიც არმინს 13 ტურის მანძილზე ეცვა, ლუდით გაურეცხა. მარიო გომესი ჟურნალისტების კითხვებს არც უსმენს და ყველა კითხვაზე ერთი პასუხი აქვს: *"Jaaaa!"* ჰო, მართლა: შვაბები მეხუთედ გახდნენ გერმანიის ჩემპიონები, რისთვისაც პირველ ვარსკვლავს მიიღებენ!

ფეესთვის ყველანაირი კრიტიკა მიუღებელია - ყველაფერი მარტივია, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო, ამბობს შვაბთა თავკაცი. თუმცა "შტუტგარტმა" ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ტიტული დაიმსახურა. სხვა თუ არაფერი, VFB-მ საკუთარ მოედანზე "ვერდერს" 4:1 მოუგო, "შალკეს" 3:0, "ბაიერნს" კი 2:0. მაგრამ ბოლო თამაშის მოგება კი ყველაზე მეტად გაუჭირდა. თანაც ვისთან, უმოტივაციო "კოტბუსთან". მე-19 წუთიდან "ენერგი" **რადუს** კურიოზული გოლით იგებდა. 27-ე წუთზე თომას ჰიტცლშპერგერმა და სილვას კუთხურის შემდეგ 22 მეტრიდან გრანდიოზულად დააქუხა და სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი (თანაც რამხელა მნიშვნელობის მქონე) გოლი შეაგდო. ჩემპიონობის მომტანი გოლის ასისტენტიც და სილვა გახლდათ: მის ჩაწოდებას ამჯერად სამი ხედირა გამოეხმაურა და 10 მეტრიდან ზუსტი თავური დარტყმით დალაშქრა **პიპლიცას** კარი. გერმანიის დროით ზუსტად 17 საათსა და 18 წუთზე მსაჯმა საფინალო სასტვენი მისცა და უკვე ოფიციალურად დააფიქსირა: Stuttgart Meister!

"შალკეს" მწვრთნელი **მირკო სლომკა**: *"საყვარელო შტუტგარტელებო, საყვარელო არმინ, გულით და სულით გილოცავთ! შალკელები თვალცრემლიანები გილოცავთ ჩემპიონობას, რომელიც დაიმსახურეთ. სეზონის ბოლოს თქვენ ყველაზე მშვიდები იყავით."*

ფრანც ბეკენბაუერი: *"ვულოცავ "შტუტგარტს"! უნდა ვთქვა, რომ შვაბების ჩემპიონობა ჩემთვის უდიდესი სენსაციაა. ეს გუნდი მეორე წრეში ყველაზე სტაბილური და მონდომებული იყო. უმთავრესი როლი არმინ ფეემ ითამაშა და ჩემი აზრით, ის წლის საუკეთესო მწვრთნელია!"*

საცოდავი "შალკე"... **ლევან კობიაშვილის** გუნდი ისევ მეორეა! მხოლოდ ის, რომ გელზენკირხენელები პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ, ფაქტობრივად არაფერს ნიშნავს. არაფერს ნიშნავს იმის ფონზე, რომ ჩემპიონობა შეეძლოთ. აღარც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ შაბათს "შალკე" 8 წუთის განმავლობაში ჩემპიონი იყო. "ხუმარები" უკვე 2:0-ს იგებდნენ, როცა "ფელტინს არენა აუფ შალკეს" ტაბლომ აჩვენა, "კოტბუსი" შტუტგარტში დაწინაურდაო. S04-ის ფანები ზუსტად 8 წუთის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ღმერთმა "შალკეს" ამჯერად კარგი თვალით გადმოხედა, მაგრამ კითხვაზე, მართლა შალკელია თუ არა მამაზეციერი, იმავე ტაბლომ 15 საათსა და 57 წუთზე უარყოფითი პასუხი გასცა: მოვიდა ცნობა, რომ "შტუტგარტმა" ანგარიში გაათანაბრა. საფინალო სასტვენის შემდეგ სლომკამ მიკროფონი მოიმარჯვა და იყვირა: *"დიდი მადლობა! მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მეორე ადგილზე გავედით, ეს შესანიშნავი სეზონი იყო!"* ჰო, ვიცე-ჩემპიონები თავის ერთგულ ფანებს ასე ემშვიდობებიან ხოლმე...

ამრიგად, მესამე ადგილზე "ვერდერი" დარჩა. ბრემენელებმა ფაქტობრივად უმოტივაციო "ვოლფსბურგი" **მარკუს როზენბერგის** დუბლის წყალობით 2:0 დაამარცხეს, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რაც **თომას შააფმა** თქვა. *"ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთში არცერთი განცხადება არაფრის გარანტიას არ იძლევა!"* - ეს იყო პასუხი კითხვაზე, რჩება თუ არა **მიროსლავ კლოზე**. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა განაცხადა, "ვერდერში" კიდევ ერთ წელს გავატარებო და როგორც ჩანს, ეს მხოლოდ იმის გამო გააკეთა, რომ ფანები დაემშვიდებინა. აი, დასრულდა სეზონი და ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, თითქმის გადაწყვეტილია, ზაფხულში კლოზე "ბაიერნში" გადავაო. და კიდევ: "ვოლფსბურგის" შეფებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, **კლაუს აუგენტალერი** დაითხოვეს. მას სავარაუდოდ **კრასიმირ ბალაკოვი** შეცვლის, რომლის ასისტენტი **ფრედი ბობიჩი** იქნება.

მეორე წრე ახალი დაწყებული იყო, როცა "ჰამბურგი" ბოლო ადგილამდე დაეშვა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა **კლაუს ტოპმიოლერმა** მაშინ თქვა, HSV უმალ ინტერტოტოს თასზე გავა, ვიდრე გავარდებაო. ისე აუხდეს ტოპის ყველაფერი! "ჰამბურგი" მართლაც გავიდა ინტერტოტოზე! იმის გამო, რომ "დორტმუნდმა" ლევერკუზენში წააგო (1:2), "ჰანოვერმა" "ნიურნბერგთან" (0:3), ჰოლო ჰამბურგელებმა კი "აახენს" 4:0 გადაურბინეს, **სტევენსის** გუნდი მე-7 ადგილზე გავიდა და მესამეხარისხოვანი ევროტურნირის საგზური მოიპოვა. ასე რომ, გუნდი, რომელიც წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, ზაფხულში ინტერტოტოდან უეფას თასზე გადასვლისთვის იბრძოლებს.

"ბაიერნმა" 5:2 მოუგო "მაინცს" და ყველაზე მთავარი ისაა, რომ ეს **მეჰმეთ შოლის** უკანასკნელი თამაში გახლდათ ბუნდესლიგაში (შოლის ოფიციალური გაცილება 15 აგვისტოს, "ბარსელონასთან" შეხვედრაშია დაგეგმილი). 17 წლიანი კარიერა, ბუნდესლიგაში ჩატარებული 392 მატჩი - 36 წლის შოლმა შაბათს გოლიც გაიტანა და ფანებს თვალცრემლიანი დაემშვიდობა. *"როცა ისეთი ფეხბურთელები, როგორიც შოლია, კარიერას ამთავრებენ, ემოციების შეკავება შეუძლებელია. მეჰმეთი ჭეშმარიტი ბავარიელია!"* - ცრემლებს აღვარღვარებდა **ული ჰოინესიც**. შოლმა მეორე გოლი გაიტანა, თან, გადამწყვეტ დარტყმამდე სამი მაინცელი მოატყუა. ჰო მართლა, "ბაიერნის" კარს 40 წლის **ბერნდ დრეერი** იცავდა. მოკლედ, ამ უკანასკნელსაც პატივი სცეს.

ასე და ამგვარად, 2006/07 წლების ბუნდესლიგა უკვე ისტორიის კუთვნილებაა...

ბუნდესლიგის ჩემპიონები	
1963/64	კიოლნი
1964/65	ვერდერი
1965/66	მიუნხენ 1860
1966/67	ბრაუნშვაიგი
1967/68	ნიურნბერგი
1968/69	ბაიერნი
1969/70	ბორუსია (მ)
1970/71	ბორუსია (მ)
1971/72	ბაიერნი
1972/73	ბაიერნი
1973/74	ბაიერნი
1974/75	ბორუსია (მ)
1975/76	ბორუსია (მ)
1976/77	ბორუსია (მ)
1977/78	კიოლნი
1978/79	ჰამბურგი
1979/80	ბაიერნი
1980/81	ბაიერნი
1981/82	ჰამბურგი
1982/83	ჰამბურგი
1983/84	შტუტგარტი
1984/85	ბაიერნი
1985/86	ბაიერნი
1986/87	ბაიერნი
1987/88	ვერდერი
1988/89	ბაიერნი
1989/90	ბაიერნი
1990/91	კაიზერსლაუტერნი
1991/92	შტუტგარტი
1992/93	ვერდერი
1993/94	ბაიერნი
1994/95	ბორუსია (დ)
1995/96	ბორუსია (დ)
1996/97	ბაიერნი
1997/98	კაიზერსლაუტერნი
1998/99	ბაიერნი
1999/00	ბაიერნი
2000/01	ბაიერნი
2001/02	ბორუსია (დ)
2002/03	ბაიერნი
2003/04	ვერდერი
2004/05	ბაიერნი
2005/06	ბაიერნი
2006/07	შტუტგარტი

შტუტგარტი–კოტბუსი 2:1

შტუტგარტი: ჰილდებრანდი-3, ოსორიო-4 (46.-ა. და სილვა-3), მეირა-2.5, დელპიერი-3.5, მანინი-3.5, პარდო-3, ხედირა-2.5, ჰიტცლშპერგერი-2 (88. ტასკი), ჰილბერტი-3.5, შტრელერი-4 (53. გომესი-4), კაკაუ-3.

კოტბუსი: პიპლიცა-2.5, შელესი-3.5, მიტრესკი-3.5, კვიტანოვიჩი-3.5, ციბიგი-4, კუკიელკა-4, კიუნტცელი-4 (67. რივიჩი-4.5), მუნტეანუ-3, შაო-4 (72. კიოიო), სკელა-3.5 (67. გუნკელი-4), რადუ-3.

გოლები: 0:1 რადუ (19), 1:1 ჰიტცლშპერგერი (27), 2:1 ხედირა (63).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 56 000.

შალკე–არმინია 2:1

შალკე: ნოიერი-2.5, რაფინია-2.5, ბორდონი-2.5, კრსტაიჩი-2.5, კობიაშვილი-4, ჰამით ალთინთოფი-2.5, ერნსტი-3, ლინკოლნი-2.5, ასამოა-3 (46. იოზილი-4), კურანი-4 (84. ლარსენი), ჰალილ ალთინთოფი-2.5 (78. ლოვენკრანდსი).

არმინია: ჰაინი-2.5, ბოლმანი-4, კუჩერა-3.5, გაბრიელი-4, ვესტერმანი-3.5, ტეშე-4.5 (46. კამპერი-3.5), კაუფი-3.5, ბიომე-4 (70. ვიხნიარეკი-3.5), რაუ-3.5, აიგლერი-4.5, ზუმა-4.5 (46. მარქსი-4).

გოლები: 1:0 ლინკოლნი (12), 2:0 ჰალილ ალთინთოფი (16), 2:1 კუჩერა (91).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 61 482.

ვოლფსბურგი–ვერდერი 0:2

ვოლფსბურგი: იენტცში-3, მიორლე-4.5, მადლუნგი-4, ჰოფლანდი-4, კიროგა-3.5, ვან დერ ლეეგტე-4 (46. შარპეი-4), ლამპრეხტი-4 (46. მაკიადი-4.5), მარსელინიო-3.5, კრჟინოვეკი-3, კლიმოვიჩი-4.5, ბოაკი-4 (75. ჰილი).

ვერდერი: ვიზე-2.5, ფრიტცი-4, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-2.5, ვომე-3.5, ფრინგსი-2, ოვომოიელა-4 (46. დ. იენსენი-3.5), დიეგო-1.5, შულცი-3.5 (80. ვრანიეში), კლოზე-4.5 (46. როზენბერგი-1.5), ალმეიდა-4.

გოლები: 0:1 როზენბერგი (54), 0:2 როზენბერგი (87).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 30 000.

ბაიერნი–მაინცი 5:2

ბაიერნი: დრეერი-3, სალიჰამიჯიჩი-2.5 (88. გიორლიტცი), დემიკელისი-3.5 (52. ჰუმელსი-3.5), ლელი-3.5, ლამი-4, ოტლი-4, ვან ბომელი-2.5, ქარიმი-3, შოლი-2 (57. პისარო-2.5), სანტა კრუსი-3, მაკაი-3.

მაინცი: ვეტკლო-4, დემირტასი-4.5, მ. ფრიდრიხი-5, სუბოტიჩი-5, როზე-4, ანდრეასენი-4.5, პეკოვიჩი-4.5 (55. მ. ვრანჩიჩი-3.5), ფოილნერი-3.5, სოტო-5 (71. გერბერი), ნიკულაე-5 (55. დუ-რი ჩა-4.5), ამრი-3.

გოლები: 1:0 სანტა კრუსი (30), 2:0 შოლი (33), 3:0 ვან ბომელი (38), 3:1 ამრი (55), 4:1 ქარიმი (63), 5:1 პისარო (74), 5:2 ფოილნერი (76).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 69 000.

ჰამბურგი–ალემანია 4:0

ჰამბურგი: ფ. როსტი-3 (79. ვეხტერი), ბენჯამინი-3.5, რაინჰარდტი-3, მატიისენი-3, ატუბა-4, დე იონგი-3.5, დემელი-3.5 (60. მაჰდავიკია-3), იაროლიმი-2.5, სორინი-2, ვან დერ ვაარტი-2, ოლიჩი-1.5 (69. სანოგო-4.5).

ალემანია: ჰესე-3.5, კასპერი-4.5, შტელე-4.5, ჰერციგი-5.5, ლეივაკაბესი-5, რეგეკამპფი-3.5, მ. ლემანი-4.5, ფილი-4.5 (67. ჰაიდრიხი-3.5), რიოსლერი-4, ებერსი-5 (55. კრონტირისი-4.5), იბიშევიჩი-5 (55. ნემეტი-4.5).

გოლები: 1:0 ოლიჩი (15), 2:0 ოლიჩი (27), 3:0 სორინი (54), 4:0 სორინი (86).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 57 000.

ჰანოვერი–ნიურნბერგი 0:3

ჰანოვერი: ენკე-3, ჩერუნდოლო-4, ფარენჰორსტი-4.5, ვინიციუსი-4, ტარნატი-4, ბალიტში-3.5, იანკოვი-3.5, შტაინერი-4.5 (68. იენდრიშეკი-3), ბრუგინკი-4, როზენტალი-4 (56. ჰაშემიანი-3.5), ბრდარიჩი-4.5.

ნიურნბერგი: შეფერი-2, დ. რაინჰარდტი-3, ვოლფი-4, გლაუბერი-3.5 (82. სპირანოვიჩი), პინოლა-3, გალაშეკი-2.5, კრისტიანსენი-3, მნარი-3.5 (55. პოლაკი-3.5), ენგელჰარდტი-3 (70. ბანოვიჩი-3), მინტალი-3, შროთი-3.5.

გოლები: 0:1 მინტალი (54), 0:2 ენგელჰარდტი (62), 0:3 ბანოვიჩი (92).

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 49 000.

ლევერკუზენი–ბორუსია (დ) 2:1

ლევერკუზენი: ბუტი-4, კასტრო-3.5, კალსენ-ბრაკერი-3, ჟუანი-3, შტენმანი-3.5 (46. ბაბიჩი-3.5), შვეგლერი-4, როლფესი-3, შნაიდერი-2.5, ბარნეტა-4 (72. ატირსონი), კისლინგი-2, ვორონინი-2.5 (90. ფრაიერი).

ბორუსია (დ): ვაიდენფელერი-3, მეტცელდერი-4, ბრჟენსკა-5, ვიორნსი-3.5, დედე-3, კრუსკა-3.5, კრინგე-4 (56. ფ. დეგენი-3.5), ნ. შაჰინი-4 (56. გორდონი-3), ტინგა-4.5 (67. რიკენი-3), სმოლიარეკი-3, ვალდესი-3.5.

გოლები: 1:0 კისლინგი (45+1), 2:0 როლფესი (54), 2:1 სმოლიარეკი (79).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 22 500.

აინტრახტი–ჰერტა 1:2

აინტრახტი: ნიკოლოვი-4, ოხსი-4.5, კირიაკოსი-2, ვასოსკი-3.5, შპიხერი-3, შტრაიტი-2.5, ფინკი-3.5, ჰუგელი-4, კიოლერი (16. როსკი-4), ამანატიდისი-3, ტაკაჰარა-3.5 (78. ჰელერი).

ჰერტა: ფიდლერი-4, ჩაჰედი-4.5, ა. ფრიდრიხი-3.5, ფათი-2.5, ებერტი-3.5, შმიდტი-3.5 (71. კ. მიულერი), კ. ბოატენგი-3 (58. ნოიენდორფი-3), მინეირო-3, ჟილბერტო-3, ხიმენესი-4 (71. კაირო), პანტელიჩი-3.

გოლები: 0:1 კ. ბოატენგი (47), 1:1 შტრაიტი (61), 1:2 პანტელიჩი (87).

გაფრთხილება: 0-1; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 50 500.

ბორუსია (მ)–ბოხუმი 0:2

ბორუსია (მ): ჰაიმეროთი-4.5, ბიოგელუნდი-4, ლეველსი-4.5, ზე ანტონიო-5, კომპერი-4, კლუგე-4 (87. პოლანსკი), ფლესერსი-4.5, იანსენი-4.5, მარინი-5 (79. ბაუმიოჰანი), კაჰე-5.5 (57. შნიტცლერი-4), ინსუა-4.

ბოხუმი: დრობნი-3, შრიოდერი-3, მალტრიტცი-3.5, იაია-3.5, ბიონიგი-3, მიშიმოვიჩი-3.5 (70. ვოში-2.5), დაბროვსკი-2.5 (75. დრშეკი), ცდებელი-3, გროტე-2.5 (62. ილიჩევიჩი-3.5), ეპალე-2.5, გეკასი-4.

გოლები: 0:1 დაბროვსკი (24), 0:2 ვოში (82).

გაფრთხილება: 3-2; **დარტყმა**: ; **კუთხური**: ; **ჯარიმა**: ; **ბურთის ფლობა**: %-%.

მაყურებელი: 50 001.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შტუტგარტი	34	21	7	6	61-37	70
2. შალკე	34	21	5	8	53-32	68
3. ვერდერი	34	20	6	8	76-40	66
4. ბაიერნი	34	18	6	10	55-40	60
5. ლევერკუზენი	34	15	6	13	54-49	51
6. ნიურნბერგი	34	11	15	8	43-32	48
7. ჰამბურგი	34	10	15	9	43-37	45
8. ბოხუმი	34	13	6	15	49-50	45
9. ბორუსია (დ)	34	12	8	14	41-43	44
10. ჰერტა	34	12	8	14	50-55	44
11. ჰანოვერი	34	12	8	14	41-50	44
12. არმინია	34	11	9	14	47-49	42
13. კოტბუსი	34	11	8	15	38-49	41
14. აინტრახტი	34	9	13	12	46-58	40
15. ვოლფსბურგი	34	8	13	13	37-45	37
16. მაინცი	34	8	10	16	34-57	34
17. ალემანია	34	9	7	18	46-70	34
18. ბორუსია (მ)	34	6	8	20	23-44	26

ბომბარდირები: 20 - გეკასი (ბოხუმი); 16 - ფრაი (ბორუსია დ), მაკაი (ბაიერნი); 15 - კურანი (შალკე); 14 - რადუ (კოტბუსი), ზიდანი (მაინცი), გომესი (შტუტგარტი), პანტელიჩი (ჰერტა); 13 - კლოზე (ვერდერი), დიეგო (ვერდერი), კაკაუ (შტუტგარტი); 12 - ხიმენესი (ჰერტა); 11 - ტაკაჰარა (ჰერტა), მუნტეანუ (კოტბუსი).

II ბუნდესლიგა

XXXIV ტური

აუე–მიუნხენი 2:2

გოლები: 0:1 გიოქთანი (9), 1:1 ჰელერი (21), 1:2 გიქთანი (22), 2:2 იუსკოვიაკი (59)

აუგსბურგი–კარლ ცაისი 1:2

გოლები: 0:1 ფროლიხი (35), 1:1 ლოური (48-პენ), 1:2 ტაპალოვიჩი (74)

ბურგჰაუზენი–პადერბორნი 5:1

გოლები: 1:0 აიგნერი (3), 2:0 აიგნერი (9), 3:0 ბოგავაცი (57), 4:0 ბოგავაცი (65), 4:1 რიოტგერი (74), 5:1 ტოლესკი (80)

დუისბურგი–ესენი 3:0

გოლები: 1:0 ტარარაჩე (48-პენ), 2:0 დაუნი (60), 3:0 გრლიჩი (69)

ფრაიბურგი–კობლენცი 2:0

გოლები: 1:0 რიხტერი (35-საკ. კარში), 2:0 მატმური (58)

ფიურტი–კარლსრუე 1:3

გოლები: 0:1 ფედერიკო (65), 0:2 ფედერიკო (67), 1:2 სიდიმარი (80), 1:3 ფედერიკო (89)

ჰანზა–უნტერჰახინგი 3:1

გოლები: 1:0 იელენი (7), 2:0 ჩეტკოვიჩი (16), 2:1 ფელდჰანი (2), 3:1 რანი (85)

კაიზერსლაუტერნი–კიოლნი 2:2

გოლები: 0:1 ნოვაკოვიჩი (29), 1:1 ჰაინალი (64), 1:2 ჰელმესი (75-პენ), 2:2 ჰაინალი (79-პენ)

ოფენბახი–ბრაუნშვაიგი 1:1

გოლები: 1:0 მოხტარი (57), 1:1 ატემი (83)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კარლსრუე	34	21	7	6	69-41	70
2. ჰანზა	34	16	14	4	49-30	62
3. დუისბურგი	34	16	12	6	66-40	60
4. ფრაიბურგი	34	17	9	8	55-39	60
5. ფიურტი	34	16	6	12	53-40	54
6. კაიზერი	34	13	14	7	48-34	53
7. აუგსბურგი	34	14	10	10	43-32	52
8. მიუნხენი	34	14	6	14	47-49	48
9. კიოლნი	34	12	10	12	49-50	46
10. აუე	34	13	6	15	46-48	45
11. პადერბორნი	34	11	9	14	32-41	42
12. კობლენცი	34	11	8	15	36-45	41
13. კარლ ცაისი	34	9	11	14	40-56	38
14. ოფენბახი	34	9	9	16	42-59	36
15. ესენი	34	8	11	15	34-40	35
16. უნტერჰახინგი	34	9	8	17	33-49	35
17. ბურგჰაუზენი	34	7	11	16	42-63	32
18. ბრაუნშვაიგი	34	4	11	19	20-48	23

ბომბარდირები: 19 - ფედერიკო (კარლსრუე); 17 - კაპლანი (კარლსრუე); 15 - ლოური (აუგსბურგი); 14 - ტურკერი (ოფენბახი), ჰელმესი (კიოლნი); 12 - ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი), კერნი (ჰანზა), ლავრიჩი (დუისბურგი); 10 - ანტარი (ფრაიბურგი), იაშვილი (ფრაიბურგი), ბოგავაცი (ბურგჰაუზენი), გიოქთანი (მიუნხენი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი).

რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXVI ტური

ალენი-გლადბახი II 0:3; დორტმუნდი II-უნიონი 1:1; დინამო (დ)-ემდენი 3:0; ფორტუნა-ჰამბურგი II 3:2; ლიუბეკი-ჰერტა II 4:0; მაგდებურგი-ლევერკუზენი II 1:1; ოსნაბრიუკი-კილი 3:2; ვუპერტალი-ვილჰელმშავენი 5:2; ერფურტი-სტ.პაული 0:3.

რეგიონალლიგა (სამ)

XXXII ტური

ელვერსბერგი-როიტლინგენი 3:1; ჰოფენჰაიმი-პირმასენსი 2:1; კაიზერი II-პფიულენდორფი 0:3; მიუნხენი II-ვეენი 2:2; აალენი-ზიგენი 3:2; კასელი-შტ.კიკერსი 2:1; ინგოლშტადტი-ბაიერნი II 1:0; კარლსრუე II-ზაარბრიუკენი 0:0; შტუტგარტი II-დარმშტადტი 1:2.

ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი

სამივე ინგლისური ჭიქული დაგემოვნებულია

ფერგი: პენალტი იყო; გიგზი: პენალტი არა, გოლი იყო; ჩეხი: ჯარიმა იყო; ლემპარდი: მგონი, გოლი იყო... რა მოხდა სინამდვილეში?

ჟოზე მოურინიო

ჩელსი–მანჩესტერ იუნ. 1:0 დ.დ.

ჩელსი: ჩეხი, ფერეირა, ესიენი, ტერი, ბრიჯი, მიკელი, მაკელელე, ლემპარდი, რაიტ-ფილიპსი (93. კალუ), დროგბა, ჯო კოული (46. რობენი/108. ეშლი კოული).

იუნაიტედი: ვარ დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, ფლეტჩერი (92. სმიტი), სქოულზი, ქერიკი (112. ოში), რონალდო, რუნი, გიგზი (112. სოლსკიაერი).

გოლი: 1:0 დროგბა (116).

გაფრთხილება: 4-3; დარტყმა: 18(4)-12(4); კუთხური: 1-6; ჯარიმა: 18-18; თამაშგარე: 0-5; ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 89 826

საკამათო ეპიზოდი სათასო ფინალიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ სტადიონზე პირველი ფინალის მოგებითაც მოინონებენ თავს.

თამაში დაბალ ტემპში დაიწყო. მატჩი "ქომიუნითი შილდს" უფრო ჰგავდა, ვიდრე ასოციაციის თასის ფინალს. კარში პირველად 30-ე წუთზე დაარტყეს: **ვან დერ სარმა** ლემპარდს დაბალ კუთხეში აუღო. ფეხბურთელები, რომელთაც განვლილ სეზონში 60-ზე მეტი მატჩი ჩაატარეს, აუჩქარებლად მოქმედებდნენ. ერთი შეხედვით, მინდორი იდეალურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მერე ალაგ-ალაგ ბელტები ამოცვივდა, რამაც გადაღლილ მოთამაშეებს საქმე გაურთულა. ყველაზე ენერგიული **ჯო კოული** იყო, თუმცა შესვენებისას ის რატომღაც **არიენ რობენით** შეცვალეს (დამატებულ დროში რობენი ეშლი კოულმა შეცვალა).

მეორე ტაიმში ტემპმა მოიმატა. **უეინ რუნიმ** "ჩელსის" მცველებს სამუშაო გაუჩინა. **პეტრ ჩეხმა** მისი სახიფათო იერიში უკუაგდო. **რიო ფერდინანდმა** და **ნემანია ვიდიჩმა** დროგბა საიმედოდ ამოკეტეს. პრემიერლიგის ბომბარდირს ერთადერთი მომენტი ჰქონდა: საჯარიმოს დარტყმისას ბურთმა ძელს მილიმეტრებში ჩაუქროლა. ძირითადი დროის მიწურულს **გიგზის** კუთხურს ვიდიჩი გამოეხმაურა, მაგრამ ააცილა.

პირველი დამატებული ტაიმის მიწურულს გიგზმა ჩეხს ვერ ააცილა ბურთი (ამ ეპიზოდს ქვემოთ დავუბრუნდებით). დროგბამ კი კარს გვერდიდან გაარტყა. გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე **სალომონ კალუსაც** შეეძლო ანგარიშის გახსნა. მაგრამ ეს მისია ოქროს ბუცის მფლობელმა ითავა. მან სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი შეაგდო. დროგბას წყალობით, ასოციაციის თასის ზედიზედ მესამე ფინალში პენალტების დანიშვნა საჭირო არ აღმოჩდა.

ნამატჩევს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამატებულ დროში მომხდარ ეპიზოდს. მასში რუნი, გიგზი, ესიენი და ჩეხი მონაწილეობდნენ. რუნიმ ფლანგიდან საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა, გიგზს ესიენი უშლიდა ხელს. რაიანმა ბურთს ფეხი მიჰკრა, ჩეხმა ის ხაზს აქეთ გააქვავა, მაგრამ უელსელი ინერციით შეეჯახა და ბურთიანად შეიტანა კარში. **სერ ალექს ფერგიუსონმა** თქვა, რომ მის გუნდს ასპროცენტიანი პენალტი არ დაუნიშნეს. მან ესიენისა და გიგზის ორთაბრძოლა იგულისხმა: *"ეს იყო პენალტი. როცა ასეთი ეპიზოდის შემდეგ თამაშს აგებ, რა თქმა უნდა, იმედგაცრუება გეუფლება. მოურინიომ მსაჯი აუტანელი ზეწოლის ქვეშ მოაქცია. ვწუხვარ, რომ მისმა ტაქტიკამ ასეთი სიზუსტით იმუშავა."* თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ჟოზემ მსაჯ **სტივ ბენეტს** მიმართა, ფრთხილად იყავით, "მანჩესტერი" პროვოკაციული ტაქტიკით ითამაშებს და არ მოტყუდეთო.

გიგზმა ეპიზოდი სხვაგვარად შეაფასა: *"ბურთი აშკარად გადასცდა ხაზს. დავინახე, რომ ის ხაზს იქით იყო და რაკი მსაჯს ჯარიმა არ დაუნიშნავს, გოლი უნდა ჩაეთვალა. ბურთთან შეხებისას ვიგრძენი, რომ ჩემს ფეხსაც ვიღაც შეეხო, მაგრამ მაინც დავარტყი. მე გოლს ვითხოვდი და არა პენალტს. ფინალში, რა თქმა უნდა, დამსახურებულ მსაჯს ნიშნავენ. ცხადია, ისიც ადამიანია და შეიძლება, უნებურად შეცდეს. ჩემი აზრით, ბენეტი შეცდა და ამის გამო ძალიან ვწუხვარ."*

ორგვარი შეფასება მოვისმინეთ ჩელსელი ფეხბურთელებისგანაც. პეტრ ჩეხი: *"დიახ, ბურთმა ხაზი გადაკვეთა, მაგრამ იქამდე ჯარიმა იყო. მსაჯს გოლი არ უნდა ჩაეთვალა."* ფრენკ ლემპარდი: *"მგონი ბურთმა ხაზი გადაკვეთა. მომეჩვენა, რომ გოლი იყო."*

ფერგიუსონმა ნაგების მიზეზად გადაღლილობაც დაასახელა: *"უთვალავი მატჩი, რომელსაც ფეხბურთელები სეზონის განმავლობაში ატარებენ, როდესაც აუცილებლად იჩენს თავს. მეტოქის ფეხბურთელებიც დაქანცულები იყვნენ, მაგრამ რამდენიმე პოზიციაზე ჩვენ უფრო მეტად გაგვიჭირდა. საერთო ჯამში, თანაბარი თამაში იყო. არცერთი გუნდი არ იმსახურებდა მოგებას ან წაგებას და ვწუხვარ, რომ მაინც და მაინც, ჩვენ დავმარცხდით."*

მოურინიომ ასოციაციის თასის მედალი ფანებისთვის ვეღარ გაიმეტა. შარშან, როცა ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს, მაშინვე მოიხსნა და ტრიბუნისკენ გაისროლა: *"ეს ჯილდო ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს. ეს ასოციაციის თასია და თანაც პირველი, რომელიც მოვიპოვე. დღევანდელი გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში უკლებლივ ყველა ინგლისური ტიტული დავისაკუთრეთ. ახლა უკვე დამშვიდებული სინდისით შეგვიძლია შვებულებაში გავსვლა."*

დიდიე დროგბა: *"ასოციაციის თასი ვერც ჩემპიონობას შეგვიცვლის და ვერც ჩემპიონთა თასს, მაგრამ ფინალი განსაკუთრებული მოვლენაა. "მანჩესტერს" ორი წელიწადი ვერ ვუტანდი და მიხარია, რომ გადამწყვეტ მომენტში გამიმართლა."*

ჩელსი

ჟოზე, შევა და ბალა რჩებიან

რობენი გაიერნში მიდის?

ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** თქვა, რომ ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. დირექტორებთან იანვრის ტრანსფერებისას წარმოქმნილი უთანხმოება, როგორც ჩანს, ამოიწურა. მე და აბრამოვიჩი მტრები არ ვართო, ამბობს ჟოზე: *"ჩელსისთან" კონტრაქტი მაკავშირებს. მითხრეს, რომ კლუბსაც სურს თანამშრომლობის გაგრძელება. მისტერ ბაკი ("ჩელსის" თამჯდომარე) და მისტერ კენიონი (აღმასრულებელი დირექტორი) ღირსეული ადამიანები არიან. ამიტომ, როცა ისინი ამბობენ, რომ მომავალ სეზონში "ჩელსის" მე ვუხელმძღვანელებ, არ მაქვს საფუძველი, მათ გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. კლუბი რომ უკმაყოფილო იყოს, სხვებზე ადრე მე მეტყოდნენ, რადგან პატიოსან ადამიანებთან ერთად ვმუშაობ, პატიოსანი ხალხი კი სწორედ ასე იქცევა. მოკლედ, მე და პიტერი (კენიონი) მზადებას ვიწყებთ. წინასასეზონო შეკრება 9 ივლისს დაინიშნა."* კითხვაზე, ელაპარაკება თუ არა აბრამოვიჩს, ჟოზემ მიუგო: *"ველაპარაკები, როცა საჭიროა. მას ჰყავს მწვრთნელი, აღმასრულებელი დირექტორი, თავმჯდომარე და პრესმდივანი. მას ჰყავს ადამიანები, რომლებმაც საკითხები მის გარეშე უნდა გადაჭრან. არ არის აუცილებელი, ის ყოველ წუთს კლუბის ბაზაზე იყოს."* ბოლოს, "ჩელსის" ბოსს იორკშირულ ტერიერზეც ჰკითხეს, რომლის გამო მოურინიო პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა: *"ძაღლი უკვე პორტუგალიაშია. ლონდონს ეპიდემია აღარ ემუქრება და აღარც დანაშაულის საფუძველი არსებობს."*

ანდრეი შევჩენკო და მიხაელ ბალაკი

ლონდონელთა საზაფხულო გეგმებზე უფრო დაწვრილებით აღმასრულებელმა დირექტორმა ისაუბრა. **პიტერ კენიონმა** თქვა, რომ კლუბი სამ ფეხბურთელს გაყიდის. **ანდრეი შევჩენკოსა** და **მიხაელ ბალაკს** ტრანსფერზე დაყენება არ ემუქრებათ: *"ალბათ სამი მოთამაშე დაგვტოვებს და სამი ან ოთხი დაგვემატება. არა მგონია, ძვირი ფეხბურთელი შევიძინოთ. "ჩელსის" სათადარიგო მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი უფრო სჭირდება."* კენიონმა **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდის** ახალი კონტრაქტებიც ახსენა და იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში დასრულდება. კენიონს წამსვლელთა ვინაობა არ დაუზუსტებია. "გარდიანში" კი ვკითხულობთ, რომ **არიენ რობენი** "ბაიერნთან" გააფორმებს კონტრაქტს და რომ ლონდონური გრანდი 18 მილიონ ევროს მიითვლის. რობენი ლონდონში 2004 წლის ზაფხულში "ეინდჰოვენიდან" გადავიდა. "არისტოკრატებმა" მაშინ 12 მილიონი გადაიხადეს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა "ჩელსის" ფეხბურთელის ტრანსფერით ფინანსური სარგებლის ნახვა შეუძლია.

ინგლისის ნაკრები

ბექჰემი ბრუნდება?

დევიდ ბექჰემი შეიძლება, ინგლისის ნაკრებში დაბრუნდეს. **სტივ მაკლარენი** შემადგენლობას მომავალ უქმეებზე დაასახელებს. მადრიდელი გალაქტიკოს გამოძახების შანსი საკმაოდ მაღალია. 1 ივნისს ინგლისი ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ეს იქნება ეროვნული ნაკრების პირველი თამაში ახალ "უემბლიზე". ხუთი დღის შემდეგ მაკლარენის შეგირდებს ესტონეთთან საკვალიფიკაციო მატჩი ელით, რომელშიც სამი ქულის მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 32 წლის ბექჰემი სეზონის მიწურულს საუცხოო ფორმაში შევიდა. ესპანელი მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ თვით "რეალის" თამაშის გარდატეხაც დევიდის დაბრუნებას უკავშირდება. ბექჭს ინგლისელთა მაისურა შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ მოურგია. მაკლარენმა ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე რამდენიმე ფეხბურთელი მოსინჯა, მაგრამ სასურველი ეფექტი ვერ მიიღო. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ყოფილი კაპიტნის გამოძახება. გუშინ ბრიტანულმა სააგენტოებმა ბექჰემის კომენტარი გაავრცელეს: *"მე ისევ მინდა ჩემი ქვეყნის გუნდში თამაში და ვგრძნობ, რომ კიდევ შემიძლია, მისთვის სარგებლის მოტანა. "*



დევიდ ბექჰემი

არგენტინის ნაკრები

მხოლოდ ევროპელებით

ბასილეა ორი დებიუტანტიც გამოიძახა...

ივნისის დასაწყისში არგენტინის ნაკრები შვეიცარიაში გაემგზავრება. 2 ივნისს ის მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. 6 ივნისისთვის მეტოქის ვინაობა ჯერ არ არის გარკვეული. "ალბისელესტეს" თავკაც **ალფიო ბასილეს** იმედი აქვს, რომ სპარინგ-პარტნიორის მოძებნა არ გაუჭირდება. მას შვეიცარიაში 20 ფეხბურთელი მიჰყავს. უკლებლივ ყველა ევროპაში მოღვაწე ლეგიონერია. სიაში არიან **ლიონელ მესი** და **კარლოს ტევესი**. გუნდის ხერხემალს ის მოთამაშეები შეადგენენ, რომლებიც შარშანდელ მუნდიალზე იმყოფებოდნენ. გამოძახებულია ვეტერანი მცველი **რობერტო ფაბიან აიალა**. ბასილე მესისა და ტევესის ფორმით კმაყოფილია. ამ ფეხბურთელებს თებერვალში, საფრანგეთთან ამხანაგური შეხვედრა გაუცდათ. იმ საღამოს ერთადერთი გოლი **ხავიერ სავიოლამ** გაიტანა. პარიზში არ უთამაშია **ხავიერ მასკერანოს**. ნახევარმცველი "ლივერპულში" ახალი გადასული იყო და საკლუბო საქმეებს აგვარდებდა. 20-კაციან შემადგენლობაში ორი დებიუტანტისთვისაც მოიძებნა ადგილი. ესენი არიან ნიურნბერგელი მცველი **ხავიერ პინოლა** და სანტანდერელი ნახევარმცველი **ესეკილ გარაი**.

მეკარეები - რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), ლეონარდო ფრანკო (ატლეტიკო);

მცველები - რობერტო აიალა (ვალენსია), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა), ნიკოლას ბურდისო (ინტერი), გაბრიელ ჰაინცე (მანჩესტერ იუნაიტედი), ხავიერ პინოლა (ნიურნბერგი);

ნახევარმცველები - პაბლო აიმარი (სარაგოსა), ესტებან კამბიასო (ინტერი), ხავიერ ძანეტი (ინტერი), ფერნანდო გაგო (რეალი), ლუის გონსალესი (პარტუ), ხონას გუტიერესი (მალიორკა), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ესეკილ გარაი (რასინგი);

თავდამსხმელები - კარლოს ტევესი (ვესტ ჰემი), დიეგო მილიტო (სარაგოსა), ერნან კრესპო (ინტერი), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა), ლიონელ მესი (ბარსელონა).

პარგრივსი მანჩესტერში, 25 მილიონად

ოუენ ჰარგრივსი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის. თავდაპირველად ეს ინფორმაცია "შპიგელმა" გაავრცელა. პოპულარული ჟურნალი ტრანსფერს 25 მილიონ ევროდ აფასებს. მიუნხენელებს ფეხბურთელი ასე ძვირად არასოდეს გაუყიდიათ. "იუნაიტედი" ჰარგრივსს ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებს. კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია. ოუენმა "კოტბუსთან" ბოლო ტურში (5:2) მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მან მიუნხენში ათი წელიწადი გაატარა. ჰარგრივსი "კალგარიში" შეამჩნიეს. მან ბუნდესლიგაში სადებიუტო მატჩი 19 წლისამ ჩაატარა (სულ 145 მატჩი). 2001 წელს კი ჩემპიონთა თასს დაეუფლა. ოუენს კონტრაქტი 2010 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. ინფორმაცია ჰარგრივსის ტრანსფერის შესახებ **ფრანც ბეკენბაუერმაც** დაადასტურა. აი, რა განუცხადა მან "შპიგელის" მიმომხილველს: *"დიახ, ის მიდის. მაწ თვითონ გადაწყვიტა "ბაიერნიდან" წასვლა. მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. ასე რომ, ზუსტი ცნობები გაქვთ და ფასის შესახებაც სწორად ყოფილხართ ინფორმირებული."*

სასჯელი რივერ პლეიტს

"რივერ პლეიტის" სტადიონ "მონუმენტალს" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. მიზეზი ფანების მიერ მოწყობილი არეულობაა. 6 მაისს "ინდეპენდიენტესთან" ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ ქომაგებმა ხელჩართული ჩხუბი ატეხეს ტრიბუნებსა და სტადიონის მისადგომებთანაც. ჩხუბის შედეგად ოთხი ადამიანი მძიმედ დაშავდა. ამათგან ერთს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ესაა მეორე სასჯელი, რომელიც "რივერს" კლაუსურის გათამაშებაში გამოუწერეს. თებერვალში "მონუმენტალი" ხუთი მატჩით დაიხურა. მიზეზი მაშინაც ძალადობის ესკალაცია იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

XXXVII ტური

ოსერი–ლილი 2:1

ოსერი: სორენი, ჟორესი (77. რადე), კაბული, მინო, სანია, კალენბერგი, პედრეტი, ფ. ტომასი, აკალე, იელენი, ნიკულაე (68. ლეჟონი).

ლილი: სილვა, ლიხტშტაინერი, რამი, შმიტცი, ტაფორო, ბასტოსი (61. ბოდმერი), დებუში, დუმონი, მაკუნი, ობრანიაკი (80. ფოვერგი), ა. კეიტა (53. მირალა).

გოლები: 1:0 კალენბერგი (15), 1:1 ა. კეიტა (28), 2:1 იელენი (79)
გაფრთხილება: 0-0
მაყურებელი: 7 667

ლე მანი–ბორდო 1:1

ლე მანი: ი. პელე, იბ. კამარა (87. დე მელო), სედრანი, ბასა, ო. ტომასი, რომარიკი, სესენონი, ბონარი, კალვე (79. ის. ბანგურა), მაცუი, გრაფიტე.

ბორდო: რამე, მარანჟი (81. ფრანსია), პლანუსი, ენაკარპირე, ჟემალი, მავუბა (46. მიკუ), ფერნანდო, ვენდელი, ალონსო, იუსი (73. შამახი), პერეა.

გოლები: 1:0 გრაფიტე (59), 1:1 პერეა (68)
გაფრთხილება: 2-0
მაყურებელი: 14 072

ლანსი–ნიცა 0:0

ლანსი: იტანჟე, დემონი, ად. კულიბალი, ჰილტონი, რამოსი, სე. კეიტა, კოვაჩევიჩი (25.ბუკარი), დინდანე, კარიერი, მონტერუბიო (63. სი. კეიტა), დ. კუზენი (61. ჟემაა).

ნიცა: ლორისი, აპამი, აბარდონადო, კანტე (46. ედერსონი), ვარო, ეშუაფნი, ბალმონი, ფანი, დაიკიტე, ბელიონი (64. ვეინო), ბ. კონე (77. ვაირუა).

გაფრთხილება: 2-3
მაყურებელი: 38 468

მონაკო–ლიონი 1:0

მონაკო: რომა, მოდესტო, ბოლივარი, ჟივე, დოს სანტოსი, დ. პერესი, მონსორო, მენეზი, მერიემი, პიკიონი (61. ი. ლეკო) კოლერი.

ლიონი: კუპე, რევეიერი (90+1. კლერკი), სკილაჩი, კრისი, აბიდალი, ა. დიარა, ტიაგო (66. რემი), ტულალანი (80. ფაბიო სანტოსი), ფ. მალუდა, გოვუ, ბენზემა.

გოლი: 1:0 მენეზი (58)
გაფრთხილება: 2-1
მაყურებელი: 13 145

ნანსი–სოშო 5:2

ნანსი: გრეგორინი (61. ლაპიერი), ანდრე ლუიში, ბიანკალანი, სოგე, პუიგრენიე, გავანონი, ნ'გემო, კიმი, ის. დია (67. ი. ჰაჯი), კურბელო, ფორტუნე (84. დიახატე).

სოშო: რიშერი, პოტიიონი, ბრეშე, პიშო, პიტო, კ. ზიანი, ნ'დავი, სენე (36. ბირსა), ჟ. ლერუა, გრაქსი (74. დაგანო), ლე ტალეკი (82. ისაბეი).

გოლები: 1:0 ფორტუნე (19), 2:0 პუიგრენიე (31), 2:1 ბირსა (45), 3:1 გავანონი (67), 4:1 ფორტუნე (80), 4:2 დაგანო (90), 5:2 სოგე (90+1)
გაფრთხილება: 0-2
მაყურებელი: 19 503

ნანტი–ტულუზა 0:0

ნანტი: ერტებისი, სინიორინო, სეტო, გიიონი, გ. ნორბერი, ვენკორი (80. სავინო), საედუ, და როშა, პეიე (35. პიერონი), მ. დიალო (80. ოლიეში), კესერუ.

ტულუზა: დუშე, კონგრე, არიბაჟე, მატიო, ებონდო, სირიეი, დიოზი, პაულო სეზარი, ბატლი, ემანა, ელმანდერი (80. ფორტი).

გაძევება: ებონდო (33. ტულუზა)
გაფრთხილება: 1-2
მაყურებელი: 29 000

პსჟ–ტრუა 2:1

პსჟ: ლანდრო, ბ. მენდი, როზენალი, იეპესი, არმანი, ე. სისე, ჟ. კლემანი (59. გალიარდო), როტენი, ლუინდულა (79. კ. როდრიგესი), პაულეტა, ფრო (59. დიანე).

ტრუა: ლე კრომი, დ. ფერეირა, პესლეი, ი. ფეიე, ენზა იამისი, ბარბოსა (87. ლაშორი), მატუიდი, დაიკი, ნივე, იბ. ბანგურა (63. გილიოტი), ჟაზირი.

გოლები: 0:1 ნივე (22), 1:1 პაულეტა (71), 2:1 პაულეტა (77)
გაფრთხილება: 2-1
მაყურებელი: 40 816

რენი–ლორიანი 4:1

რენი: პუპლენი, მელხიოტი, ჟ. ფატი, მენსა, დანზე, ბრ. შეირუ, ე. დიდო, სორლენი, მარვო (85. ჟონეშამი), ბრიანი (86. მორეირა), უტაკა (90+3. ეკოკო).

ლორიანი: რე. რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მულეკი, მანსური (74. ტალაუი), ევოლო, აბრიელი, ლე პენი (60. ბარი), გინიაკი (74. ბურპანი), საიფი.

გოლები: 1:0 მელხიოტი (1), 1:1 ევოლო (22), 2:1 ბრ. შეირუ (51), 3:1 უტაკა (71), 4:1 ჟონეშამი (88)
გაფრთხილება: 2-1
მაყურებელი: 29 425

სტ.ეტიენი–მარსელი 1:2

სტ-ეტიენი: ვივიანი, მ. დაბო, ზ. კამარა, ონონი (51. პერკისი), ილუნგა, ლანდრენი, პერენი (78. ოტკოერი), გარენი (64. ჰაინცი), პ. ფეინდუნო, ილანი, მუსილუ.

მარსელი: კარასო, ბეიე, სიველი, ჟ. როდრიგესი, ტაივო, კანა, მ'ბამი, ნასრი, რიბერი (75. ვალბუენა), ჯ. სისე (79. პაჟისი), ნიანგი (89. ორუმა).

გოლები: 0:1 ჯ. სისე (54), 1:1 პ. ფეინდუნო (69), 1:2 ვალბუენა (85)
გაფრთხილება: 1-1
მაყურებელი: 35 000

სედანი–ვალანსი 1:1

სედანი: რენო, დუკურტუა, სარტრი, ლაშორი, ბელაჯი, ამალფიტანო, ნორო, მარენი (57. ჟობი), მოის-ბელეი (77. ჟო), ბუტაბუ (70. მოკაკე), პუჟოლი.

ვალანსი: პენეტო, მატერი, ფლაშე, უადუ (28. მო. ტრაორე), რიპერი, შელი, პააუვე, დუმენგი, ბეზაზი (81. საესი), ჰასლი (61. დოსევი), სავიდანი.

გოლები: 0:1 ჰასლი (49), 1:1 ჟობი (63)
გაფრთხილება: 0-0
მაყურებელი: 14 812

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლიონი	37	23	9	5	61-26	78
2. მარსელი	37	18	7	12	52-38	61
3. ლანსი	37	15	12	10	47-38	57
4. ბორდო	37	16	9	12	38-32	57
5. რენი	37	14	14	9	37-29	56
6. სოშო	37	14	12	11	45-48	54
7. ტულუზა	37	15	8	14	41-42	53
8. ოსერი	37	12	15	10	38-40	51
9. სტ. ეტიენი	37	14	7	16	52-49	49
10. ლილი	37	13	10	14	44-42	49
11. ნანსი	37	13	10	14	37-42	49
12. ლორიანი	37	12	13	12	33-39	49
13. მონაკო	37	12	12	13	43-38	48
14. ლე მანი	37	11	15	11	42-43	48
15. პსჟ	37	11	12	14	41-42	45
16. ვალანსი	37	11	10	16	35-45	43
17. ნიცა	37	9	15	13	31-37	42
18. ტრუა	37	8	12	17	36-54	36
19. სედანი	37	7	14	16	46-57	35
20. ნანტი	37	7	14	16	28-46	35

ბომბარდირები: 14 - პაულეტა (პსჟ); 13 - სავიდანი (ვალანსი); 12 - ნიანგი (მარსელი), გრაფიტე (ლე მანი); 11 - სე. კეიტა (ლანსი), ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), ფრედი (ლიონი); 10 - გომისი (სტ. ეტიენი), იელენი (ოსერი), პიკიონი (სტ. ეტიენი), უტაკა (რენი), ჟუნინიო (ლიონი).

II დივიზიონი

XXXVII ტური

აიაჩო–მონპელიე	0:2
შატორუ–გინგამი	1:0
კრეტეი–ამიენი	0:2
გრენობლი–დიჟონი	2:1
გენიონი–ბასტია	4:2
ისტრი–კაენი	1:2
ჰავრი–ნიორი	2:2
რეიმსი–ლიბურნი	1:1
სტრასბური–მეცი	2:1
ტური–ბრესტი	1:2

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მეცი	37	22	10	5	53-20	76
2. სტრასბური	37	19	13	5	46-30	70
3. კაენი	37	18	14	5	63-39	68
4. ამიენი	37	20	6	11	55-42	66
5. გრენობლი	37	15	14	8	51-38	59
6. ჰავრი	37	15	11	11	52-36	56
7. შატორუ	37	15	9	13	41-42	54
8. დიჟონი	37	13	12	12	41-46	51
9. ბასტია	37	13	11	13	48-48	50
10. რეიმსი	37	12	11	14	43-43	47
11. აიაჩო	37	12	11	14	44-47	47
12. გეინონი	37	12	9	16	45-51	45
13. ლიბურნი	37	12	8	17	42-50	44
14. გინგამი	37	10	13	14	43-43	43
15. ბრესტი	37	9	15	13	37-40	42
16. მონპელიე	37	10	11	16	40-48	41
17. ნიორი	37	9	14	14	33-44	41
18. კრეტეი	37	9	13	15	32-48	40
19. ისტრი	37	8	11	18	34-59	35
20. ტური	37	5	8	24	28-57	23

ბელგია

XXXIV ტური

ბევერსხოტი–რუზელარე	3:0
ბრიუგე–სერკლი	3:3
შარლერუა–ვარეგემი	3:1
ბრიუსელი–გენკი	3:1
ლოკერენი–ლიერსი	1:4
მუსკრონი–სტანდარდი	2:0
მონსი–ანდერლეხტი	3:1
სტ.ტრუიდენი–ბევერენი	3:2
ვესტერლო–გენტი	1:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ანდერლეხტი	34	23	8	3	75-30	77
2. გენკი	34	22	6	6	71-37	72
3. სტანდარდი	34	19	7	8	62-38	64
4. გენტი	34	18	6	10	56-40	60
5. შარლერუა	34	17	9	8	52-40	60
6. ბრიუგე	34	14	9	11	58-40	51
7. ბევერსხოტი	34	14	9	11	52-46	51
8. ვესტერლო	34	12	10	12	41-44	46
9. მონსი	34	12	8	14	41-41	44
10. მუსკრონი	34	10	12	12	51-55	42
11. რუზელარე	34	10	9	15	50-72	39
12. სერკლი	34	10	8	16	31-36	38
13. ბრიუსელი	34	8	14	12	39-50	38
14. ვარეგემი	34	9	10	15	40-55	37
15. სტ. ტრუიდენ	34	9	8	17	39-52	35
16. ლოკერენი	34	5	15	14	32-48	30
17. ლიერსი	34	6	8	20	33-66	26
18. ბევერენი	34	5	10	19	31-64	25

II დივიზიონი

XXXIV ტური

დაინცე-ოსტენდე 1:5; ლომელი-ვირტონი 4:2; სტ.-ჟილი-ტინენი 2:1; ჰევერლე-კორტრიიკი 1:2; ვაასლანდი-დესელი 3:4; ტუბეკე-ეუპენი 3:3; დენდერი-ანტვერპენი 2:1; ჰამე-მეხელენი 2:1; რასინგი-რონსე 4:0.

ავსტრია

XXXVI ტური

ავსტრია–ალტახი	3:0
გრაცერი–რიდი	2:3
მატერსბურგი–ტიროლი	6:1
პაშინგი–შტურმი	1:1
ზალცბურგი–რაპიდი	3:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზალცბურგი	36	22	9	5	72-25	75
2. რიდი	36	15	11	10	47-42	56
3. მატერსბურ	36	16	7	13	61-58	55
4. რაპიდი	36	14	10	12	55-49	52
5. პაშინგი	36	14	10	12	47-41	52
6. ავსტრია	36	11	12	13	43-43	45
7. შტურმი	36	16	6	14	40-40	41
8. ალტახი	36	11	5	20	45-64	38
9. ტიროლი	36	8	10	18	40-64	34
10. გრაცერი	36	8	10	18	43-67	34

შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა

II დივიზიონი

XXXII ტური

ავსტრია (ლ)-ლეობენი 1:0; პარტბერგი-ლინცერი 0:4; კაპფენბერგი-ადმირა 1:3; კერნტენი-ავსტრია A 1:1; პარნდორფი-ლუშტენაუ 0:2; შვანენშტადტი-გრატკორნი 3:1.

ირლანდია

XI ტური

ბრეი–სლიგო	2:0
კორკი–ბოჰემიანსი	2:1
გალვეი–დუბლინი	0:0
ლონგფორდი–დერი	0:0
შემროკი–უოტერფორდი	შეწყდა
სტ. პატსი–დროგედა	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სტ. პატსი	10	7	2	1	18-6	23
2. დროგედა	9	6	3	0	17-9	21
3. კორკი	11	5	4	2	14-10	19
4. ბოჰემიანსი	11	4	5	2	11-5	17
5. დერი	11	4	3	4	8-9	15
6. დუბლინი	11	3	5	3	12-9	14
7. შემროკი	10	4	2	4	9-7	14
8. სლიგო	11	4	1	6	9-15	13
9. ბრეი	10	3	2	5	8-12	11
10. გალვეი	11	1	5	5	6-11	8
11. უოტერფორ	10	2	2	6	5-13	8
12. ლონგფორდ	11	1	4	6	6-17	7

შოტლანდია

XXXVIII ტური

დანდი იუნ–მაზერველი	0:0
დანფერმლაინი–ფალკირკი	0:3
სტ. მირენი–ინვერნესი	0:1
აბერდინი–რეინჯერსი	2:0
ჰიბერნიანი–სელტიკი	2:1
კილმარნოკი–ჰარტსი	1:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სელტიკი	38	26	6	6	65-34	84
2. რეინჯერსი	38	21	9	8	61-32	72
3. აბერდინი	38	19	8	11	55-38	65
4. ჰარტსი	38	17	10	11	47-35	61
5. კილმარნოკი	38	16	7	15	47-54	55
6. ჰიბერნიანი	38	13	10	15	56-46	49
7. ფალკირკი	38	15	5	18	49-47	50
8. ინვერნესი	38	11	13	14	42-48	46
9. დანდი იუნ	38	10	12	16	40-59	42
10. მაზერველი	38	10	8	20	41-61	38
11. სტ. მირენი	38	8	12	18	31-51	36
12. დანფერმლა	38	8	8	22	26-55	32

შვედეთი

VII ტური

გეფლე–ჰამარბიუ	1:0
ერებრუ–მალმიო	1:1
აიკ–ჰალმსტადი	დღეს
გაის–კალმარი	დღეს
ტრელებორგი–იურგორდენი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მალმიო	7	3	3	1	10-5	12
2. გიოტებორგი	6	3	2	1	11-5	11
3. ჰამარბიუ	7	3	2	2	10-4	11
4. გეფლე	7	3	2	2	6-7	11
5. ელფსბორგი	7	2	4	1	9-8	10
6. კალმარი	6	3	1	2	8-7	10
7. ჰალმსტადი	6	3	1	2	7-7	10
8. აიკ	6	3	0	3	5-7	9
9. გაის	6	2	2	2	5-5	8
10. იურგორდენ	6	2	1	3	7-6	7
11. ერებრუ	7	1	4	2	5-8	7
12. ჰელსინგბორ	6	2	0	4	6-8	6
13. ტრელებორგ	7	1	2	4	7-13	5
14. ბრომაპოიკარ	6	1	2	3	7-13	5

II დივიზიონი

VI ტური

ჰაკენი-სირიუსი 2:0; მიალბიუ-დეგერფორსი 5:0; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

ხორვატია

XXXIII ტური

სიბალია–მედიმურიე	3:0
ოსიეკი–შიბენიკი	2:2
პულა–სლავენი	0:0
რიეკა–კამენი	2:0
ვარტექსი–ზაგრები	1:1
დინამო–ჰაიდუკი	3:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	33	30	2	1	84-22	92
2. ჰაიდუკი	33	22	6	5	60-25	72
3. ზაგრები	33	18	4	11	58-40	58
4. სლავენი	33	14	7	12	40-37	49
5. შიბენიკი	33	14	7	12	50-48	49
6. ოსიეკი	33	11	10	12	42-45	43
7. რიეკა	33	12	6	15	51-53	42
8. ვარტექსი	33	12	6	15	49-62	42
9. მედიმურიე	33	11	4	18	40-60	37
10. სიბალია	33	9	5	19	33-53	32
11. პულა	33	6	11	16	28-40	29
12. კამენი	33	3	4	26	27-77	13

ისლანდია

II ტური

ფილკირი–ვალური	1:2
ფრამი–ვიკინგური	0:2
რეიკიავიკი–ბრეიდაბლიკი	1:1
კეფლავიკი–ჰაფნარი	1:2
კოპავოგური–აკრანესი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰაფნარი	2	2	0	0	5-3	6
2. ვიკინგური	2	1	1	0	2-0	4
3. ვალური	2	1	1	0	3-2	4
4. კეფლავიკი	2	1	0	1	3-3	3
5. ფილკირი	2	1	0	1	2-2	3
6. ჰკ	1	0	1	0	0-0	1
7. რეიკიავიკი	2	0	1	1	2-3	1
8. ბრეიდაბლიკ	2	0	1	1	1-2	1
9. ფრამი	2	0	1	1	1-3	1
10. აკრანესი	1	0	0	1	2-3	0

პორტუგალია

XXX ტური

მარიტიმუ–ბოავიშტა	1:2
ამადორა–ლეირია	1:1
ბეირა მარი–ფერეირა	1:1
ბენფიკა–აკადემიკა	2:0
ბრაგა–ნასიონალი	1:1
ნავალი–სეტუბალი	1:2
პორტუ–ავეში	4:1
სპორტინგი–ბელენენსეში	4:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პორტუ	30	22	3	5	65-20	69
2. სპორტინგი	30	20	8	2	54-15	68
3. ბენფიკა	30	20	7	3	55-19	67
4. ბრაგა	30	14	8	8	35-30	50
5. ბელენენსეშ	30	15	4	11	35-29	49
6. ფერეირა	30	10	12	8	31-36	42
7. ლეირია	30	10	11	9	25-27	41
8. ნასიონალი	30	11	6	13	41-38	39
9. ბოავიშტა	30	8	11	11	32-34	35
10. ამადორა	30	9	8	13	23-36	35
11. ნავალი	30	7	11	12	28-37	32
12. მარიტიმუ	30	8	8	14	30-44	32
13. აკადემიკა	30	6	8	16	28-46	26
14. სეტუბალი	30	5	9	16	21-45	24
15. ბეირა მარი	30	4	11	15	28-55	23
16. ავეში	30	5	7	18	22-42	22

II დივიზიონი

XXX ტური

პორტიმონენსე-გონდომარი 1:2; ფეირენსე-მოსკავიდე 1:0; გიმარაეში-ოლანენსე 1:1; ეშტორილი-პენაფიელი 2:1; ტროფენსე-ვარზიმი 2:0; რიუ ავე-ვიზელა 2:1; სანტა კლარა-ჟილ ვისენტე 2:1; ლეიქსოეში-შავეში 3:0.

ფინეთი

VI ტური

ჰონკა–მარიეჰამნი	2:0
ლაჰტი–ოულუ	2:1
ტამპერე–ინტერი	2:1
ვიიკინგიტი–ჰიკ	1:1
ვაასა–იარო	1:2
მიუპა–კტპ	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ტამპერე	6	4	1	1	8-6	13
2. ჰაკა	5	4	0	1	6-3	12
3. ლაჰტი	6	3	1	2	9-10	10
4. ჰიკ	6	2	3	1	8-7	9
5. ტურკუ	5	2	2	1	6-3	8
6. ჰონკა	6	2	2	2	9-8	8
7. ოულუ	6	2	2	2	6-6	8
8. იარო	6	2	2	2	8-7	8
9. მიუპა	5	2	1	2	7-5	7
10. კტპ	5	2	1	2	6-5	7
11. ინტერი	6	1	2	3	8-7	5
12. ვიიკინგიტი	6	1	2	3	6-10	5
13. მარიეჰამნი	6	0	4	2	3-6	4
14. ვაასა	6	0	3	3	3-10	3

შვეიცარია

XXXV ტური

გრასჰოპერსი–ტუნი	0:3
ლუცერნი–ბაზელი	0:3
სტ. გალენი–სიონი	0:3
იანგ ბოიზი–ციურიხი	2:3
შაფჰაუზენი–არაუ	0:2

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაზელი	35	21	8	6	75-40	71
2. ციურიხი	35	21	7	7	62-32	70
3. იანგ ბოიზი	35	17	8	10	52-40	59
4. სიონი	35	16	9	10	55-42	57
5. სტ. გალენი	35	14	13	8	46-40	55
6. გრასჰოპერს	35	13	11	11	54-39	50
7. ტუნი	35	9	7	19	28-58	34
8. ლუცერნი	35	8	9	18	31-56	33
9. არაუ	35	6	7	22	27-54	25
10. შაფჰაუზენი	35	4	13	18	27-56	25

ჩელენჯლიგა

XXXIII ტური

კიასო-ლუგანო 2:0; კონკორდია-კრინსი 3:1; დელემონი-ვადუცი 1:0; ლოზანა-ფონდსი 0:1; ლოკარნო-ივერდონი 2:1; სერვეტი-ბელინცონა 0:3; ვილი-იუვენტუსი 4:0; ვინტერტური-ვოლენი 1:0; ქსამაქსი-ბოლმსი 5:0.

თურქეთი

XXXIII ტური

ბეშიქთაში–ანკარასპორი	2:1
გალათასარაი–ფენერბაჰჩე	1:2
გენჩლერი–საქარია	1:0
ანკარაგიუჯუ–სივასი	1:4
დენიზლი–ქაისერი	2:1
ერჩიესი–ანთალია	0:0
გაზიანთეფი–მანისა	0:0
რიზე–ქონია	1:0
ტრაბზონი–ბურსა	3:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ფენერბაჰჩე	33	19	10	4	62-30	67
2. ბეშიქთაში	33	18	7	8	43-29	61
3. გალათასარაი	33	15	11	7	58-35	56
4. ტრაბზონი	33	15	7	11	53-42	52
5. ქაისერი	33	12	12	9	51-43	48
6. ქონია	33	12	9	12	42-42	45
7. გენჩლერი	33	13	6	14	40-41	45
8. სივასი	33	13	6	14	39-43	45
9. ანკარა	33	9	17	7	41-37	44
10. ანკარაგიუჯ	33	11	9	13	31-36	42
11. ბურსა	33	11	9	13	34-42	42
12. მანისა	32	11	8	13	41-42	41
13. დენიზლი	33	9	13	11	33-40	40
14. გაზიანთეფი	33	10	10	13	29-39	40
15. ანთალია	33	8	15	10	31-33	39
16. რიზე	33	11	6	16	33-39	39
17. ერჩიესი	33	9	10	14	28-47	37
18. საქარია	32	3	9	20	21-50	18

სლოვენია

XXXV ტური

ბელა კრაინა–გორიცა	0:1
დრავა–პუბლიკუმი	3:1
ფაქტორი–დომჟალე	0:0
ნაფტა–მარიბორი	0:4
პრიმორიე–კოპერი	2:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დომჟალე	35	20	12	3	62-29	72
2. გორიცა	35	17	7	11	65-60	58
3. დრავა	35	15	10	10	61-50	55
4. მარიბორი	35	14	12	9	61-50	54
5. პრიმორიე	35	14	10	11	49-46	52
6. ნაფტა	35	12	9	14	44-56	45
7. კოპერი	35	9	15	11	48-45	42
8. პუბლიკუმი	35	10	12	13	50-51	42
9. ფაქტორი	35	5	11	19	34-65	26
10. ბელა კრაინა	35	5	10	20	38-60	25

სლოვაკეთი

ფინალური ზონა

XII ტური

კოშიცე–ზენეცი	0:0
რუჟომბეროკი–ნიტრა	1:0
სლოვანი–არტმედია	3:1
ჟილინა–ბისტრიცა	5:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჟილინა	12	10	1	1	74-17	63
2. არტმედია	12	7	2	3	51-35	52
3. სლოვანი	12	6	4	2	30-31	37
4. რუჟომბეროკ	12	5	1	6	24-24	36
5. ნიტრა	12	3	3	6	21-28	31
6. კოშიცე	12	3	4	5	27-35	29
7. ბისტრიცა	12	3	1	8	23-42	27
8. ზენეცი	12	1	4	7	19-57	16

გასავარდნი ზონა

XII ტური

მოჩენოკი-სობოტა 3:2; ტრენჩინი-დუსლო 3:1; ტრნავა-ინტერი 3:1; მორავცე-დუბნიცა 3:0.

ჰოლანდია

ფლეი ოფი. ჩემპ. ლიგა

ფინალი. I მატჩი

ალკმაარი–აიაქსი 2:1

ფლეი ოფი. უეფას თასი

ფინალი. II მატჩი

გრონინგენი–უტრეხტი 2:1 (2:0)

ფლეი ოფი. ინტერტოტო

ფინალი. II მატჩი

ნიიმეგენი–ვიტესი 0:2 (0:1)

ინგლისი

კონფერენსი

ექსეტერი–მორეკამბი 1:2

რუსეთი

X ტური

სპარტაკი–ლოკომოტივი	1:2
როსტოვი–ხიმკი	1:1
სატურნი–ნალჩიკი	1:1
ლუჩ ენერგია–ყუბანი	1:1
ზენიტი–რუბინი	2:1
ამკარი–ცსკა	1:1
ტომი–კრილია	1:2
დინამო–მოსკოვი	0:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზენიტი	10	5	4	1	15-10	19
2. სპარტაკი	10	5	4	1	12-7	19
3. ცსკა	10	4	5	1	16-9	17
4. კრილია	10	4	4	2	9-5	16
5. ლოკომოტივი	10	4	4	2	10-8	16
6. მოსკოვი	10	4	4	2	8-6	16
7. დინამო	10	4	3	3	9-9	15
8. ხიმკი	10	3	3	4	8-8	12
9. ტომი	10	2	5	3	11-12	11
10. ყუბანი	10	1	7	2	7-8	10
11. სატურნი	10	1	7	2	9-11	10
12. ნალჩიკი	10	2	4	4	5-10	10
13. ლ-ენერგია	10	2	3	5	5-10	9
14. ამკარი	10	1	6	3	9-10	9
15. როსტოვი	10	1	5	4	9-14	8
16. რუბინი	10	2	2	6	8-13	8

არგენტინა

XV ტური

არგ. ხუნიორსი–როსარიო	0:0
არსენალი–ბანფილდი	2:2
ნიუელსი–სან ლორენსო	0:1
ლანუსი–კოლონი	3:0
ველესი–ხიმნასია (ლ)	0:0
რასინგი–ინდეპენდიენტე	1:1
რივერი–ესტუდიანტესი	0:1
ხიმნასია (ხ)–ბელგრანო	0:0
ნუევა ჩიკაგო–გოდოი	0:0
კილმესი–ბოკა	გვ. დასრულდა

ბრაზილია

II ტური

ატ.პარანაენსე–ინტერნასიონალი	2:1
ჟუვენტუდე–პარანა	1:2
სანტოსი–ამერიკა	2:3
ბოტაფოგო–ატ. მინეირო	2:1
კრუზეირო–კორინთიანსი	0:3
გოიაში–ფლამენგო	1:3
პალმეირასი–ფიგეირენსე	2:1
გრემიო–ფლუმინენსე	გვ. დასრულდა
ნაუტიკო–სან პაულუ	გვ. დასრულდა
ვასკო და გამა–რესიფე	გვ. დასრულდა

დანია

XXXI ტური

ოლბორგი–ესბერგი	2:0
ბრონდბიუ–ოდენსე	1:0
რანდერსი–ჰორსენსი	2:1
სილკებორგი–ნორდსილანდი	1:1
ვეილე–მიდტიულანდი	1:2
ვიბორგი–კოპენჰაგენი	0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. კოპენჰაგენი	31	23	6	2	59-21	75
2. მიდტიულანდ	31	17	9	5	56-35	60
3. ოლბორგი	31	17	7	7	51-32	58
4. ოდენსე	31	17	7	7	43-30	58
5. ნორდსილანდ	31	14	9	8	61-36	51
6. ბრონდბიუ	31	12	10	9	47-36	46
7. რანდერსი	31	10	7	14	38-48	37
8. ესბერგი	31	8	10	13	42-49	34
9. ჰორსენსი	31	6	10	15	28-49	28
10. ვიბორგი	31	7	5	19	30-60	26
11. ვეილე	31	5	6	20	33-63	21
12. სილკებორგ	31	4	6	21	30-59	18

II დივიზიონი

XXIV ტური

ორჰუსი-კიოგე 3:0; ბრაბრანდი-ნაესტვედი 0:0; ჰიკ-კიოლდინგი 2:2; ფრემი-აგფ ორჰუსი 1:1; აკადემისკი-ოლსტიკე 0:2; ფრედერისია-ფრემადი 3:0; ჰერფიოლგე-ტისტედი 1:1; სიონდერილი-ლუნგბიუ 3:4.

უნგრეთი

XXIX ტური

ზალაეგერსეგი–დებრეცენი	0:1
პაქსი–ვაშაში	4:2
რეაკ–ტატაბანია	2:4
ჰონვედი–დიოშდიორი	1:1
პეჩი–კაპოშვარი	2:3
სოპრონი–ვაცი	3:1
უიპეშტი–ფეჰერვარი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დებრეცენი	29	21	3	5	61-20	66
2. მტკ	28	17	4	7	55-30	55
3. ზალაეგერშ	29	16	4	9	51-38	52
4. უიპეშტი	28	15	4	9	39-28	46
5. ვაშაში	29	12	6	11	40-40	42
6. ჰონვედი	29	11	8	10	47-40	41
7. ფეჰერვარი	28	12	4	12	41-41	40
8. კაპოშვარი	29	11	5	13	38-36	38
9. დიოშდიორი	29	11	5	13	40-48	38
10. პაქსი	29	10	7	12	34-36	37
11. სოპრონი	29	11	4	14	32-44	37
12. ტატაბანია	29	11	3	15	46-55	36
13. რეაკ	29	9	6	14	40-53	33
14. დიორი	28	8	8	12	30-39	32
15. პეჩი	29	7	11	11	30-40	32
16. ვაცი	29	4	6	19	20-56	18

პოლონეთი

XXVIII ტური

კორონა–ბელხატოვი	5:3
ლეჩნა–ზაგლები	2:1
არკა–გურნიკი	3:0
პოგონი–კრაკოვია	0:2
ვიძევი–ოდრა	1:2
ვისლა–გროცლინი	0:4
პლოცკი–ლკს	2:1
ლეხი–ლეგია	3:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბელხატოვი	28	18	4	6	60-30	58
2. ზაგლები	28	16	8	4	51-26	56
3. ლეგია	28	15	4	9	50-30	49
4. ლეხი	28	12	10	6	52-33	46
5. კორონა	28	14	4	10	40-32	46
6. კრაკოვია	28	12	7	9	40-40	43
7. ვისლა	28	9	15	4	39-24	42
8. გროცლინი	28	9	15	4	34-24	42
9. ოდრა	28	10	9	9	28-34	39
10. არკა	28	9	10	9	40-37	37
11. ლკს	28	9	10	9	29-29	37
12. ვიძევი	28	7	7	14	24-41	28
13. ლეჩნა	28	7	5	16	23-56	26
14. გურნიკი	28	5	6	17	28-51	21
15. პლოცკი	28	3	11	14	19-45	20
16. პოგონი	28	3	7	18	23-48	16

უკრაინა

XXVII ტური

კარპატი–შახტარი	0:0
კრივბასი–ტავრია	0:0
დინამო–ხარკოვი	2:0
მეტალისტი–ილიჩივეცი	2:0
ზარია–ვორსკლა	0:0
მეტალურგი (ზ)–დნეპრო	1:1
ჩერნომორეცი–სტალი	3:0
მეტალურგი (დ)–არსენალი	2:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	27	20	7	0	61-20	67
2. შახტარი	27	19	4	4	55-16	61
3. მეტალისტი	27	16	6	5	38-18	54
4. დნეპრო	27	10	13	4	28-21	43
5. ტავრია	27	11	6	10	29-27	39
6. კარპატი	27	9	10	8	25-30	37
7. ჩერნომორეც	27	9	7	11	34-33	34
8. მეტალურ (დ)	27	8	8	11	24-33	32
9. კრივბასი	27	6	13	8	27-33	31
10. მეტალურ (ზ)	27	7	10	10	19-31	31
11. ხარკოვი	27	7	9	11	23-34	30
12. ზარია	27	7	7	13	20-39	28
13. არსენალი	27	6	9	12	26-39	27
14. ვორსკლა	27	6	8	13	18-26	26
15. ილიჩივეცი	27	5	7	15	19-33	22
16. სტალი	27	5	6	16	22-35	21

ინტერვიუ ემზარ ზენაიშვილთან

საქართველოს ოლიმპიური ფონდი 5 წლისაა

პირველი გვერდიდან

პატარკაციშვილი ნოსტალგიური გამარჯვებების თანაავტორიცაა. "არასოდეს მიბრძოლია თავგამოდებით და არც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიმინიჭებია ოფიციალური სტატუსისთვის, მთავარია წვლილი შევიტანე იმ სპორტულ პაექრობაში, რომელმაც მთელ ერს გამარჯვების მონატრებული დღესასწაული მოუტანა", - განაცხადა ბადრი პატარაკაციშვილმა მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთის გუნდი დაამარცხა. ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა თავის დროზე უპირობო თანხმობა განაცხადა, საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელი გამხდარიყო და ნაკრებისთვის მოსამზადებლად "დინამოს" დიღმის საწვრთნელი ბაზა დაეთმო. გარდა ამისა, პატარკაციშვილმა ჩვენს ნაკრებს რუსეთის გუნდთან გამარჯვებისთვის ჯილდოდ 100 ათასი ლარი გადასცა.

ბატონმა ბადრიმ ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცენდენტო ფსონიც გააკეთა. რუსეთთან ტკბილად მოსაგონარი გამარჯვების შემდეგ ჩვენს ნაკრებს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი გაუჩნდა და ბადრი პატარკაციშვილი მზად იყო ნაკრებისთვის ერთი მილიონი ლარი გაეღო. "ქართველ ერს, დღეს ისე, როგორც არასდროს, სჭირდება პოზიტიური მუხტი და სტიმული ხვალინდელი დღის იმედიანად დანახვისთვის, რადგან მხოლოდ იმედდაბრუნებულ ერს შეუძლია ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს", - ასე ახსნა ბიზნესმენმა ფსონის მიზანი.



ემზარ ზენაიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი

- მოდით, ოლიმპიური ფონდის დაარსებასა და მის საქმიანობაზე ვისაუბროთ...

- ბატონი ბადრი არა მარტო სპორტის, არამედ სხვა დარგების განვითარებისთვისაც იღვწის და ფართო საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი მისი საქველმოქმედო აქციების თაობაზე.

ბადრი პატარაკაციშვილი ბევრს აკეთებს, რათა სპორტის მეშვეობით ამაღლდეს საქართველოს ავტორიტეტი, ქვეყნის იმიჯი, მოკლე დროში მის მიერ ქართულ სპორტში ინვესტირებულია ათეული მილიონობით ლარი.

ამ ხუთი წლის წინათ სწორედ ოლიმპიურმა ფონდმა დაიწყო წელში გატეხილი ქართული სპორტის ფეხზე დაყენება. ყველას კარგად გვახსოვს, რა გაუსაძლისი პირობები იყო წინა ოლიმპიური ციკლის დასაწყისში. პრაქტიკულად, ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პირველი ნახევარი ჩაგვივარდა და არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა ბატონი ბადრის მიერ გამოჩენილი ინიციატივა ოლიმპიური ფონდის დაარსების შესახებ.

- ოლიმპიური ფონდის საქმიანობა სრულიად უნიკალურია. ანალოგიური პრაქტიკა უცხოეთში არც არსებობს...

- საერთაშორისო პრაქტიკაში ნამდვილად არ არსებობს იმის ანალოგი, რომ ეოკ-ი ან მისი სტრუქტურა აფინანსებდეს სპორტსმენთა მზადება-მონაწილეობას კონტინენტურსა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში, გააჩნდეს ათლეტთა და მწვრთნელთა სოციალური დაცვის ერთიანი პროგრამა. ჩვენთან კი ეს კეთდება და ამის არდანახვა შეუძლებელია.

საზღვარგარეთის მოდელი ჩვენგან სრულიად განსხვავებულია და, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა ერთ მნიშვნელოვან დეტალზე ყურადღების გამახვილება: ერთია კეთილი ნების გამოხატულება და მეორე ვალდებულება. ყველასთვის ცნობილია, რომ ოლიმპიურ კომიტეტს ქვეყნის ბიუჯეტიდან დაფინანსება არ აქვს და შესაბამისადაც არ შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო დაკვეთა - მოამზადოს ათლეტები ოლიმპიური თამაშებისა თუ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის. ეს სახელმწიფო ორგანოებისა და შესაბამისი ფედერაციების პრეროგატივაა.

- მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა - რატომ კისრულობს ოლიმპიური ფონდი ამდენ პასუხისმგებლობას? მით უფრო, რომ წინა მოსამზადებელი ციკლისგან განსხვავებით, ამჯერად ქვეყანაში მდგომარეობაც სასიკეთოდ გამოსწორდა და სახელმწიფოსგან სპორტსაც მეტი ყურადღება ეთმობა?

- გეთანხმებით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და მისასალმებელია, რომ ხელისუფლების მხრიდან სპორტის მიმართ პოზიტიური ძვრები აშკარად შეინიშნება. ქართული სპორტი თავად ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით იმის მყარი საფუძველი არ არსებობს, რომ ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს რბილად რომ ვთქვათ, "შენახვა" მხოლოდ სახელმწიფომ შეძლოს.

ესეც რომ არ იყოს, ოლიმპიური ფონდი და მისი დამაარსებელი ბადრი პატარკაციშვილი ქართულ სპორტში ყველაზე კრიტიკულ დროს გამოჩნდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფონდმა ამ მცირე პერიოდში კოლოსალურად ბევრის გაკეთება შეძლო და მაღალი მიღწევების სპორტში ჩვენი ათლეტების ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. დღესდღეობით, ბატონი ბადრი როგორც ფონდის, ისე სეოკ-ის პრეზიდენტიცაა და ქართული ოლიმპიური მოძრაობის მიმართაც ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობს. ამიტომაც ოლიმპიური ფონდი უწინდელი შემართებით აგრძელებს ფუნქციონირებას და ეს მისი პრეზიდენტის მიერ ცალსახად მიღებული გადაწყვეტილებაა.

- სანამ უშუალოდ ოლიმპიურ ფონდზე განვაგრძობდეთ საუბარს, აქვე არ შემიძლია "ბორჯომი 2014"-ის პროექტზე არ გკითხოთ, რომლის იდეის ავტორი სწორედ ბადრი პატარკაციშვილი იყო...

- დიახ, ეს ფაქტი არამარტო სპორტის, საერთოდ ქვეყნისთვის ისტორიული მოვლენა იყო. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც სწრაფი ტემპით იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ცივილიზირებულ სამყაროში - სპორტი და მით უფრო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა კი, ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზაა.

მართალია, "თეთრი ოლიმპიადის" ბორჯომ-ბაკურიანში ჩატარება 2014 წელს გამოირიცხა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ საქართველო აპლიკანტთა კოჰორტაში გაერია, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს წამოწყება პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის, მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ იყო მიმართული. იმედია, ადრე თუ გვიან, საწადელს მივაღწევთ და ქართული ზამთრის კურორტები მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცევა.

- კვლავ ოლიმპიურ ფონდს დავუბრუნდეთ. როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას დაარსებიდან დღემდე?

- ოლიმპიური ფონდის საქმიანობა ცალსახად ყველას მიერ დადებითად იქნა შეფასებული. შეუძლებელია, ვერ დაინახო ის სასიკეთო საქმეები, რაც ფონდის მიერ გაკეთდა. როგორც უკვე ითქვა, ბოლოდროინდელ სპორტულ მიღწევებში ფონდის წვლილი სოლიდურია.

თავად განსაჯეთ - 2002-2004 წლებში ფონდის მიერ დაიხარჯა 4.5 მილიონი ლარი, რომელიც სპორტსმენების მზადების გარდა, სხვა ოლიმპიურ პროგრამებსაც მოხმარდა. და ეს მაშინ, როდესაც ელადის თამაშებამდე ორი წლით ადრე კატასტროფულ მდგომარეობაში ვიყავით.

რაც შეეხება მიმდინარე ციკლს - ფონდი ოლიმპიურ და სპორტულ პროგრამებს 11 მილიონი ლარით აფინანსებს, საიდანაც 80 პროცენტი მიზნობრივად "პეკინი 2008-ში" სპორტსმენთა კვალიფიციურ მომზადებას მოხმარდება. მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს, რათა ათენური წარმატებების ფონზე არც ჩინეთში შევირცხვინოთ თავი.

- წლეულს ფონდის დაარსებიდან ხუთი წელი შესრულდება...

- სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ფონდმა მისი დაარსების 5 წლისთავზე სრულად შეძლო თვითდამკვიდრება და სპორტულ სამყაროშიც ნდობით სარგებლობს.

მისი სტრატეგიული ამოცანა იყო და არის სპორტსმენებისთვის ხელშეწყობა, ათლეტთა, მწვრთნელთა და ვეტერანთა სოციალური დაცვა, ქვეყანაში მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება, ოლიმპიზმის პოპულარიზაცია და ა.შ.

დღესდღეობით 120-ზე მეტი სპორტსმენი, მწვრთნელი თუ ვეტერანი ოლიმპიელი ყოველთვიურად 300-დან 2000 ლარამდე სტიპენდიას იღებს. მაგალითად, შარშან ფონდის მიერ მხოლოდ სოციალური მიზნებისთვის გახარჯულია ნახევარ მილიონზე მეტი ლარი. მარტო 2006 წელს სპორტის სტრატეგიულ სახეობებში ფონდმა თითქმის ერთი მილიონი ლარით დააფინანსა 45 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 700-მდე ათლეტმა. დაფინანსდა და კვლავაც დაფინანსდება ნაკრები გუნდების მზადება და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობა.

ვფიქრობთ, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს იგი პირნათლად ასრულებს და მომავალშიც იმ მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას, რომელიც შედეგის მომტანი და ეფექტური იქნება.

გეგმაში გვაქვს, ოლიმპიური ფონდის დაარსების 5 წლის იუბილე სათანადოდ აღვნიშნოთ.

- როგორც ვიცით, ოლიმპიური ფონდი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პროექტებშიც აქტიურად მონაწილეობს...

- დიახ, ფონდის საქმიანობა არამარტო სპორტსმენთა საწვრთნელი შეკრებების, მათი შეჯიბრებებში მონაწილეობის დაფინანსებასა და სოციალური პროგრამების უზრუნველყოფით შემოიფარგლება. არ შეიძლება იმ უნიკალური პროექტის შესახებაც არ ითქვას, როგორიცაა 16-ნაწილიანი ვიდეოფილმი "ათენიდან-ათენამდე". იგი ქართული სპორტის ვიდეოისტორიაა. ბევრ ჩვენზე ეკონომიკურად თუ სპორტულად გაცილებით უფრო ძლიერ ქვეყნებს არ გამოუციათ "სპორტული ენციკლოპედია" და კრებული - "სპორტი და ოლიმპიზმი სახვით ხელოვნებაში" - ორივე ეს წიგნი სცილდება სპორტული თემატიკის ჩარჩოებს და ის ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენაძენია.

ნიშანდობლივია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფონდის პრეზიდენტის ხელშეწყობითა და დახმარებით სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე გამოიცა ათეულობით წიგნი, ბუკლეტი, საცნობარო და ინფორმაციული ლიტერატურა. მაღალ პროფესიონალურ და ტექნიკურ დონეზე გამოდის განახლებული ჟურნალი "ოლიმპიელი".

- ის გრანდიოზული პრემიებიც გავიხსენოთ, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა ელადაში გამარჯვებულ ჩვენს ათლეტებს გადასცა...

- თითოეული ოლიმპიური ჩემპიონის 200 ათასი დოლარით დასაჩუქრება მართლაც უპრეცენდენტო ფაქტი იყო ქართული სპორტის ისტორიაში. ბატონი ბადრი სრულად აცნობიერებდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის იყო ჩვენი ქვეყნისთვის ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება. ამ გადაწყვეტილებით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი დამოკიდებულება ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მიმართ. ეჭვგარეშეა, რომ ათენური წარმატება დიდად განაპირობა ბატონი ბადრის ამ ინიციატივამ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სპორტსმენთა მოტივაცია.

- ბატონო ემზარ, ძიუდოსა და ჭიდაობაში ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატებში ჩვენი ათლეტების მიერ ნაჩვენებ შედეგებზე რას იტყოდით?

- ორი აზრი არ არსებობს, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა და მოჭიდავეებმა შესანიშნავი შედეგი აჩვენეს. თავად ნარმოიდგინეთ - კონტინენტის პირველობიდან ყოველი მეორე მონაწილე სამშობლოში მედლით დაბრუნდა. მართლაც, რომ საამაყო შედეგია. ნამდვილად არ არის იოლი, მოიპოვო ოქროს სამი, ვერცხლის ოთხი და ბრინჯაოს სამი მედალი. ეს მხოლოდ მდიდარი სპორტული ტრადიციების ქვეყანას შეუძლია, ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ნიჭიერ სპორტსმენთა თაობა, ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, ქვეყანას, რომლის სპორტულ სტრუქტურებში არიან პროფესიონალი და მაღალი რანგის სპეციალისტები.

- მონაწილეობდა თუ არა სეოკ-ი და ოლიმპიური ფონდი კონკრეტულად ამ ჩემპიონატებისთვის მზადების პროცესში?

- რა თქმა უნდა. სპორტის ორივე სახეობაში წინასაჩემპიონატო მზადება (ეს კი საქართველოსა და უცხოეთში ორ-ორ საწვრთნელ შეკრებაში გამოიხატება) და ბელგრადსა და სოფიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა დააფინანსა საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა. ამ მიზნით, ფონდმა გაიღო თითქმის სამასი ათასი ლარი. ამას გარდა, სპორტის ორივე სახეობაში საქართველოს ნაკრების წევრები და მათი მწვრთნელები - სულ 34 კაცი, ჩვენგან იღებს სტიპენდიებს, რომლის რაოდენობა ყოველთვიურად აღემატება 22 000 ლარს.

- მაგრამ ამავე დროს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ოლიმპიური ფონდის მრავალფეროვანი საქმიანობის შესახებ ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებადაა ინფორმირებული...

- მოდით, შევთანხმდეთ: ბატონი ბადრის ქველმოქმედებისა და დახმარების მასშტაბები ბევრისთვისაა ცნობილი. ამასთან თავად ფონდის პრეზიდენტის სურვილიცაა, რომ კეთილ საქმეებს დიდი ხმაური არ სჭირდება. თუმცა - თქვენ მართალი ხართ - გაკეთებულის არდანახვა და ზოგადად, უმადურობა მისასალმებელი არ შეიძლება იყოს. მაგრამ მოდით, - სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, სპორტის მუშაკებმა, ჟურნალისტებმა თავად გადაწყვიტონ, რა და როგორ თქვან.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის, რაც კეთდება ოლიმპიური ფონდის მიერ, კეთდება ბადრი პატარკაციშვილის მიერ (ეს მისი მოწოდება და კეთილი ნებაა), მზადყოფნაა დახმარების ხელი გაუწიოს ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას. ზემოთ უკვე ითქვა - ანალოგიური პრაქტიკის მოძებნა რომელიმე ქვეყნის მაგალითზე შეუძლებელი თუ არა, ძალზედ ძნელი იქნება.

- დაბოლოს, როგორია სეოკ-ისა და ოლიმპიური ფონდის სამომავლო გეგმები?

- 2007 წელი გარდამტეხია ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვების ჭრილში, რამეთუ პეკინის საგზურების 80 პროცენტი სწორედ წლეულს ნაწილდება. ამას გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ზაფხულში ბელგრადში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც უკვე მეშვიდედ მივიღებთ მონაწილეობას და სადაც ტრადიციულად წარმატებულად ვასპარეზობთ ხოლმე. ტრადიციას არც ამჯერად უნდა ვუღალატოთ.

მაგრამ უმთავრესი საზრუნავ-საფიქრალი, ბუნებრივია, პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშებია. საბედიეროდ, ოთხწლეულის ამ გრანდიოზული სპორტული ზეიმისთვის მზადების კუთხით სერიოზული პრობლემები ჯერჯერობით არ არის და სახელმწიფო სტრუქტურებიდან დაწყებული სეოკ-ითა და ეროვნული ფედერაციებით დამთავრებული, ყველგან მობილიზებულნი ვართ. დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართველი ათლეტების გამარჯვების აღსანიშნავად შორეულ ჩინეთშიც არაერთხელ აჟღერდება საქართველოს ჰიმნი.

კახა ბერიძე

ხელბურთი — საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი

23 წამი, საჩემპიონო გოლი და სკანდალი

ბოლო ეპიზოდი. იყო თუ არა შვიდმეტრიანი? შუაში დავით ფორაქიშვილი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ფინალი. მეორე მატჩი
თბილისი-სტუ/თელავი 30:25
(პირველი მატჩი 29:35)

თბილისი: ანდრიაძე, სეთურიძე, ნატროშვილი (1), ფორაქიშვილი (3), ფარაჯევი (7), წივწივაძე (7), სამარღანიშვილი (1), ქირია (4), ღაღანიძე (3), გრიშიკაშვილი (1), ოსიყმაშვილი, გელაშვილი (3), ქუთათელაძე

სტუ/თელავი: სამყურაშვილი, გოგალაძე, ქობელაშვილი (2), ა. ყიფიანი (3), სიგუა, ნიკოლაიშვილი (2), ბერძენიშვილი (1), მსხვილიძე (10), გ. ჩიქოვანი, გ. კობახიძე (1), მ. კობახიძე (1), ი. ჩიქოვანი, ტალახაძე (5), ო. ყიფიანი

მსაჯები: ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

დელეგატი: მერაბ მეტრეველი

ბომბარდირები: გიორგი წივწივაძე (თბილისი – 181), ზურაბ მელქოშვილი (ქარიშხალა – 105), რამაზ შონია (მამული – 104)

საბოლოო მდგომარეობა: 1. სტუ/თელავი 2. თბილისი 3. ქარიშხალა 4. იმედი 5. მამული

...19 მაისი, ფინალის საპასუხო მატჩი. თითქმის მთელი საათის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე მჯდომი **მამია კობახიძე** ბოლო წუთებზე შემოდის მოედანზე და მატჩის დასრულებამდე 23 წამით ადრე, გოლი გააქვს. მართალია, მისი გუნდი ხუთი ბურთით აგებს, მაგრამ კობახიძის ეს გოლი საჩემპიონო გამოდგა. უკრაინიდან დაბრუნებული ლეგიონერა მატჩის გმირი გახდა...

პირველი თამაშის 29:35 წაგების შემდეგ, "თბილისი" მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. თუკი **მამუკა მჟავანაძის** გუნდს სტუ-ს 16-წლიანი ჰეგემონიის დამხობა უნდოდა, შაბათს მინიმუმ ექვსბურთიანი ფორით უნდა მოეგო.

მატჩის დაწყებამდე, ტრიბუნებზე კოლეგებთან ერთად ვიჯექი, ერთად ვაკეთებდით პროგნოზებს და დანანებით ვამბობდით – "თბილისს" პირველი შეხვედრა 2-3 ბურთით რომ წაეგო, დღეს გაცილებით დიდი ვნებათაღელვის მომსწრეები გავხდებითო. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და დრამატული მატჩის შემდეგ, უკვე იმაზე გვწყდებოდა გული, რომ ჩემპიონის ვინაობა სამ მატჩში არ გაირკვა. ალბათ, მართლაც უპრიანი და გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, ფინალი ორ მოგებამდე ჩატარებულიყო, რათა ოქროსმედალოსანი ბურთების შეფარდებას კი არა, გამარჯვებათა რაოდენობას გამოერკვია. ასეთ შემთხვევაში, თავიდან ავიცილებდით იმ სკანდალსა და გაუგებრობას, რომელიც მატჩის დასრულების შემდეგ წარმოიშვა...

მატჩი **ნიკოლაიშვილისა** და **მსხვილიძის** გოლებით დაიწყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ "თბილისს" ორი წუთის შემდეგ უკვე რვაბურთიანი სხვაობა ჰქონდა აღმოსაფხვრელი. სულსწრაფებმა იქვე ჩაიქნიეს ხელი – მორჩა თამაშიო, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! მასპინძლებმა ნელ-ნელა მოუჭირეს დაცვაში მარწუხებს, მალევე გაათანაბრეს ანგარიში, წინაც გავიდნენ და ამის შემდეგ, მეტოქისთვის გადასწრების საშუალება ბოლომდე აღარ მიუციათ. წინა მატჩისგან განსხვავებით, "თბილისმა" მეტ-ნაკლებად მოახერხა მეტოქის ყველაზე სახიფათო ხელბურთელის – **რატი მსხვილიძის** განეიტრალება. მართალია, რატიმ ორივე გუნდიდან ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ რაკილა მისი სრული შესაძლებლობები ვიცით, აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა.

კულმინაციური მომენტი მატჩის მიწურულს დადგა. შეხვედრის დამთავრებამდე 1,48 წუთით ადრე, მსაჯებმა მსხვილიძე უხეში თამაშისთვის ორწუთიანში გაუშვეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ სტუ-"თელავს" კაცნაკლულს უნდა დაესრულებინა მატჩი. ამ მომენტისთვის, "თბილისი" 28:24 ს იგებდა. რაკილა ეს იყო მასპინძლების უკანასკნელი შანსი, ბოლო ძალები მოიკრიბეს და კაცნაკლულ მეტოქეს, ორი უპასუხო გოლი (**წივწივაძე** და **ფარაჯევი**) გაუტანეს. შესაბამისად, მატჩის დასრულებამდე 55 წამით ადრე, "თბილისი" სასურველი სხვაობით (30:24) იგებდა და ჩემპიონი ხდებოდა, რახან მეტოქის მოედანზე მეტი ბურთი ჰქონდა გატანილი. . სწორედ ამ დროს გაიბრწყინა მამია კობახიძემ, რომელმაც სირენამდე 23 წამით ადრე, მეტოქის დაცვის ცენტრში ნაპრალი მოძებნა, ხუთ ბურთამდე შეამცირა სხვაობა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს იყო საჩემპიონო გოლი.

მერე იყო ის გაუგებრობა და სკანდალი. დარჩენილ დროში, "თბილისს" ტაბლოზე რამდენიმე წამი ჯერ ჩამოაკლდა, მერე მიუმატეს, მოედნის ცენტრიდან თამაში კი ორჯერ განაახლებინეს და როგორც ნამატჩევს **მამუკა მჟავანაძე** ამტკიცებდა, უკანასკნელ შეტევაში, პენალტის მაგივრად, ცხრამეტრიანი საჯარიმო მისცეს. რაკილა ტრიბუნებიდან ეს მომენტი კარგად ვერ დავინახეთ, რაიმეს მტკიცება გაგვიჭირდება. სწორედ ამიტომ ვამბობდით, რომ ფინალის ორ მოგებამდე ჩატარება გაუგებრობებს მაქსიმალურად გამორიცხავდა და ჩემპიონი ყოველგვარ ეჭვზე მაღლა დადგებოდა...

აქვე ისიც ვთქვათ, რომ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე, ტრაგიკულად დალუპული ხელბურთელის, ლაშა გუჯეჯიანის სახელობის პრიზი გადაეცა საუკეთესო გარემარბად აღიარებულ **ამირან ყიფიანს**.

ნამატჩევს აწ უკვე საქართველოს 17-გზის ჩემპიონთა ბანაკში, რაღა თქმა უნდა, დიდი სიხარული სუფევდა. ბოლო წლებში პირველად მოხდა რომ ქვეყნის მარად ჩემპიონებს ტიტულის დაცვა ასე გაუჭირდათ. შესაბამისად, ამ ოქროს სულ სხვა ემოცია ჰქონდა.

თავის მხრივ, კარდინალურად განსხვავებულ განწყობაზე იყო "თბილისი". დიდხანს ედავებოდა მატჩის დელეგატ **მერაბ მეტრეველს** ბოლო წამებზე მომხდარი გაუგებრობის გამო და ჩემპიონობის წართმევაში ადანაშაულებდა. ერთ მომენტში მჟავანაძემ ზედმეტი ემოციებისაგან ცრემლებიც კი ვერ შეიკავა...

შესაძლოა, პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ უკმაყოფილო იყო გამარჯვებულთა მეორე მწვრთნელი **ბექა ორჯონიკიძეც**. თუმცა, მის გულისტკივილს სულ სხვა სარჩული ჰქონდა – ოქროს მედალი არ შეხვდა...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გთავაზობთ ფინალის შემდგომ კომენტარებს. დასკვნები კი მკითხველისთვის მიგვინდია.

ირაკლი კეკელიძე: ძალიან დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. პირველი შეხვედრის ექვსბურთიანი სხვაობით მოგებამ ზედმეტად დაგვაჯერა საკუთარ შესაძლებლობებში და კინაღამ დავისაჯეთ. ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა – მით უმეტეს, როცა ასეთ ძლიერ მეტოქეს ამარცხებ. რაც შეეხება მსაჯობას, პატარ-პატარა შეცდომები ნამდვილად იყო, მაგრამ არა წინასწარ განზრახული. არბიტრები ორივე გუნდის სასარგებლოდ ცდებოდნენ.

მამუკა მჟავანაძე: მერაბ მეტრეველმა დამისაბუთოს, ბოლო წამებზე რატომ გააჩერა თამაში და წაგებას შევეგუები კი არა, თუ გინდათ, საერთოდ წავალ ხელბურთიდან. ბოლო შეტევაში, ფორაქიშვილზე აშკარად პენალტი იყო, მსაჯმა დაუსტვინა კიდეც, მაგრამ ამ დროს, მეტრეველმა თამაში შეაჩერა და ჩვენი მეტოქე პენალტს გადაარჩინა. იმ მომენტში, ან პენალტი უნდა დაენიშნათ, ან საერთოდ არაფერი. თუ არაფერი იყო, მაშინ ცხრამეტრიანი რატომ მოგვცეს? ჩვენ დღეს ჩემპიონობა წაგვართვეს, მაგრამ თავს გამარჯვებულებად ვთვლით. მაინტერესებს, რატომ დანიშნეს ფინალის დელეგატად მეტრეველი?

მერაბ მეტრეველი: ბოლო გოლის შემდეგ, "თბილისს" შეტევაში 18 წამი ჰქონდა, მაგრამ ტაბლოზე 12 წამი ეწერა და ამიტომ ვითხოვდი თამაშის შეჩერებას. თუმცა, ჩემს სასტვენზე კი არა, "თბილისის" მიერ ბურთის თამაშში არასწორად შეყვანის გამო გააჩერეს თამაში და ტაბლოზე ჩამოკლებული წამებიც დავუმატეთ. რაც შეეხება პენალტს, დელეგატის მაგიდიდან ის მომენტი როგორც დავინახე, დარღვევა იყო, მაგრამ უნდა დანიშნულიყო თუ არა შვიდმეტრიანი, ეს მსაჯების საქმეა, რაშიც ვერ ჩავერევი. ისე, ნამატჩევს მსაჯებმა მითხრეს, რომ პენალტი არ იყო. კიდევ ერთხელ ვამბობ, თამაში მე არ გამიჩერებია და "თბილისის" წაგებაში დამნაშავე არ ვარ!

კობა ხატისაშვილი

ძიუდო — გუქარესტის მსოფლიო თასი

ნესტორი და სამი ბრინჯაო

ქართველმა ძიუდოისტებმა ოქროს 1 და ბრინჯაოს 3 მედლით დაასრულეს გამოსვლა ბუქარესტში გუშინ დამთავრებულ სალიცენზიო მსოფლიო თასზე. ჩემპიონი **ნესტორ ხერგიანი** (60) გახდა, დანარჩენი მედლები კი **გიორგი ბაინდურაშვილის** (81), **საბა გავაშელიშვილისა** (81) და **ირაკლი ცირეკიძის** (90) ანგარიშზეა. ამათ გარდა, მონინავეთა შორის მხოლოდ მძიმეწონოსნები მოხვდნენ - **ზვიად ხანჯალიაშვილიცა** და **ადამ ოქრუაშვილიც** მეხუთეზე გავიდნენ.

ნესტორ ხერგიანმა თავიდან შედარებით სუსტები დაჯაბნა - რომის ტურნირის ნლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, იტალიელი **ელიო ვერდე** და ბელგიელი **იუნგ გასკარდი**. ხერეგიანმა აკადემიურად, ტაქტიკურად გამართულად და დაკვირვებით იჭიდავა - ორივეს წარმატებით უთითშავდა მარჯვენა ხელს, ამის შემდეგ კი შეხვედრის საკუთარი კარნახით წარმართვა არ გასჭირვებია. შედეგად, ორივე შებოჭა და წმინდა მოგებები მიითვალა. მესამე ბრძოლაში ესპანელი **კენძი უემაცუც** იპონზეც დასცა. ნახევარფინალში, აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ნიჯატ შიხალიზადესთან** ნესტორმა ვაზარი და იუკო მოიპოვა, თავად კი ქულაც არ დაუთმია.

ფინალში ახალგაზრდა ჩეხი **პაველ პეტრიკოვიც** გავიდა. იგი ძალზე სწრაფი მეტოქე ჩანდა და ხერგიანს ხელებს იოლად არ უთმობდა, მაგრამ ისევ და ისევ გამოცდილებისა და ოსტატობის ხარჯზე ნესტორი მაინც წარმართავდა შეხვედრის მიმდინარეობას. დასაწყისში პეტრიკოვმა ორჯერ სცადა ფეხში ხელით შესვლა, მაგრამ უშედეგოდ. მერე სარმებზე გადავიდა, თუმცა წარმატება არც ამან მოუტანა. ბოლოს ისევ ხელით შესვლებს მიეძალა, რამდენჯერმე ხელიც წაატანა ფეხზე, მაგრამ ხერგიანი ჩინებულად იცავდა თავს - ყველა ასეთ შემთხვევაში იქით მოახერხა საკმაოდ მწვავედ შეტევა.

მეორე წუთზე მსაჯმა ორივე გააფრთხილა. სასჯელმა ორივე გაახელა და გამეტებითაც შეუტიეს ერთმანეთს. ამას მოჰყვა ინციდენტი, რამაც შეხვედრა ლამის 15 წუთზე მეტხანს გაწელა - ხერგიანმა უნებლიედ თავი გაუტეხა მეტოქეს. ექიმები უჩვეულოდ დიდხანს ამუშავებდნენ ჭრილობას, თუმცა ჩეხს სახვევი მერეც რამდენჯერმე მოსძვრა. ხერგიანმა სამი გდება გააკეთა, მსაჯმა მხოლოდ ერთხელ გაიმეტა იუკო, მაგრამ საჩემპიონოდ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ამ მოგებით ხერგიანმა სალიცენზიო ჩათვლაში 60 ქულა შეიმატა, უკვე 116 გაუხდა და მეორეზეც გადაინაცვლა - პირველი სომეხი ჰოვანესი **დავთიანია**.

ხერგიანის გარდა, შაბათს მხოლოდ **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60) ჭიდაობდა, რადგან 66-სა და 73 კილოგრამში მონაწილე არ გვყავდა. ხოსიტაშვილი თითქოს ურაგოდ არც ახლა გარჯილა, მაგრამ შვიდეულში მაინც ვერ მოხვდა. ამ ტურნირე მას აქტივში მხოლოდ ჰოლანდიელ ევროპის ორგზის პრიზიორ **რუბენ ჰოუკესთან** გამარჯვება ჩაეთვლება - გარესარმით მოჭრილი ბალახივით გააგორა და იქვე შებოჭა. სამწუხაროდ, მომდევნო წრეში იგი თავად შებოჭა ლიტველმა **ალბერტ ტეხოვმა**. ჩვენებური იმდენად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა, დროის ამონურვამდე თავად ანიშნა მეტოქეს დანებება. სანუგეშოში მან უკრაინის სახელით მოასპარეზე **გიორგი ზანთარაიასთან** წააგო.

ბაინდურაშვილი და გავაშელიშვილი თითქოს ერთმანთს ეჯიბრებიან - უკვე მეორე ტურნირია, ორივე ერთი და იგივე ეტაპიდან ვარდებიან. ამჯერად მათთვის დანავსული მეოთხედფინალი აღმოჩნდა - ბაინდურაშვილი მომავალ გამარჯვებულთან, ევროპის შარშანდელ ჩემპიონ ბელარუს **სიარხეი შუნძიკაუსთან** დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა, გავაშელიშვილი - გერმანელ ევროპის ჩემპიონ **ოლე ბიშოფთან**, რომელმაც კონტინენტის პირველობაზე წლეულს ვერცხლი მოიპოვა. ორივენი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ეცილებიან ერთმანეთს. ამ ტურნირზე ოდნავი უპირატესობა მაინც ბაინდურაშვილის მხარესაა. ჯერ ერთი, იგი მცირე სხვაობით დამარცხდა - 2 იუკო დაკარგა და 1 აართვა, გავაშელიშვილმა კი იპონით წააგო. თანაც, ბაინდურაშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბიშოფი დაამარცხა. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ადრეა, რადგან ხაბარელი სტატისტიკის გარდა, ბევრ სხვა ფაქტორებსაც გაითვალისწინებს და ეს გადამწყვეტი ნამდვილად არ აღმოჩნდება.

ბაინდურაშვილმა ძირითად ტურნირში შვეიცარიელი **მიშა ეგერი**, რუსი **კამილ მაგომედოვი** და პოლონელი **ლუკაშ ბალანდა** დაამარცხა, სანუგეშოში - მოლდოველი **ვალერიუ დუმინკა**, იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი **ჯუზეპე მადალონი** და ბიშოფი. გავაშელიშვილმა ძირითადში აზერბაიჯანელ **მემან აზიზოვს**, შვედ **იონას სანდსტროენს** აჯობა, დამამშვიდებელში - უკრაინელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **რომან გონტიუკს**, რუს **სირაზუდინ მაგომედოვსა** და გერმანელ **დენის ჰუკს**.

ამ მედლით რეიტინგში ორივემ 20-20 ქულა შეიმატა. გავაშელიშვილისთვის ეს პირველი ჩასათვლელი ქულებია, ბაინდურაშვილს კი 36 გაუხდა, თუმცა ჯერ მხოლოდ მიუახლოვდა სასურველ ოქტეტს.

ირაკლი ცირეკიძე ნახევარფინალში სამი წმინდა მოგებით გავიდა - შვეიცარიელ **დომინიკ ჰიშირისთან**, ფრანგ **ნიკოლა ბრისონთან** და ლატვიელ **კაროლის ბაუზასთან**, იქ კი კარიერაში პირველად დამარცხდა ბელარუს მსოფლიოს პრიზიორ **ანდრეი კაზუსიონაკთან**. სანუგეშოს ფინალში მან ესპანელ **დავით ალარზას** გაფრთხილებით აჯობა და რეიტინგში 20 ქულა შეიმატა. ახლა იგი 90 ქულით მესამეა. აქ გაბერძნებული **ჯარჯი ზვიადაური** - ილიას ილიადისი ლიდერობს, უკვე 176 ქულით, მეორეზე კი კაზუსიონაკია 114 ქულით.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** (90) პირველივე შეხვედრა წააგო ლატვიელ **ევგენიუს ბოროდავკოსთან** და გავარდა.

ქართველი მძიმეწონოსნები ნახევარფინალში წყვილად მივიდნენ, მაგრამ მერე ორივე შეხვედრა დათმეს. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალი ორივემ ბელარუსებთან წააგო - ხანჯალიაშვილმა მომავალ ჩემპიონთან, მსოფლიოს პრიზიორ **იური რიბაკთან**, ოქრუაშვილმა - **ეუჰენი კავალეუსკისთან**. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ხანჯალიაშვილი ესტონელ **მარტინ პადართან** დამარცხდა, ოქრუაშვილი - ფრანგ **მატიო ტორელთან**. აღსანიშნავია, რომ ტორელს მანამდე ხანჯალიაშვილმა აჯობა. ჩვენებურთა სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ხანჯალიაშვილის მოგება უნგრელ **ბარნა ბორთან**, ოქრუაშვილისა - უნგრელ მსოფლიოს პრიზიორ **ზოლტან**



ნესტორ ხერგიანი

ჩისმადიასთან. ჩვენებურებმა რეიტინგში 10-10 ქულა შეიმატეს, თუმცა აქ ქართველთაგან ყველაზე წინ **ლაშა გუჯეჯიანია** - იგი 60 ქულით კვლავაც მეოთხეა, თუმცა ახლა მას პადარიც გაუთანაბრდა.

ერთადერთი წონა, სადაც ჩვენებმა ბუქარესტში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს, 100-ია. აქ ვერც მოსკოვის სუპერთასის მომგებმა **ლევან რაზმაძემ** იყოჩაღა და ვერც მასზე უფრო ახალგაზრდა **ნოდარ მეტრეველმა**. მეტრეველი ორი შეხვედრის მოგების შემდეგ ტიტულოვან პოლონელ **პრზემისლავ მატიაზეკთან** დამარცხდა, რაზმაძემ კი პირველივე ბრძოლა წააგო კიდევ უფრო ტიტულოვან ჰოლანდიელ **ელკო ფან დერ ხესტთან**.

ამ უქმეებზე ასევე სალიცენზიო მსოფლიოს თასი ქალთა შორისაც ჩატარდა - ლისაბონში, სადაც საქართველოდან მხოლოდ **დუსკა ქერიმოვა** (57) მონაწილეობდა, მაგრამ პირველივე წრიდან გავარდა.

ირაკლი თავაძე

საქართველოს ჩემპიონატი. II ტური

დაალეწეს

ლელო-დინამო 38:17

ლელო: (15-9) **ყიასაშვილი** (ფურცელაძე 68), **ზაალიშვილი, ქიზიყურაშვილი, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია** (ჯოგლიძე, 65): (1-8) **სანიკიძე** (ცხაკაია, 55), **ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი** (სხილაძე 64 ს/ბ), **ჩიტიძე** (კობეშავიძე, 72), **ვ. მაისურაძე, ჯამრულიძე, ახალაია** (დ. დაუშვილი 41) - *6ლ (ხმალაძე 2, ცერცვაძე 2 , დ.დაუშვილი, საჯარიმო) 4გ (ყიასაშვილი 3, ჯოგლიძე)*

დინამო: (15-9) **ოდიშარია, შიოშვილი, პ.მაისურაძე, ხვიჩია, გრუდკო, ღირსიაშვილი, ჯეირანაშვილი;** (1-8) **გოგიშვილი, მურვანიძე** (გაგნიძე 32), **მირცხულავა, ჭიჭინაძე** (ზაქარეიშვილი 64), **მეიშვილი, რამიშვილი, ხორბალაძე, აზალაძე** - *2ლ (აზალაძე, ჯეირანაშვილი), 2გ, ს (ოდიშარია)*

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტური უხვქულიანი გამოდგა. ვაკეში, მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ტურის პირველი მატჩი "ლელოსა" და "დინამოს" შორის გაიმართა. "ლელომ" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი დამაჯერებლად დაამარცხა - 38:17.

უკვე მესამე წუთზე ანგარიში გახსნა. "დინამოს" ოცდაორმეტრიან ხაზთან ლელოელებმა რაკში მეტოქეს ბურთი აართვეს და სწრაფად ხაზზე გაიტანეს. 10 ნომერმა **ლაშა ხმალაძემ,** რომელიც ამ შეხვედრის გმირად თამამად შეიძლება შევრაცხოთ, ტანის მოძრაობით აჩვენა, რომ თანაგუნდელის გაყვანას აპირებდა გარღვევაზე, მაგრამ სრულიად მოულოდნელად თვითონ შეუტია - კიდის გასწვრივ ირბინა და ლელო კარის ძელებს შუა გაიტანა. **ირაკლი ყასაშვილმა** გარდასახა 7:0.

მეორე, პირველის იდენტური ლელო "ქოქოსამ" ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, ოღონდ ამჯერად მარცხენა ფრთიდან გაიტანა და ამჯერადაც გაუადვილა საქმე დამრტყმელს, ყიასაშვილმა ისევ გარდასახა. მანამდე კი, მე-12 წუთზე, დინამოელებმა საჯარიმოს გატანა მოახერხეს. ფულბეკმა **დათო ოდიშარიამ** 40 მეტრიდან ზუსტად დაარტყა - 3:14.

ტაიმის ბოლო წუთზე ისევ უკანახაზელებმა იყოჩაღეს. შერკინება "დინამოს" სასარგებლოდ მათივე ლელოდან 10 მეტრში დაინიშნა. "ლელოს" შერკინებამ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა, მოწინააღმდეგე ადგილიდან დაძრა და ბურთი წაართვა. 9 ნომერმა **ბექა თოფურიამ** ბურთი ხმალაძეს გადააწოდა, ამან ოდნავ წინ წაწია და ერთის გამოტოვებით მარცხენა ფრთაზე გარემარბ **თორნიკე ცერცვაძეს** გადააწოდა - მას ლელოს გატანაში ხელი ვერავინ შეუშალა. ყიასაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გარდასახა 19:3.

მეორე ტაიმის პირველ ნახევარში "ლელომ " კიდევ ორი ლელოს გატანა შეძლო და სხვაობა 28 ქულამდე გაზარდა 31:3. რის შემდეგაც გუნდის მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** თითქმის ყველა წამყვანი მოთამაშე შეცვალა. ამის შემდეგ დინამოელებმა ორი საპასუხო ლელოს გატანა მაინც შეძლეს, თუმცა ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. ნათლად გამოჩნდა, რომ შარშანდელი ჩემპიონატის ერთერთ ფავორიტს, წლეულს სერიოზული პრობლემები აქვს.

ბურთით ლაშა ხმალაძე ნუგზარ სუარიძის ფოტო

შვიდკაცა

ფინალში, ფრანგებთან...

პოლონეთის ქალაქ სოპოტში საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა, ევროპის სერიის პირველ ეტაპზე ფინალში გააღწია და იქ საფრანგეთის ნაკრებთან 5:33 დამარცხდა. ქართველმა მეშვიდკაცეებმა ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს და 12 ჩასათვლელი ქულა მიითვალეს

ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ოთხიდან სამი მატჩი მშრალი ანგარიშით მოიგო: ლატვიასთან 33:0, პოლონეთი 2-თან 40:0, ისრაელთან 57:0. თუმცა საფრანგეთთან ასევე მშრალად დამარცხდა 0:21. ნახევარფინალში შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა პოლონეთის ნაკრებს სძლიეს 26:11.

სოპოტიდან ჩვენი გუნდი გეზს ინგლისისკენ აიღებს. აქ ის მსოფლიოს სერიის ლონდონურ ეტაპზე იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრები: **ვასილ კაცაძე, ალექსანდრე თოდუა, გიორგი კაჭარავა, ბესიკ ხამაშურიძე, ვახტანგ ახვლედიანი, დავით ჯამუტაშვილი, ალექსანდრე ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, ლაშა ფირფილაშვილი, ბექა სარდანაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე.**

ერთა თასი

ჩეხეთი-პორტუგალია 3:23

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.საქართველო	4	3	0	1	+103	6
2.რუსეთი	4	3	0	1	+70	6
3.რუმინეთი	3	2	0	1	+66	4
4.პორტუგალია	3	2	0	1	+15	4
5.ესპანეთი	5	2	0	3	-23	4
6.ჩეხეთი	5	0	0	5	-231	0

ზე-14

აფრიკული ხარის ნელინაღი

სამხრეთაფრიკული "ბულზი" წლევანდელი ზე-14-ის ჩემპიონია. ფინალში, რომელიც "შარქსის" სტადიონზე გაიმართა დურბანში, "ბულზმა" 20:19 დაამარცხა მეტოქე და ისტორიაში პირველი აფრიკული გუნდი გახდა, რომელიც ჩემპიონობას შესწვდა. ფინალი თვალსასაჩერო გამოდგა გუნდებმა 2-2 ლელო გატანეს. გამარჯვების ლელო **ბრაიან ჰაბანამ** მესამე წამატებულ წუთზე გაიტანა და **დერიკ ჰუხარდმა** გარდასახა კიდეც. "შარქსი" 82 წუთი წინ იყო და დრამატულად წააგო.

მატჩის შემდეგ თამაშის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, "ბულზის" მეორეხაზელმა **ვიქტორ მეტფილდმა** თქვა, რომ გამარჯვებას მეტოქე უფრო იმსახურებდა, რომელთაც მეტი მომენტი შექმნეს და ბურთსაც უკეთ ათამაშებდნენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფინალი

შარქსი-ბულზი 19:20

შარქსი: 2ლ (პიტერსენი, ფანდერბერხი), 3ს (მონტგომერი)

ბულზი: 2ლ (სპისი, ჰაბანა), 2გ, 2ს (ჰუხაარდი)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფავორიტი და მებრძოლი

ახალგაზრდულ, ამბიციურ "უნივერსიტეტს" რკინიგზელები ჩვეული, სპორტული აგრესიით დაუპირისპირდნენ და 40:15 დაამარცხეს.

სულ რვა ლელო გავიდა. აქედან რომელიმეს გამოყოფა ძალიან ძნელია. ყველა მათგანი გუნდური გარჯის შედეგია, რომელიც კომბინაციაში მონაწილე თითოეული მორაგბის ინდივიდუალური ოსტატობითაა გაჯერებული. შეხვედრა თითქოს უფრო აქტიურად ახალგაზრდა უნივერსიტეტელებმა დაიწყეს, მაგრამ მათ მონდომებას თითქმის კურიოზულმა ლელომ გადაასხა ცივი შხაპი.

მე-5 წუთზე "უნივერსიტეტის" 10 ნომერმა **ლაშა ბაირამაშვილმა** მოედნის ცენტრთან ბურთის ფეხით გადატანა სცადა, მაგრამ **ბობა კვინიხიძემ** დაუფარა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბურთი უნივერსიტეტელების ლელომდე მოგორდა იქ, მისი დამორჩილება ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** ვერ შეძლო, ლელოში შეგორებულ ბურთს კი, რკინიგზელთა შუამარბმა **ლუკა ხაჩრაშვილმა** მიუსწრო და ანგარიშიც გაიხსნა. კვინიხიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა 7:0.

"უნივერსიტეტი" დანებებას არ აპირებდა, თუმცა ძალა მაინც აღმართს ხნავდა. "ლოკომოტივის" თითქმის ყველა შეტევა სახიფათო გახლდათ. 24-ე წუთისთვის რკინიგზელები უკვე 21:0 იგებდნენ. აქ მათი მოწინააღმდეგე თითქოს გატყდა, დაძაბულობა ოდნავ ჩაცხრა. 37-ე წუთზე ბაირამაშვილმა 20 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა 3:21.

მეორე ტაიმში თამაში უფრო გაიხსნა. "უნივერსიტეტის" ახალგაზრდულმა გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა. მართალია, მათ სხვაობა იმდენად ვერ შეამცირეს, რომ რკინიგზელების გამარჯვება ეჭვის ქვეშ დამდგარიყო, მაგრამ შეხვედრა უფრო საინტერესო გახადეს ვიდრე მოსალოდნელი იყო.

"უნივერსიტეტის" შემადგენლობაში განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ გარემარბი **ჯაბა კიკვიძე,** რომელმაც მოწინააღმდეგის დაცვას არაერთხელ შეუქმნა თავსატეხი და 54-ე წუთზე ულამაზესი ლელოც მიითვალა. ჯაბა ცხრამეტწლამდელტა ნაკრების წევრია და აშშ-ში, კოლეჯში სწავლისას ამერიკულ ფეხბურთშიც უცდია ძალა.

მოლი გაიხსენეს

ყოჩები-არმაზი 24:7

ყოჩები: (15-9) **დადაშიანი, კალმახელიძე, მჟავანაძე, ბრეგვაძე, ქუშაშვილი** (მახარაშვილი 70), **კობახიძე, ხელაძე;** (1-8) **ასიშვილი, მეტრეველი**(კიკნაველიძე 45), **შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, თოთაძე, კუჭუხიძე, დგებუაძე** - *3ლ (შეყლაშვილი, კობახიძე, მახარაშვილი); 3გ, ს: (კობახიძე)*

არმაზი: (15-9) **ჩხაიძე, მინაშვილი, კაიფაჯიანი, გეთიაშვილი**(ბექა ურჯუკაშვილი 41), **ჯავახიშვილი, ძნელაძე, მჟავანაძე;** (1-8) **ლამბაშიძე, სოსელია, ლეფსვერიძე, ჯიშკარიანი, მიქაძე, ჭელიძე, კანდელაკი, ცირეკიძე** - *ლ (ცირეკიძე); გ (ბექა ურჯუკაშვილი)*

გამარჯვების მიუხედავად "ყოჩებს" აშკარად აკლდა შვიდკაცა რაგბის ნაკრებში მიელინებული უკანახაზელები. როგორც შეხვედრამ გვაჩვენა, მათ არც შერკინების ხაზში აქვთ ყველაფერი წესრიგში.

დასაწყისში უპირატესობას "არმაზი" ფლობდა, მაგრამ მორკინალთა გარჯას 10 ნომრად გამწესებული ვეტერანი **დემირ ძნელაძე** ყველაფერს ქარს ატანდა. ანგარიში "ყოჩებმა" სწორედ მისი უხეში შეცდომის შედეგად გახსნა.

მე-20 წუთზე, არმაზელების მორიგი შეტევისას, ლელოდან 10 მეტრში, ძნელაძემ მარცხენა ფრთიდან, მარჯვნივ ფეხით ბურთის გადატანა სცადა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და "ყოჩების" ფულბეკმა **მიხეილ დადაშიანმა** თითქმის ლელომდე ირბინა. ის მისადგომებთან შებოჭეს, რაკიდან კი ბურთი **ბექა შეყლაშვილს** მიუვიდა. "მონსტრმა", გეზი პირდაპირ მეტოქის კარის ძელებისკენ აიღო და ისე, რომ არავინ გაიკარა, ანგარიში გახსნა - **კახა კობახიძემ** გარდასახა. ბოლო წუთზე მანვე საჯარიმო გაიტანა - 10:0.

მეორე ნახევარი ისევ "არმაზის" შეტევებით დაიწყო. მალე მათმა ძალისხმევამ ნაყოფიც გამოიღო. თავი 8 ნომერმა **გიორგი ცირეკიძემ** გამოიჩინა, 10 ნომრად შემოსულმა **ბექა ურჯუკაშვილმა** გარდასახა 7:10. "ყოჩები" გაშვებული ლელოს შემდეგ უფრო მეტი ყურადღებით ათამაშდა. 62-ე წუთზე მათ აქამდე მრავალჯერ ნაცადი, მაგრამ რატომღაც მივიწყებული მოლი გამოიყენეს. ხუთმეტრიანი დერეფნის შემდეგ თითქმის ნახევარი გუნდი მოლში ჩადგა. ლელო 10 ნომერმა კახა კობახიძემ მიითვალა, გარდასახვაც თვითონვე გაიტანა 17:7.

საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შემოსულმა გარემარბმა **გიორგი მახარაშვილმა** და კობახიძემ მატჩის საბოლოო შედეგი დაფიქსირეს - 24:7.

ბესიკ ჯანგავაძე

ბექა შეყლაშვილის ლელო ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.ლოკომოტივი	2	2	0	0	74:22	4
2.მოჩები	2	2	0	0	51:34	4
3.ლელო	2	1	0	1	64:44	2
4.უნივერსიტეტი	2	1	0	1	24:43	2
5.დინამო	2	0	0	2	20:47	0
6.არმაზი	2	0	0	2	14:58	0

ავტორიტეტი

ოგბაიძის გამარჯვება

საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპამდე **ოთარ თავართქილაძე** (ჰონდა სივიკი) ქულათა მაქსიმუმით მიუძღოდა. ის ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია და მეთოდურად, ჭკვიანურად მიიწევს დასახული მიზნისაკენ, ოღონდ ბევრი ძლიერი, გამოცდილი მეტოქე ჰყავს, რაც შაბათს, მესამე ეტაპზე დამტკიცდა. "ჰონდა სივიკით" მოასპარეზეთა შორის უძლიერესი იყო **გიორგი ოგბაიძე** - როგორც იქნა, მანაც გაიმარჯვა, რადგან აქამდე სულ ტექნიკურ პრობლემები ანუხებდა. მეორე ადგილზე ჩემპიონატის ლიდერი, ოთარ თავართქილაძე გავიდა, მესამე კი გამოცდილი **ზურაბ ბეჟაშვილი** გახლდათ.

ამ გამარჯვებით პირად ჩათვლაში ოგბაიძემ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამეა ზურაბ ბეჟაშვილი, ჩემპიონატს კი ისევ თავართქილაძე ლიდერობს. მომდევნო რბოლა გაიმართება 3 ივნისს - ეს იქნება რალი, კუს ტბა-ცხვარიჭამია.

დავით ჩუბინიძე

ჭიდაობა

ლეგიონერები

ჭრაჭმირებული მუხლი და ორი მოგება



შაბათს, ევროპაში ორმა ქართველმა ითამაშა. ორივემ მოიგო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი გაცილებით უსიამოვნოა - მანუჩარ მარკოიშვილმა სლოვენიის ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალი ტრავმის გამო გამოტოვა.

სლოვენიური ნახევარფინალი

მანუმ მუხლი "სლოვანთან" პირველი მატჩისას სერიოზულად დაიზიანა. შეხვედრის შემდეგ მან საავადმყოფოში ამოყო თავი და დაზიანებული ადგილიდან სისხლის ამოღება გახდა საჭირო. თუმცაღა, მანუჩარი ოპერაციას გადაურჩა... "ოლიმპის" ქართველ ფორვარდს ორი დღის საავადმყოფოში გატარება მოუწია და როგორც მამამისმა, **ნუგზარ მარკოიშვილმა** გვითხრა, მანუჩარი უკვე შინაა და დასიებული მუხლიც ნელ-ნელა ცხრება.

ცხადია, მანუს სლოვენიის ჩემპიონატის მესამე ნახევარფინალის გამოტოვებაც მოუწევს, ფინალურ სერიაში თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. ხოლო წინასადრაფტოდ ამერიკაში მხოლოდ ერთი პირობით ჩავა. ვიდრე ამ პირობაზე მოგახსენებდეთ, გეტყვით, რომ მარკოიშვილის გარეშე დარჩენილმა "ოლიმპიამ" "სლოვანის" მოედანზე პირველი მეოთხედი კარგად ჩაატარა - 22:11-იც მოიგო, მაგრამ რამდენადაც კარგად ითამაშა დასაწყისში, იმდენად ცუდად გამოიყურებოდა შეხვედრის ბოლოს და მეტოქეს 10-ქულიანი სხვაობით მოგების უფლება მისცა - 81:71.

ამ მატჩში ერთკირიანი პაუზის შემდეგ პირველად გამოჩნდა "ოლიმპიას" ლიდერი ფინელი **ტეემუ რანიკო**, რომელმაც 11 წუთში ერთი სამქულიანის ჩაგდება მოასწრო. სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალი ორ მოგებამდეა. "ოლიმპია"-"სლოვანის" სერიაში ანგარიშია 1:1 და ფინალისტის ბედი "ოლიმპიას" "ტივოლ არენაზე" 23 მაისს გადაწყდება.

ახლა დაპირებულზე - მანუჩარ მარკოიშვილი ამ სეზონის შემდეგ NBA-ში წასვლაზე სერიოზულად არ ფიქრობდა, მაგრამ როცა მისმა აგენტმა დრაფტზე დადგომა შესთავაზა, მანუს გადაჭრით უარი არ უთქვამს. იგი დრაფტის მონაწილეთა წინასწარ სიაში კი შეიყვანეს, მაგრამ 28 ივნისის "არჩევნებში" მხოლოდ იმ პირობით მიიღებს მონაწილეობას, თუ NBA-ს რომელიმე გუნდი წინასწარ დაპირდება აყვანას. თუ ასე არ მოხდა, მანუ წინასადრაფტო ვარჯიშებისთვის ამერიკაში წასვლას დასვენებას არჩევს და NBA-ზე მომავალი სეზონის შემდეგ იფიქრებს.

... დინჯი, რაჭული გადაწყვეტილებაა, აბსოლუტურად გამართლებული.

იტალიური მეოთხედფინალი

იტალიის სერია A-ს პირველი მეოთხედფინალური მატჩის მიმოხლვისასაც ვთქვით, რომ **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკი" უკვე ნახევარფინალზე ფიქრობს, რადგან ამ ეტაპზე "კანტუს" სახით გაცილებით სუსტი მეტოქე ჰყავს. ძალთა არათანაბარ გადანაწილებას სერიის მეორე შეხვედრამაც გაუსვა ხაზი - "მონტეპასკიმ" "კანტუ" სტუმრადაც დაამარცხა (97:82) და სერიაში 2:0 დაწინაურდა. სიენელებს ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯღა აშორებთ. ამ გუნდების მესამე დაპირისპირება 22 მაისს სიენაში გაიმართება.

ახლა ვლადიმერ ბოისას შესახებ, რომელიც წუთების მონაგართან შეფარდების მიხედვით "მონტეპასკიში" ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა მწვრთნელი, **სიმონე პიანიჯანი** (რომელიც სერია A-ს მიმდინარე სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა). ვივას 10-15 წუთს ათამაშებს.

"კანტუსთან" მეორე მატჩში ქართველი ფორვარდი მოედანზე მეცხრე წუთზე გამოვიდა და ანგარიშის დამამრგვალებელი ტყორცნებიც შეასრულა: დიდ შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე ორი ზუსტი საჯარიმოთი სწორედ ბოისამ დააფიქსირა პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში - 52:40 ("კანტუს" სასარგებლოდ). ხოლო მეორე ნახევარში სტუმრებმა სისწრაფე აკრიფეს და 12-ქულიანი ჩამორჩენა 20-ქულიან ფორად აქციეს - მეოთხე პერიოდში ბოისას სამქულიანმა 90:70 (ამჯერად "მონტეპასკის" სასარგებლოდ) დააფიქსირა.

14 წუთში ვოვამ 7 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა) და 1 მოხსნა მიითვალა.

ესტონური ფინალი

სერია, რომელსაც მარკოიშვილი თამაშობს, ორ მოგებამდეა, ბოისასი - სამ მოგებამდე, ხოლო **გიორგი ცინცაძე** და "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალებს ოთხ მოგებამდე თამაშობენ. აქედან გამომდინარე, შინ პირველივე მატჩის წაგება "როკერთათვის" ტრაგედია არ ყოფილა. თუმცა გიორგის თანაგუნდელებს საკუთარ მოედანზე "კალევთან" მარცხის შემდეგ გონს მოსვლა გაუჭირდათ: ტარტუში გამართული მეორე შეხვედრის საწყის 30 წუთში მეტოქის იერიშებს ვერაფერით უპირისპირდებიან. შეუჩერებელი იყო "კალევის" ახალი ცენტრი **ტრევის რედი**, რომელმაც ჯამში 17 ქულა ჩააგდო, ხოლო "როკერი" მეფარეებიდან თითოეულს ექვსზე მეტი ქულის ჩაწერის უფლება არ მისცა.

ასეთ პირობებში გამოსავალი ერთი იყო - სიტუაცია ტარტუელთა უკანახაზელებს უნდა გამოესწორებინათ. მასპინძლებმა, საბედნიეროდ, სასწაული მოახდინეს, ბოლო მეოთხედში 13-ქულიანი ჩამორჩენა (50:63) აღმოფხვრეს და 75:74 გაიმარჯვეს. ანგარიში გათანაბრდა: 1-1.

"როკის" სნაიპერი მსროლელი **ტანელ ტეინი** გახდა, რომელმაც 17 ქულა მიითვალა. ხოლო გიორგი ცინცაძე 18 წუთში 9 ქულას, 4 მოხსნასა და 1 შედეგიან გადაცემას გამორჩა. ბუს 2 სამქულიანი გაუცუდდა, თუმცა დანარჩენი ყველა ტყორცნა მიზანში მოარტყა - 4 ორქულიანი და ერთიც საჯარიმო.

ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის მომდევნო ორი მატჩი "კალევის" მოედანზე გაიმართება, უახლოესი 21 მაისს იგეგმება.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო

გაგამარუ

ყველა უნდა მოიგოს

მაკუშიტას დივიზიონში პირველი მარცხი განიცადა 19 წლის **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი), მან საკმაოდ მსუბუქ, 23 წლის მონღოლ **შირონორიუსთან** ნააგო უვატენაგეს ილეთით. შირონორიუ კვლავ დაუმარცხებელია, ხოლო ლევანს ბალანსი 3-1 გაუხდა. მეორე მოგება იზეიმა ამავე დივიზიონში მოჭიდავე **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), მან იორიტაოთით დაიშიმა დაამარცხა. გაგამარუმ ბალანსი გამოასწორა - 2-2.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაცუ ბაშო

(მაისის სუპერტურნირი)

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

VII დღე: კოკაი-კოტოშოგიკუ 1:0 (უვატენაგე), ასაშორიუ-ტამანოშიმა 1:0, კაიო-ჰომაშო 1:0, ტოიონოშიმა-ჩიოტაიკაი 1:0, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ 1:0, კოტოოშუ-კისენოსატო 1:0, კოტომიცუკი-ამა 1:0, ტოჩიოძანი-კაკიძოე 1:0, ამინიშიკი-კაკურიუ 1:0, ტაკეკაძე-ტოკიცუმი 1:0, ტაკამისაკარი-ტოჩინონადა 1:0, ფუტენო-როპო 1:0, დეჯიმა-ჰოჩიამა 1:0.

VIII დღე: კოკაი-კოტომიცუკი 0:1 (შიტატენაგე), ასაშორიუ-კოტოშოგიკუ 1:0, ჩიოტაიკაი-კაკიძოე 1:0, ჰაკუჰო-კისენოსატო 1:0, კოტოოშუ-ტოკიტენკუ 1:0, ამა-კაიო 1:0, ჰომაშო-ტოიონოშიმა 1:0, ტამანოშიმა-ტოკიცუმი 1:0, ტოჩიოძანი-კასუგაო 1:0, ტაკამისაკარი-ამინიშიკი 1:0, ასასეკირიუ-რიუო 1:0, დეჯიმა-ჰოკუტორიკი 1:0, ფუტენო-ტოჩინონადა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 8-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (ოძეკი), დეჯიმა (მაეგაშირა 10), ფუტენო (მ 13); 7-1: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკირიუ (მ 8); 6-2: ტაკამისაკარი (მ 7), რიუო (მ 14), ჰოკუტორიკი (მ 16). 1-7: კოკაი (მ 2)

IX დღე: კოკაი-კაკურიუ, ასაშორიუ-ამა, ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-ამინიშიკი, კაიო-კისენოსატო, ჩიოტაიკაი-ჰომაშო, კოტომიცუკი-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-ტამანოშიმა, ტოკიტენკუ-კაკიძოე, კასუგაო-ტაკეკაძე, ასასეკირიუ-ტაკამისაკარი, დეჯიმა-როპო, ფუტენო-მიაბიამა.

ჩოგბურთი

ანა და სოფიო WTA ტურზე

სტამბოლში დაიწყო WTA-ს ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში **ანა ტატიშვილი** და **სოფიო შაფათავა** მოხვდნენ. 18 წლის შაფათავა პირველად მოხვდა WTA ტურნირში. სოფიო მსოფლიოს 706-ე ჩოგანია. სადებიუტო მატჩში შაფათავამ სამ სეტში იმარჯვა, მან თურქი **კაგლა ბუიუქაღჩაი** (577) დაამარცხა - 2:6, 6:4, 6:2. ტატიშვილის თურქი მეტოქე **ტუგჩა დოღანი** გამოუცდელი ჩოგბურთელი იყო (ტურნირში ვაილდ ქარდით მოხვდა) და ანამაც მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო - 6:1, 6:0. მეორე რეში შაფათავა მე-3 ნომრით განთესილ ბელარუს **ეკატერინა ჟეჰალევიჩს** (214) შეხვდა და დიდი ბრძოლაც გაუმართა - 0:6, 6:3, 2:6. ტატიშვილი მე-2 ნომრად განთესილ რუმინელ **მონიკა კირსტეას** (171) ეთამაშებოდა და სამ სეტში იმარჯვა - 7:6 (3), 2:6, 6:4. ტატიშვილი ბოლო მეტოქე კვლავ რუმინელია - **მიხაელა ბუზარნესკუ** (263). გამარჯვების შემთხვევაში ანა გავა ძირითად ბადეში, სადაც პირველ ნომრად რუსი **მარია შარაპოვაა** განთესილი.

მხოლოდ წყვილში მოიგო

ოქსანა კალაშნიკოვა ჩიტა დი სანტა გროსეს 29-ე ტრადიციული ტურნირის (პირველი კატეგორიის ახალგაზრდული საჩოგბურთო ტურნირი) ნახევარფინალში სერბ **ბოჟანა იოვანოვსკისთან** დამარცხდა სამ სეტში - 3:6, 6:3, 3:6. იოვანოვსკი ჯერ მხოლოდ 15 წლის ჩოგბურთელია, თუმცა 18-წლამდელთა ასპარეზზე 58-ე ჩოგანია და იტალიაში მე-12 ნომრად იყო განთესილი. თუმცა მატჩის წინ ფავორიტი კალაშნიკოვა იყო, რომელიც 37-ე ჩოგანია, იოვანოვსკიზე თითქმის ერთი წლით უფროსი და გამოცდილია, ჩიტა დი სანტა გროსეში ოქსანა მე-6 ნომრად იყო განთესილი. სერბმა ფინალშიც იმარჯვა და ტიტულს დაეუფლა.

ოქსანა ჩიტა დი სანტა გროსეს უტიტულოდ არ დამშვიდობებია, მან წყვილთა თანრიგში იმარჯვა. კალაშნიკოვა რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად თამაშობდა, ფინალში მათ რუსულ დუეტს (**ბუჩინა, სიროტკინა**) მოუგეს - 6:2, 7:5. ვინაიდან 18-წლამდელთა ასპარეზზე რეიტინგი ერთიანად ითვლება (ერთეულები და წყვილები), ოქსანა კალაშნიკოვა საკმაოდ წაიწევს წინ და ალბათ თავის მიღწევას (32-ე ჩოგანი აპრილში) გააუმჯობესებს. ქართველი გოგონა როლან გაროსის ახალგაზრდულ ტურნირზეც მიიღებს მონაწილეობას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ოთხი ახალი ჩემპიონი

დასრულდა საქართველოს პირველობა 14 და 16 წლის ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის. შედეგები ასეთია: **გოგონები. 14-წლიანები. 1. სალომე კვიტაშვილი; 2. ნინო სუჯაშვილი; 3. ბაბილინა მაჩაიძე; 16-წლიანები. 1. ანა ჯიქია; 2. მარიამ სამქანაშვილი; 3. დიანა დავითაია. ვაჟები. 14-წლიანები. 1. დავით ხუციშვილი; 2. გიორგი ცივაძე; 3. გიორგი იორდანიდი; 16-წლიანები. 1. შოთა პაიჭაძე; 2. პაატა კოპალეიშვილი; 3. ბიძინა ამაშუკელი.**

დღეს იწყება ლეილა მესხის აკადემიის ღია პირველობა UGT-ის თასზე. ამასთან დაკავშირებით, დღეს 15 საათზე, ლ. მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გაიმართება პრესკონფერენცია.

ჰოკეი

NHL. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

მხოლოდ მეათე ცდაზე

ალმოსავლეთი	
ბაფალო (1)-ოტავა (4)	2:3 (ო)

0:0, 1:2, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ჰეხტი-4 (პომინვილი-6, ბრიერი-11), 1:1 ჰიტლი-6 (სპეცა-13, რედენი-6), 1:2 სპეცა-7 (ალფრედსონი-7, ჰიტლი-14), 2:2 აფინოგენოვი-5 (ბრიერი-12, ვანეკი-4), 2:3 ალფრედსონი-10 (ჰიტლი-15, მეზაროში-4).



სერია 1:4

წლევანდელ ფლეი ოფამდე, "ოტავა სენატორზი" ზედიზედ ცხრაჯერ გადიოდა სტენლის თასზე, მაგრამ ამ გუნდს ყოველთვის რაღაც აკლდებოდა იმისთვის, რომ ფინალის საგზური მოეპოვებინა. ამ 10 წლის განმავლობაში, კაპიტანი - **დანიელ ალფრედსონი** გუნდის ერთადერთი ჰოკეისტია, რომელმაც ფლეი ოფის ყველა - 96 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ამიტომაც, სიმბოლური იყო, რომ სწორედ ამ შვედმა ფორვარდმა გაიტანა სერიის მეხუთე მატჩის ოვერტაიმში გადამწყვეტი გოლი და "ოტავა" სტენლის თასის ფინალში გაიყვანა.

ეს ისტორიული შაიბა ოვერტაიმის მეათე წუთზე გავიდა - ალფრედსონმა საკმაოდ შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა და გაოგნებული დატოვა "ბაფალოს" მეკარე - **რაიან მილერი**. თავიდან გულშემატკივრებიც ვერ მიხვდნენ, რა მოხდა, ხოლო როცა მიხვდნენ, თვალებზე ცრემლი მოადგათ - მათი საყვარელი "სეიბრზი" ზედიზედ მეორედ დამარცხდა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში.

მაგრამ, ბაფალოელებმა უნდა აღიარონ, რომ "ოტავა" დამსახურებულად გავიდა ფინალში. ამ გუნდმა ფლეი ოფის პირველ წრეში, ახალგაზრდა ვარსკვლავებით დაკომპლექტებული "პიტსბურგი" 4:1 დაამარცხა. ამავე ანგარიშით მოუგო მან ბრწყინვალე ფორმაში მყოფ **მარტინ ბროდოს** "ნიუ ჯერსის". ბოლოს კი, ასევე ერთი მატჩი დათმო რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულთან სერიაში. ასე რომ, "სენატორებს" მიმდინარე სტენლის თასზე 12 მოგება და მხოლოდ 3 წაგება დაუგროვდათ. ასეთი შედეგი არცერთ სხვა გუნდს არ აქვს. გარდა ამისა, გუშინ, კანადურმა კლუბმა ფლეი ოფის რეკორდიც დაამყარა - ზედიზედ მეოთხე საშინაო შეხვედრა მოიგო, სულ კი, ამ სტენლის თასზე "სენატორებს" სტუმრად 7 მოგება და ერთი დამარცხება აქვთ.

რაც მთავარია, "ოტავამ" გადალახა "ბაფალოს" კომპლექსი. ამ გუნდების წინა სამი სერია (მათ შორის შარშან, მეორე წრეში) "სეიბრზის" გამარჯვებით სრულდებოდა.

არადა, რეგულარული სეზონის მსვლელობისას, ვერავინ იფიქრებდა, რომ "ოტავა" ამ დონეს მიაღწევდა. სადღაც ჩემპიონატის შუაში, ამ გუნდს მოგება-წაგების უარყოფითი ბალანსი ჰქონდა, თუმცა მომდევნო 61 მატჩში (ფლეი ოფის ჩათვლით), "ოტავამ" 43 შეხვედრა მოიგო, მხოლოდ 10 წააგო ძირითად დროში და 8 - ოვერტაიმში.

"ეს უდიდესი გამარჯვებაა. ძალიან ამაყი ვარ ჩემი ბიჭების გამო. წლის დასაწყისში, არავის ეგონა, რომ ფინალში გავიდოდით. მხოლოდ მე და ჩემს ჰოკეისტებს გვჯეროდა ამის", - განაცხადა ამ გამარჯვების ერთ-ერთმა მთავარმა სულისჩამდგმელმა, "სენატორზის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრაიან მიურეიმ**.

ამ სეზონში, ეს უკანასკნელი NHL-ის ისტორიაში მეხუთე მწვრთნელი გახდა, ვინც ლიგაში მე-600 გამარჯვება იზეიმა. თუმცა, ასეთი მდიდარი გამოცდილებით სპეციალისტი, პირველად გავიდა სტენლის თასის ფინალში.

"ბაფალოსთვის" კი, ეს წაგება ტრაგედიის ტოლფასია. გუნდის ხელმძღვანელობა გაცილებით მეტს გეგმავდა და ბოლო მომენტამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. "სეიბრზმა" რეგულარულში ყველაზე მეტი - 58 მატჩი მოიგო და ყველაზე მეტი - 308 შაიბა გაიტანა. ფლეი ოფშიც პირველი ორი წრე წარმატებით გაიარა, მაგრამ ბრწყინვალე ფორმაში შესულ "ოტავას" ვერაფერი მოუხერხა.

წინა მატჩში აღებული პაუზის შემდეგ, შედეგიანად ითამაშა "სენატორების" დამრტყმელმა ტრიომ, **დენი ჰიტლის, დანიელ ალფრედსონისა და ჯეისონ სპეცას** შემადგენლობით. სამივე გოლი, სწორედ ამ ფორვარდების ანგარიშზეა. სულ ამ ფლეი ოფში, ჰიტლის უკვე 21 ქულა (6 გოლი+15 პასი) აქვს, სპეცას - 20 (7+13) და ალფრედსონს - 17 (10+7). ისინი ფლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირები არიან.

ახლა "ოტავას" დასვენების საშუალებაც მიეცემა. დასავლეთი კონფერენციის ფინალში მინიმუმ ორი მატჩია ჩასატარებელი, ვინაიდან "დეტროიტისა" და "ანაჰაიმის" სერიაში ანგარიში 2:2 გახლავთ.

TV სპორტი

21 მაისი. ორშაბათი

HTB-პლიუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
14:10 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პარმა.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბელენენსეში.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.
00:45 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:35 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი.
10:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
12:45 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
14:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანანესე-ინტერნასიონალი.
16:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
18:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
21:40 სპორტინფორმი.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტინფორმი.
23:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
01:00 სპორტინფორმი.
01:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
02:55 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
05:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანანესე-ინტერნასიონალი.

EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი.
12:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
13:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან-პრი. ლე მანი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტურნირი. ფინალი. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი). რომი. იტალია.
16:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IX ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მულტისპორტი.
20:45 ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
21:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გერმანიის გრან-პრი.
21:30 სუმო.
23:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 მულტისპორტი.
02:45 ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
13:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. II მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლადა (რუსეთი).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
17:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
18:00 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. II მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლადა (რუსეთი).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი.
22:00 ახალი ამბები.
22:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. II მატჩი. ვალენსია-რეალი.
23:45 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ცეკვა. ჰიპ-ჰოპი. მონპელიე. საფრანგეთი.
02:15 ახალი ამბები.
03:30 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ორლეანი (LIVE).

კრივი

საშუალო წონა

ტეილორმა ტიტულები შეინარჩუნა

შეტევაზეა ტეილორი

ჯეიმენ ტეილორმა საშუალო წონაში თავისი ორივე (WBC-ს და WBO-ის) ტიტული შეინარჩუნა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალაქ მემფისში ქულებით, მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილების წყალობით დაამარცხა **კორი სპინქსი**. რაც მთავარია, მათმა ბრძოლამ "ფიდექს არენაზე" მისულ მაყურებელს ვერანაირი სიამოვნება ვერ მიანიჭა.

საერთოდ, ტეილორი ბრძოლის აგრესიული მანერითა და მძლავრი დარტყმებითაა ცნობილი, მაგრამ ამჯერად მის შეტევებს სპინქსისთვის ბევრი ზიანი არ მიუყენებია - პრეტენდენტი კარგად მუშაობდა ჯებით და თითქმის ყოველთვის გადაადგილდებოდა, რათა ამით მეტოქის შეტევის ტემპი მაინც დაეგდო. ნაბრძოლევს ჩემპიონმა განაცხადა, აქამდე რინგზე ამდენი არასოდეს მირბენიაო.

"კორი სირბილში კარგად მომზადებულა. თავი სარბენ ბილიკზე მეგონა. ხელს რომ მოვიქნევდი, ის ადგილზე აღარ მხვდებოდა. მისი ვერაფერი გამიგია, თუ ჩემპიონის დამარცხება გინდა, კი არ უნდა ირბინო, უნდა იბრძოლო და ტიტული ბრძოლაში მოიპოვო. ის კი სულ გამირბოდა. წინასწარ რომ მცოდნოდა, ასე მოიქცეოდა, სირბილშიც მოვემზადებოდი", - განაცხადა მოგებით კმაყოფილმა და მეტოქის ქმედებით უკმაყოფილო ტეილორმა (27-0-1 უშედეგო, 17 ნოკაუტი).

თავისი მარდი ფეხების გადამკიდეს, სიზუსტე სპინქსსაც (36-4, 11 ნოკაუტი) აკლდა. მან მუშტი 542-ჯერ მოიქნია და აქედან მხოლოდ 16 პროცენტი მოარტყა. დიდი სიზუსტით არც ტეილორი გამოირჩეოდა, რომელმაც მხოლოდ 319-ჯერ მოიქნია მუშტი და აქედან 32 პროცენტი მიზანს მისწვდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მისი დარტყმების უმეტესობა ძლიერი იყო და მეტოქეს საკმაო პრობლემებს უქმნიდა.

ბრძოლის შემდეგ, ორივე მოკრივე გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ მსაჯებმა საზეიმო მხოლოდ ჩემპიონს დაუტოვეს: ერთმა მსაჯმა პრეტენდენტის უპირატესობა (117-111) დააფიქსირა, როცა დანარჩენი ორის აზრით, გამარჯვება (117-111 და 115-113) ჩემპიონს ეკუთვნოდა.

რაც ტეილორმა **ბერნარდ ჰოპკინსს** ზედიზედ ორი ბრძოლა მოუგო და საშუალო წონის "მეფის" ტიტული ჩამოართვა, სპინქსი მისი მესამე მეტოქე იყო. შესაძლოა, ამის შემდეგ მან დამძიმება გადაწყვიტოს და ზესაშუალო წონაში ბრიტანელ **ჯო კალძაგეს** შეხვდეს.

შეგახსენებთ, რომ სპინქსი მოკრივეთა ოჯახიდანაა. მამამისი - **ლეონ სპინქსი** მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია. მას თვით ლეგენდარული **მუჰამედ ალი** ჰყავს დამარცხებული და WBC-ს და WBA-ის ტიტულებს ატარებდა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობდა ბიძამისი - **მაიკლ სპინქსიც** (ქვემძიმე და ზემძიმე წონებში, WBA-ის, WBC-ს და IBF-ის ვერსიებით). მაიკლი ზემძიმე წონის ჩემპიონი **ლარი ჰოლმსის** ძლევის შემდეგ გახდა.

კორი კი ერთ დროს როჭოს წონაში, სამი პრესტიჟული გაერთიანების (WBC, IBF და WBA) საჩემპიონო წოდებას ფლობდა. გარდა ამისა, სანამ საშუალო წონაში გადავიდოდა, ქვესაშუალოში IBF-ის ჩემპიონობაც მოასწრო. სხვათა შორის, რაც პროფესიონალი მოკრივეა, სპინქსს ასისტენტობა პირველად გაუწია მამამისმა.

ტეილორისა და სპინქსის ბრძოლის ანდერქარდზე, საშუალო წონაშივე იბრძოლეს **ედისონ მირანდამ** (28-2, 24 ნოკაუტი) და **კელი პავლიკმა** (31-0, 28 ნოკაუტი). ბრძოლის წინ მირანდა ბრაზს არ მალავდა - ტეილორი სპინქსს კი არა, მე უნდა შემხვედროდაო. იგი იქადნიდა, ამ თეთრ ბიჭს გავუსწორდები და მერე ტეილორსაც გამოვიწვევო, მაგრამ სასტიკი მარცხი იწვნია, ტექნიკური ნოკაუტით წააგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ჩილე

ანტოფაგასტა-კობრესალი	0:1
უნ. კატოლიკა-ო'ჰიგინსი	4:1
სანტიაგო-ლოტა	5:2
ლა სერენა-უნ. კონსეპსიონი	1:0
ნუბლენსე-კოკეიმბო	2:1
დ. კონსეპსიონი-ევერტონი	1:1
უაჩიპატო-უნ. ესპანიოლა	2:1
კობრელოა-პალესტინო	3:2
მელიპილია-პუერტო მონტი	2:1
იტალიანო-კოლო კოლო	გვ. დასრულდა

აშშ

ტორონტო-დი სი იუნაიტედი	1:2
ნიუ იორკი-კოლამბუსი	4:0
ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი	0:1
კოლორადო-კანზას სიტი	1:1
ჩივასი-ლოს ანჯელესი	გვ. დასრულდა
დალასი-სოლტ ლეიკი	გვ. დასრულდა

იაპონია

გამბა-კაშივა	2:1
ნიიგატა-კაშიმა	1:1
ნაგოია-ურავა	1:2
ოიტა-კავასაკი	2:0
იჩივარა-ჰიროშიმა	1:3
ომიია-იოკოჰამა	1:0
კოფუ-შიმიცუ	0:0
ივატა-კობე	2:3
იოკოჰამა მარინოსი-ტოკიო	0:1

კალათბურთი

საბერძნეთი

ფლეი ოფი

არისი-ოლიმპიაკოსი	ო.ტ. 78:76
პანათინაიკოსი-პანიონიოსი	85:77

ესპანეთი

ფლეი ოფი

პამესა-რეალი	70:67
უნიკახა-ტაუგრესი	66:82
ხირონა-ბარსელონა	85:70
გრან კანარია-ხუვენტუდი	71:80

იტალია

ფლეი ოფი

კანტუ-მონტეპასკი	82:97
ვარეზე-მილანი	69:77
ნაპოლი-რომა	64:68
ბიელა-ვირტუსი	69:94

საფრანგეთი

ნანსი-გრაველინი	64:62
შალონი-ლე მანი	89:67

ჰოკეი

NHL

დეტროიტი-ანაჰაიმი	ო.ტ. 1:2

ჩოგბურთი

ATP. ჰამბურგი

ნადალი-ფედერერი	6:2, 2:6, 0:6

WTA. რომი

კუზნეცოვა-იანკოვიჩი	5:7, 1:6

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

ნეშის ორი ნახევარი

ალბუკერკი
ნიუ ჯერსი-კლივლენდი 72:88

15:32, 23:21, 22:8, 12:27

ნიუ ჯერსი: კიდი (19 ქ. 12 მ. 8 პ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (16 ქ. 8 მ), მური (14 ქ. 7 მ. 2 ჩ), კარტერი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (23 ქ. 8 მ. 8 პ), დ. მარშალი (18 ქ. 5 მ), გუდენი (16 ქ. 7 მ).

სერია 2:4

ოსკარ როგერტსონის შემდეგ, **ჯეისონ კიდი** გახდა მეორე მოთამაშე, რომელმაც საფლეიოფო სეზონი საშუალო სამმაგი დუბლით დაასრულა. კიდის სტატისტიკა "ტორონტოსთან" და "კლივლენდთან" 12 შეხვედრაში 14.9 ქულა, 11.9 პასი და 10.4 მოხსნა იყო. 35 წლის ფლეიმეიქერი, რომელიც თავისუფალი აგენტი გახდა, ალბათ, ისტ რუზერფორდში აღარ დარჩება, ხოლო მისი აყვანის ყველაზე დიდი სურვილი "დალას მავერიქსსა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსს" აქვთ.

ჯეისონის უნივერსალიზმმა და **რიჩარდ ჯეფერსონის** გმირულმა თამაშმა (მთელი სერია **ლებრონს** ერთი-ერთზე იჭერდა), "კავალიერსის" ბევრად უკეთესი შემადგენლობა და ჯეიმსის მარგი ქმედების კოეფიციენტი ვერ გადაწონა და 1992 წლის შემდეგ, "კლივლენდი" პირველად გავიდა კონფერენციის ფინალში.

ეს იყო უცნაური მატჩი, რომელშიც პირველი მეოთხედი სტუმრებმა, ლებრონის 14 ქულისა და 4 პასის წყალობით, 17 ქულით მოიგეს, მერე კი ჯეიმსმა სწრაფად აკრიფა პერსონალურები და მასპინძლებიც უკანასკნელი 12-წუთეულის დაწყებამდე მოწინააღმდეგეს ერთ ქულამდე მიუახლოვდნენ.

იმ დღეს, "კლივლენდში" ერთ "ბებერს" დაბადების დღე ჰქონდა და 34 წელს რომ მიუკაკუნა, **დონიელ მარშალმა** მიმდინარე ფლეი ოფში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ვეტერანმა ფორვარდმა გადამწყვეტ მონაკვეთში 7-დან 4 სამიანი გამოიყენა და "ნიუ ჯერსის" შეხვედრის გადარჩენის ყველანაირი შანსი მოუსპო. მარშალმა და კიდევ ერთმა სათადარიგომ - მსროლელმა **დანიელ გიბსონმა,** ბოლო მეოთხედში 20 ქულა გააკეთეს. არადა, წინა ხუთ მატჩში ამ ტანდემმა თავი მხოლოდ 26 ჯამური ქულით გამოიჩინა.

დასავლეთი
სან ანტონიო-ფინიქსი 114:106

23:23, 30:28, 28:16, 33:39

სან ანტონიო: ჯინობილი (33 ქ. 11 მ. 6 პ. 4 ჩ), ტ. პარკერი (30 ქ. 6 პ), დანკანი (24 ქ. 13 მ. 9 დ), ფინლი (11 ქ. 3 მ), ბოუენი (8 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (38 ქ. 12 მ. 4 დ). ნეში (18 ქ. 14 პ. 6 მ), რ. ბელი (13 ქ. 4 მ), ბარბოსა (13 ქ. 5 მ. 3 პ), მერიონი (11 ქ. 11 მ. 4 დ. 1 ჩ).

სერია 4:2

"სეზონის ასე დასრულება მთელი გუნდისთვის და, პირადად ჩემთვის, ძალიან რთული და მოულოდნელი იყო. არც კი ვიცი, რა გითხრათ. თითქოს ორად ვარ გაყოფილი. ერთი ნახევარი მკარნახობს, რომ ბოლომდე სპორტსმენად დავრჩე და "სან ანტონიოს" დამსახურებული გამარჯვება მივულოცო, მაგრამ მეორე ნახევარი დევიდ სტერნის მოკითხვას მავალებს", - ამბობდა "სპურსთან" წაგებული სერიის მერე ატირებული **სტივ ნეში**.

არიზონელებს ლიგის კომისარი მართლაც მოსაკითხი ჰყავთ და კიდევ კარგა ხანს ჩარჩებათ გულში "ფინიქსის" ფანებს ის, რომ ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა მეხუთე მატჩში მათი გუნდი **ამარე სტაუდმაიერისა** და **ბორის დიაოს** გარეშე დატოვა.

"სან ანტონიომ" მოიგო იმიტომ, რომ "ფინიქსზე" უკეთესი გუნდია, ხოლო ამ სერიამ ერთხელაც გასცა პასუხი უამრავ კითხვას. მაგალითად იმას, რომ ფლეი ოფში დაცვა და გუნდური თამაში იგებს, "ფინიქსს" კი, არც ერთი აქვს და არც მეორე. ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული "სანზი" დაბალანსებულ "სპურსთან" ბოლოს გამოიფიტა; **მაიკ დენტონის გრეგ პოპოვიჩისგან** უამრავი რამ აქვს სასწავლი. გრეგი თავისი ვარსკვლავების ენერგიას იდეალურად ანაწილებს, ხოლო დენტონის კი ნეში სერიის თითქმის ყველა მატჩში გადაღლილი ჰყავდა. სტივი მხოლოდ ბოლო მეოთხედებში ავლენდა ლიდერის თვისებებს, მაგრამ ეს, ისევ და ისევ, ხელოვნურად, ზედმეტი ინდივიდუალიზმის ხარჯზე ხდებოდა; **ამარე სტაუდმაიერი** სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ასპროცენტიან ცენტრად, რადგან პერიმეტრი ამარეს სათარეშო ნამდვილად არ არის. ამასთან ერთად, "ფინიქსმა" დამდეგ სეზონში მასსა და **შონ მერიონს** შორის არჩევანი უნდა გააკეთოს. გუნდი ორივეს ხელშეკრულებას ვერ გაუგრძელებს, ხოლო სახელფასო ლიმიტის გამო ნეშის, ამარესა და მერიონის შენარჩუნება წარმოუდგენელი იქნება. უკვე დღეს საუბრობენ იმაზე, რომ მერიონი "ორლანდოში" გადავა, ხოლო "ფინიქსი" კი **დარკო მილიჩჩისა** და **ჯამეერ ნელსონს** დაიმატებს.

მოკლედ, "სან ანტონიო" დასავლეთის ფინალშია, სადაც "იუტას" შეხვდება. ეს გუნდები ფლეი ოფში ბოლოს 1998 წელს დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ "ჯაზმა" 4:1 მოიგო. ეს იყო **ტიმ დანკანის** პირველი წაგებული საფლეიოფო სერია, რის მერეც "სან ანტონიო" სამჯერ ჩემპიონი გახდა.

ზურაბ თალაკვაძე





როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერმა ნადალი შეაჩერა

ჰამბურგის მასტერსის ფინალში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მსოფლიოს მეორე ჩოგანსა და თავის უპირველეს კონკურენტს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** მოუგო და ამით თიხნარზე მისი 81-მატჩიან წაუგებელ სერიას წერტილი დაუსვა.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფედერერმა წერტილი დაუსვა თავის წარუმატებლობათა სერიას, რომელიც ოთხი ტურნირის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელსაც მწვრთნელთან მისი დაშორება მოჰყვა. და კიდევ, შვეიცარიელმა მაესტრომ ნადალი პირველად დაამარცხა თიხნარზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას იგივეს გამეორება როლან გაროსზეც შეუძლია.

როლან გაროსი კი ის მწვერვალია, რომელიც შვეიცარიელს ჯერ არასოდეს დაუპყრია. ის შარშან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ფინალში სწორედ ნადალთან წააგო. ეს მაშინ, როცა გასული სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფედერერის კარიერაში.

მიმდინარე სეზონში კი მას რამდენჯერმე მოეცარა ხელი, რის შემდეგაც თავის მწვრთნელს დაშორდა. ჰამბურგში ჩასვლამდე კი განაცხადა, საფრანგეთის ღიასა და უიმბლდონზე მწვრთნელის გარეშე ვითამაშებო. რა თქმა უნდა, ჰამბურგშიც უმწვრთნელოდ გავიდა და თიხაზე პირველად მოუგო საფრანგეთის ღიას ორგზის ჩემპიონ ნადალს.

რაც შეეხება ნადალს, შეგახსენებთ, რომ 2005 წლის აპრილის შემდეგ მას თიხნარზე თამაში არ წაეგო. უფრო მეტიც, სულ 13 ტურნირის ტიტული (მათ შორის, ორჯერ როლან გაროსზე) მოიპოვა. ჰამბურგის ფინალამდე კი მას ფედერერთან ათჯერ ეთამაშა და მათგან 7 შეხვედრა მოეგო.

"რაფაელს თიხნარზე ბრწყინვალე სერია ჰქონდა, რითაც ნებისმიერი ჩოგბურთელი დაიკვეხნიდა. ის დიდი ჩემპიონია და მიხარია, რომ იმ საფარზე დავამარცხე, რომელზეც ასე იშვიათად აგებს", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც ამ სეზონში სამი ტურნირი (ჰამბურგის გარდა, ავსტრალიის ღია და დუბაი) აქვს მოგებული.

არადა, ფედერერმა შეხვედრა კვლავ უფერულად დაიწყო - ხშირად ცდებოდა, რითაც მეტოქეს ქულების იოლად დაგროვების საშუალებას აძლევდა. საერთოდ, ბოლო ხანს შვეიცარიელს სწორედ მისთვის შეუფერებელი შეცდომების სიმრავლე არ აძლევდა ტურნირების მოგების საშუალებას. მაგრამ ამჯერად, მან სწრაფად გამოასწორა თამაში და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

მეორე სეტის დასაწყისშივე, ფედერერმა ნერვები დაიწყნარა, შედეგად კი შეცდომებსაც უკლო და მოწოდების ხარისხიც გააუმჯობესა. ჰოდა, მესამე გეიმშივე ბრეიკს მიაღწია, რაც, როგორც მალე გაირკვა, ამ შეხვედრის გარდატეხის მომენტი იყო (არადა, წინა გეიმში, თავის სერვისზე რამდენიმე ბრეიკ პოინტი მოიგერია). შვეიცარიელი რომ უკეთ ათამაშდა, ნადალს პირიქით დაემართა - ამჯერად მის თამაშში მომრავლდა შეცდომები. ესპანელს არც ფორჰენდები გამოსდიოდა, რითაც მუსრავს ხოლმე თავის მეტოქეებს.

გადამწყვეტი სეტი კი ცალმხრივი იყო. ფედერერმა ის მშრალად მოიგო, რაც ნადალთან შეხვედრებში მხოლოდ ერთხელ, შარშანდელი უიმბლდონის ფინალშიც მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონმა თავისი პირველი მოწოდების 76 პროცენტი მოიგო, ნადალს კი ანალოგიურ კომპონენტში მხოლოდ 52 პროცენტი ჰქონდა.

ტურნირის მოგებისთვის ფედერერმა საპრიზო ფონდიდან 458 218 დოლარი დაიმსახურა, ნადალს კი, ვისაც ამ სეზონში უკვე ოთხი ტურნირი აქვს მოგებული, ამის ნახევარი ერგო.

რომში კი, იტალიის ქალთა ღია პირველობის ფინალში, სერბმა **ეპლენა იანკოვიჩმა** ორ სეტში მოუგო რუს **სვეტლანა კუზნეცოვას**. ეს იანკოვიჩის მიერ ამ სეზონში მოგებული მესამე ტურნირია (წინა ორი ოკლენდსა და ჩარლსტონში მოიგო). მოგებული სამი ტურნირიდან კი ორი სათიხნაროა, რაც იმას ნიშნავს, რომ სერბი მეჩოგნე საფრანგეთის ღია პირველობაზეც ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

რაც შეეხება რუს ჩოგბურთელს, მან ამ სეზონში მეოთხე ტურნირის ფინალი ითამაშა და ისევე, როგორც წინა სამზე, ამჯერადაც წაგებულმა დატოვა კორტი. იტალიის ღიამდე, მან ფინალები წააგო დოჰაში, ინდინ ველსსა და გერმანიის ღიაზე (ბერლინში).

შეხვედრის დასაწყისში, ორივე ჩოგბურთელს უჭირდა თავისი მოწოდების აღება. სერბს მოწოდება ღალატობდა, რის გამოც, კუზნეცოვა მიღებისთანავე ახერხებდა შეტევაზე გადასვლას. რუსს კი ხაზიდან თამაშისას უზომოდ ბევრი შეცდომა მოსდიოდა.

სხვათა შორის, იანკოვიჩის სარეიტინგო აღმასვლა შარშან სწორედ რომაული ტურნირის შემდეგ დაიწყო. შარშან რომ ტურნირში ჩაერთო, მას ზედიზედ ათი შეხვედრა ჰქონდა წაგებული, მაგრამ რომში მეოთხედფინალს მიაღწია. როგორც თავად იხსენებს, წაგებათა იმ სერიის შემდეგ სპორტიდან წასვლაზეც ფიქრობდა, მაგრამ სწორედ რომში გადაწყვიტა დარჩენა.

ტრიუმფის შემდეგ ჩემპიონს ჰკითხეს, პარიზში რა ამბიციები გექნებაო, რაზეც მან უპასუხა - აქ რომ მოვიგე, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ჟუსტინს არ უთამაშიაო. ამით კი მან მიანიშნა, რომ პარიზშიც მთავარი ფავორიტი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** იქნება. ჟუსტინს თუ მოვუგებ, ჩემს ფავორიტობაზეც მერე ვილაპარაკოთო, - ამბობს იანკოვიჩი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

ჰამბურგის მასტერსი
ჰამბურგი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 2 085 500 ევრო

1/4 ფინალი

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)- ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:3, 6:4

1/2 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16) 2:6, 6:3, 7:5; **როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-კარლოს მოია (ესპ) 4:6, 6:4, 6:2

ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 2:6, 6:2, 6:0

WTA

იტალიის ღია
რომი (იტალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

1/4 ფინალი

დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 7:6(8), 7:5

1/2 ფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9) 6:4, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-პატი შნიდერი (შვეი, 14) 6:1, 6:3

ფინალი

ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 7:5, 6:1

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეფაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგნატიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა